CMYK - 1

www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ შაბათს

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი 13 ოქტომბერი, 2009 წელი. №223 (2261)

ფასი 1 ლარი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი

*2424

პაკისტანში "ბოევიკებისგან გაწმენდილ" რაიონში კვლავ აფეთქებებია

A8



ნაცნობი სამყარო

A9



ფაჩულიამ კონკურენტი დაჩაგრა

A13



## რეალური მსჯელობა "არარეალურ" საფრთხეზე

დიმიტრი ავალიანი

*გაიზიარებს თუ არა საქართველოს ბედს უკრაინა? ახალი რუსული აგრესიის შესაძლებლობაზე სულ უფრო აქტიურად მსჯელობენ დასავლეთში. კრემლმა სერიოზული ამოცანა დაისახა - დასავლური გზიდან უკრაინის საბოლოოდ ჩამოცილება, რამაც პოსტსაბჭოთა სივრცის რუსეთის გავლენის სფეროში დაბრუნებას უნდა შეუწყოს ხელი. მოსკოვს გარკვეულ იმედს აძლევს უკრაინაში მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნები, თუმცა უკრაინაში მიიჩნევენ, რომ რუსეთი ძალისმიერი სცენარისთვისაც მზად არის.*

**"უკრაინა ნარინჯისფერი რევოლუციის შემდეგ პირველი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადება. არის იმის ნიშნები, რომ მისი დიდი აღმოსავლელი მეზობელი არჩევნების პროდასავლურ შედეგს ვერ შეეგუება,"** - წერს ბრიტანული ჟურნალი "ობზერვერი", რომელმაც უკრაინა-რუსეთის ურთიერთობებსა და შესაძლო საფრთხეების თემას ვრცელი რეპორტაჟი მიუძღვა სათაურით - **"უკრაინა შეშფოთებულია - რუსები ყირიმისკენ მოიწევენ."**

გამოცემა აღნიშნავს, რომ უკრაინა ძალზე მნიშვნელოვანია რუსეთის მცდელობაში პოსტსაბჭოთა სივრცეზე გავლენის დასამყარებლად. იქნება თუ არა ომი რუსეთსა და უკრაინას შორის? -

გაგრძელება A3 გვერდზე

## ნაქულბაქევის აღმოჩენები

### თბილისის მერია კულტურული მონაპოვარით დაინტერესდა



თამარ კიკნაველიძე

თბილისი, როგორც გეოგრაფიული მდებარეობით გამორჩეული ქალაქი, სავსეა არქეოლოგიური ძეგლებით, რომელთაგან ერთ-ერთის პრეზენტაცია გუშინ, დიღმის ველის ჩრდილოეთ ნაწილში, ე.წ. ნაქულბაქევის ტერიტორიაზე მოეწყო.

ამ ადგილას გათხრები XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, საქართველოს სამხედრო გზის გაფართოებისას დაიწყო. 2007 წლიდან კი ნაქულბაქევის ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოების განახლება დიდი ბრიტანეთისა და საქართველოს ერთობლივმა კომპანიამ, IDP ჯგუფმა დააფინანსა.

გაგრძელება A10 გვერდზე

## სხდომა მეორე - შემცირებული ოპონენტებით

### ეროვნული უშიშროების საბჭო გაფართოებული ფორმატით შეიკრიბა

დათო გამისონია

*გუშინ პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაში ხელისუფლების პირველი პირები ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებთან ქვეყნის უსაფრთხოების საკითხს განიხილავდნენ. მთავარი მიზანი პოლიტიკურ ოპონენტებს შორის ქვეყნის უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე პოზიციების შეჯერება იყო., ანალოგიური ფორმატით გამართულ წინა სხდომასთან შედარებით, გუშინდელ შეხვედრაზე ოპოზიციონერთა სიმცირე შეინიშნებოდა.*

დახურულ ფორმატში გამართულ ეროვნული უშიშროების საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით საქართველოს სტრატეგია წარმოადგინა. საბჭოს წევრებისა და ოპოზიციის წარმომადგენლების წინაშე მოხსენებით წარდგა საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე გიგა ბოკერია. მან გაერო-ში პრეზიდენტის გამოსვლის შესახებ ისაუბრა. თითოეული მათგანის სიტყვით გამოსვლის შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენლებმა ოპოზიციონერებთან კონკრეტულ საკითხებზე შეძლეს შეთანხმების მიღწევა.

გაგრძელება A2 გვერდზე

24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

CMYK - 1

## ევროკავშირ-საქართველოს მოლაპარაკებები

ევროკავშირსა და საქართველოს შორის საერთო საავიაციო სივრცის შექმნასთან დაკავშირებით მოლაპარაკებათა მეორე რაუნდი წლის ბოლოს, დეკემბერში გაიმართება. ინფორმაცია ამის შესახებ მედიას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის უწყებამ მიაწოდა. მათი შეფასებით, აღნიშნულთან დაკავშირებით მხარეებს შორის გამართული მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი წარმატებით დასრულდა.

"მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი წარმატებული იყო. მხარეებმა ხელი მოაწერეს ოქმს, რომლის თანახმადაც ისინი ვალდებულნი არიან ამ მიმართულებით იმუშაონ. საქართველო-ევროკავშირს შორის საერთო საჰაერო სივრცის შექმნასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების მეორე რაუნდი დეკემბრის დასაწყისში გაიმართება", - განაცხადა მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანიამ.

შეგახსენებთ, რომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის საერთო საავიაციო სივრცის შექმნასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების პირველი რაუნდი 7 ოქტომბერს დასრულდა. საჰაერო სივრცის გახსნის თაობაზე მოლაპარაკება 37 ქვეყანასთან მიმდინარეობს, საიდანაც 27 ევროკავშირის წევრია.

ქართული მხარე მზადაა, ამ მიზნით კანონმდებლობის ევროსტანდარტებთან ჰარმონიზაცია მოახდინოს და ევროკავშირის საავიაციო სტანდარტები განახორციელოს. სწორედ ამის შემდეგ არის შესაძლებელი საბაზრო ბარიერების გახსნა, რითაც საქართველო ევროკავშირის შიდა საავიაციო ბაზარს დაუკავშირდება.

## ალასანიას წინადადებები

"ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერმა ირაკლი ალასანიამ ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში განსახორციელებელ გადაუდებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე წინადადებები წარმოადგინა.

ალასანიას განცხადებით, მთავარი საკითხები არაღიარების პოლიტიკის უზრუნველყოფა, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობა და ქვეყნის ეთნოწმენდასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაა.

როგორც პარტიის ლიდერი აღნიშნავს, საჭიროა შეიქმნას მაღალი დონის დელეგაცია, რომელიც გამართავს შეხვედრებს იმ ქვეყნებში, რომლებზედაც სავარაუდოა ზემოქმედება მოახდინოს რუსეთის ფედერაციამ, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის აღიარების საკითხზე.

**"საქართველომ უნდა უზრუნველყოს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე რეზოლუციის მიღება, რომლითაც გენერალური ასამბლეა მიმართავს მართმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს, წარმოადგინოს მოსაზრება, შეესაბამება თუ არა აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის სეპარატისტული მთავრობების მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება საერთაშორისო სამართალს და საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მიმართოს საერთაშორისო ორგანიზაციებს, შეიქმნას დამატებითი კომისია, რომელიც დეტალურად შეისწავლის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეთნიკური ხასიათის დანაშაულებს",** - განაცხადა ალასანიამ.

სააგენტო "ინტერპრესნიუსის" ცნობით, კიდევ ერთი წინადადება, რომელიც "ალიანსმა" საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარუდგინა, არის შემდეგი: კონფლიქტების ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის მიერ დაფიქსირებული ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდის ფაქტებზე საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მიმართოს საერთაშორისო ორგანიზაციებს, შეიქმნას დამატებითი კომისია, რომელიც დეტალურად შეისწავლის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეთნიკური ხასიათის დანაშაულებებს.

## საბერძნეთი თურქეთის ევროკავშირში გაერთიანების მომხრეა

საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა გეორგიოს პაპანდრეუმ თავის თურქ კოლგასთან რეჯეპ ტაიპ ერდოღანთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ საბერძნეთი თურქეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებისკენ მიისწრაფვის და მხარს უჭერს ამ ქვეყნის ევროკავშირში გაერთიანებას.

"ჩვენ დავამტკიცეთ, რომ გვსურს თურქეთთან კარგი ურთიერთობები და მხარს ვუჭერთ მის ევროკავშირში გაწევრინებას", - განაცხადა პაპანდრეუმ და აღნიშნა, რომ ამის წინაპირობად თურქეთის მიერ ევროპის მიერ წაყენებული მოთხოვნების შესრულებაა.

პაპანდრეუმ არ გამორიცხა, რომ საბერძნთი, მიუხედავად კეთილგანწყობისა, მხარს არ დაუჭერს თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებას, თუ მიმდინარე წლის დეკემბერში ევროპის მიერ დაგეგმილი მორიგი შეფასებებისას კვლავ გამოვლინდება რაიმე სახის პრობლემები.

ერდოღანთან შეხედრის შეფასებისას საბერძნთის პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ მის თურქ კოლეგას გააჩნია პოლიტიკური ნება, რათა ორ ქვეყანას შორის არსებული პრობლემები გადაწყდეს.

სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენის" ინფორმაციით, მან ასევე აღნიშნა, რომ მხარს უჭერს კვიპროსის პრობლემის გადაწყვეტას და თურქეთისგანაც ანალოგიურ ნაბიჯებს ითხოვს.

პაპანდრეუს ვიზიტი სტამბულში მის მიერ პრემიერის პოსტის დაკავების შემდგომ პირველი იყო.

# სხდომა მეორე - შემცირებული ოპონენტებით

პირველი გვერდიდან

კერძოდ, რეინტეგრაციის მინისტრის აპარატში კონფლიქტის საკითხებზე მომუშავე საბჭო ჩამოყალიბდება და მის საქმიანობაში ოპოზიციაც ჩაერთვება. თემურ იაკობაშვილის თქმით, **"ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საკითხში აბსოლუტური თანხვედრაა. ძალიან ბევრი მოსაზრება, რომელიც ოპოზიციამ გამოთქვა, ჩვენთვის მისაღებია. კარგი დასაწყისია..."** გარდა ამისა, სხდომაზე დააკმაყოფილეს "ქრისტიან-დემოკრატების" წინადადება. პარტიის ლიდერ გიორგი თარგამაძის თქმით, **"ჟენევის მოლაპარაკებათა ყოველი რაუნდის შემდეგ საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი პირები საქართველოს პარლამენტის წევრებს აუცილებლად მიაწვდიან ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ეტაპზეა მოლაპარაკებები და რა ტენდენციები იგრძნობა ამ მიმართულებით."** ხელისუფლებისთვის განხილვის საგანი გახდა გიორგი თარგამაძის კიდევ ერთი ინიციატივა. კერძოდ, "ქრისტიან-დემოკრატების" წინადადებით, ეროვნული უსაფრთხოების არსებულ სისტემას უნდა დაემატოს დირექტორთა კომისია და ექსპერტების დონეზე სამუშაო ჯგუფი, ამავდროულად აუცილებელია საბჭოს მუშაობაში პარლამენტის როლის გაზრდა. თარგამაძეს მიაჩნია, რომ მოქმედ უშიშროების საბჭოს არ გააჩნია საკმარისი რესურსი და შესაძლებლობები უწყებათაშორისი კოორდინაციისთვის, რადგან საბჭოს სტრუქტურა კარგად არ არის ორგანიზებული, რის გამოც თავს ვერ ართმევს ფორსმაჟორულ სიტუაციებში შესასრულებელ ფუნქციას. თარგამაძემ აღნიშნა, რომ ასეთი შეფასება აგვისტოს ომის დროს დადასტურდა, როდესაც საბჭომ არაეფექტურობა გამოიჩინა. ახალი საკანონმდებლო ინიციატივების მიზანია სახელმწიფო უწყებებს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაღრმავება, ასევე უსაფრთხოების სექტორის ნატო-სთან თავსებადობაში მოყვანა და ნატო-ს რეკომენდაციის შესრულება.

თარგამაძის ინიციატივის შესახებ ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა ეკა ტყეშელაშვილმა განაცხადა, რომ **"ჩვენ ადრეც გამოვთქვით მზადყოფნა, განვიხილოთ მათი პროქტები და მოსაზრებები, თუმცა მას შემდეგ რაიმე სახის ინიციატივა ან პროექტი ჩვენთვის არავის შემოუთავაზებია. ჩვენ მოხარულები ვიქნებით, თუ ასეთ პროექტებსა და მოსაზრებებს წარმოგვიდგენენ, რათა შემდეგ ურთიერთობა უკვე საქმიან გარემოში გავაგრძელოთ. ჩვენ თანამშრომლობისთვის ყოველთვის მზად ვართ. ჩვენი კარი ღიაა."** "ქრისტიან-დემოკრატები" კანონპროექტის პარლამენტში წარდგენას უახლოეს მომავალში აპირებენ.

პრეზიდენტის რეზიდენციაში სხდომის დახურულ ფორმატში დაწყებამდე შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტმა გახსნა. მან რეზიდენციაში მყოფ ოპოზიციის ლიდერებს მიმართა: **"ამ სხდომაზე ჩვენ თქვენგან არანაირი საიდუმლოება არა გვაქვს. თქვენ ხართ საქართველოს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, როგორც საპარლამენტო, ასევე არასაპარლამენტო ჯგუფების, რომლებიც ყოველდღიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში გარკვეულ აქტიურ როლს თამაშობენ."** სააკაშვილმა ასეთი განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც 7 აგვისტოს ამავე ფორმატში გამართული სხდომის შემდეგ დარწმუნდა, რომ შეხვედრაზე ნათქვამ არც ერთ მგრძნობიარე საკითხს პრესაში არ გაუჟონავს. მათ შორის იყო თემები, რომლებიც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას და საგარეო-პოლიტიკურ კონტაქტებს ეხებოდა. თუმცა, პრეზიდენტის თქმით, **"რა თქმა უნდა, ამ პერიოდში ჩვენ ბევრი ვაკრიტიკეთ ერთმანეთი, მთავრობის მიმართ ყველანაირი ტერმინები გამოიყენეს და ეს ასეც უნდა იყოს. მაგრამ, მთავარი, რასაც ჩვენ მივაღწიეთ, ის არის, რომ იქ, სადაც სახელმწიფოს ინტერესებია და არა უბრალოდ პოლიტიკური ბრძოლა, ყველა მონაწილემ გამოიჩინა საქართველოსთვის უჩვეულო სახელმწიფოებრივი აზროვნება. ახლა ჩვენ ყველანი ამას წესად დავამკვიდრებთ. მინდა, ამისთვის ყველას ვუთხრა დიდი მადლობა."** თუმცა, მისი აზრით, ყოველთვის არიან ადამიანები, რომლებსაც საქართველოს მტრის პროპაგანდის გამეორება სურთ და ეს პოლიტიკური წარმატების გზად მიაჩნიათ. მაგრამ, სააკაშვილი არ აპირებს, რომ მათი საქმიანობა არაკორექტული სიტყვებით შეაფასოს. პრეზიდენტის განმარტებით, **"ჩვენ ყველანი ქართველები ვართ და ერთმანეთს უნდა გავუფრთხილდეთ. ყველანი ამ ჩვენი მრავალეთნიკური ერის შვილები ვართ. ჯობს, განსაკუთრებით მთავრობამ თავი შეიკავოს მკვეთრი გამოთქმებისგან. თუმცა, რა თქმა უნდა, არის ხალხი, რომელთაც ჰგონიათ, რომ მხოლოდ საკუთარ პოზიციებზე მიწოლაა წარმატების ერთადერთი გზა. მინდა გითხრათ, რომ როცა მთავრობამ სცადა ამის გაკეთება, ჩვენ ყოველთვის წავაგეთ. თუ გულწრფელები ვიქნებით, ბევრი თქვენგანის (ოპოზიციის წევრების) შემთხვევაშიც ალბათ იგივე შედეგი დადგა."** სააკაშვილის თქმით, ცხადია, რომ სისხლისღვრაში გადაზრდილმა რადიკალურმა ლოზუნგებმა ქვეყანას არაფერი კარგი არ მისცა. სწორედ ამიტომ, პრეზიდენტის აზრით, თუნდაც ბოლო თვეების განმავლობაში საზოგადოებამ დაარწმუნა პოლიტიკოსები, რომ ძალადობა არ უნდა დაუშვას არავინ. ამით ახსნა მან პოლიტიკურ ოპონენტებთან დიალოგის გამართვის აუცილებლობა. **"ხალხის დაკვეთა იყო, პირველ რიგში, გამოგვეჩინა მოქნილობა, გახსნილობა, კომპრომისების გზით გვევლო და მოგვესმინა ყველაზე უფრო რადიკალური პოლიტიკური ოპონენტებისთვისაც კი,"** - განაცხადა სააკაშვილმა. მას არ უკვირს, რომ მთავრობას და იმ ხალხს, რომელიც მას ძალიან მწვავედ აკრიტიკებს, სხვადასხვა პრიორიტეტები აქვთ, მაგრამ, მისი აზრით, მთავარია ის, რომ პოლიტიკურმა ოპონენტებმა საარჩევნო კომისიის ფარგლებში თანამშრომლობა შეძლეს. პრეზიდენტმა დასძინა, რომ შეხვედრები სამინისტროების დონეზეც მიმდინარეობს.

მართალია, საარჩევნო რეფორმაზე მომუშავე ჯგუფის საქმიანობაში ოპოზიციის წარმომადგენლები ჩაერთვნენ, თუმცა ამ მუშაობის არასათანადო ეფექტურობა გახდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ "ალიანსმა" გუშინდელ სხდომაში მონაწილეობა არ მიიღო. გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე "ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ **"უშიშროების საბჭოს სხდომაში მონაწილეობის მიღება არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად, რადგან ხელისუფლებამ არ გადადგა ნაბიჯები საარჩევნო გარემოს თვისობრივად შესაცვლელად, შეჩერებულია საარჩევნო თემებზე მომუშავე ჯგუფის საქმიანობა. ასევე, არაფერი გაკეთებულა მედიის თავისუფლებისთვის."** გარდა ამისა, ალასანია ხელისუფლებას სთხოვს 9 აპრილს დაწყებული საპროტესტო აქციების დროს დაპატიმრებული ოპოზიციის მომხრეების საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტას. ამავე დროს, მისთვის მიუღებელია ხელისუფლების მიერ ტალიავინის მისიის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიმართ გამოხატული პოზიციები და დასკვნები. **"თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროებში ბოლო ხანს მიღებული საკადრო გადაწყვეტილებები ადასტურებს, რომ ხელისუფლებამ ვერ გაიზიარა საკუთარი შეცდომები და აგრძელებს სტრატეგიულად მნიშვნელოვან თემებზე პოპულისტურ რეაგირებას,"** - აღნიშნა ალასანიამ. ყოველივე ამის მიუხედავად, "ალიანსი" ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ხელისუფლებასთან ურთიერთობისთვის მზადყოფნას ადასტურებს, მაგრამ მხოლოდ შესაბამის საქმიან ფორმატში. ალასანია, განსაკუთრებით ქვეყანაში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, შედეგზე ორიენტირებული მოლაპარაკებების გამართვით არის დაინტერესებული.

პირველი გაფართოებული სხდომისგან განსხვავებით, გუშინდელ შეხვედრაზე ირაკლი ალასანიას დაუსწრებლობა მოულოდნელი იყო უშიშროების საბჭოს მდივან ეკა ტყეშელაშვილისთვის. მისი თქმით, **"დასანანია ის, რომ პოლიტიკური ოპოზიციის გარკვეული ნაწილი არ მონაწილეობს ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი და ფუნდამენტური საკითხების განხილვაში. ჩემთვის ცოტა გასაკვირი იყო ბატონი ალასანიას გადაწყვეტილება, რადგან ჩვენ ისეთი საკითხები განვიხილეთ, რაც ყველას გვტკივა."**

ხოლო, ის პოლიტიკური პარტიები, რომელთა ბოლოდროინდელი პოლიტიკური საქმიანობა იმთავითვე გამორიცხავს ხელისუფლების წარმომადგენლებთან ნებისმიერი საკითხის განხილვასაც კი, ხელისუფლების ოპოზიციასთან შეხვედრის მცდელობას ე.წ. "პიარაქციად" მიიჩნევენ. "კონსერვატიული პარტიის" თავმჯდომარემ ზვიად ძიძიგურმა განაცხადა, რომ **"უშიშროების საბჭოს გაფართოებული სხდომა არის პოლიტიკური მასკარადი. მიხეილ სააკაშვილმა წამოიწყო პოლიტიკური ფლირტი დემოკრატიული იმიჯის შესაქმნელად."** ამავე მიზეზით ავლაბრის რეზიდენციაში მისვლისგან თავი შეიკავეს "მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის" წევრებმა. არასაპარლამენტო ოპოზიციის მხრიდან სხდომაში მხოლოდ პარტია "თავისუფლების" წარმომადგენელი სანდრო ბრეგაძე და "ტრადიციონალისტთა კავშირის" თავმჯდომარე აკაკი ასათიანი მონაწილეობდნენ. ასათიანის აზრით, დღესდღეობით არის მზაობა, რომ ხელისუფლებამ ოპოზიციურ პოლიტიკურ სპექტრთან დაამყაროს კონტაქტები. ხოლო, რაც შეეხება საპარლამენტო ოპოზიციის წევრებს, ისინი სხდომაზე მრავლად იყვნენ წარმოდგენილნი და შეხვედრის შედეგებით ნაწილობრივ კმაყოფილებას გამოთქვამდნენ. **"ძალიან მნიშვნელოვანი საკითხები იყო განხილული, თუმცა დეტალებზე საუბრისგან თავს შევიკავებ. შეხვედრაზე ოპოზიციის მხრიდან შენიშვნები გაკეთდა,"** - განაცხადა "საქართველოს დემოკრატიული პარტიის" თავმჯდომარემ გია თორთლაძემ.

# გრიგოლ ვაშაძე ორდღიანი სამუშაო ვიზიტით ლონდონში გაემგზავრა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე ორდღიანი სამუშაო ვიზიტით ლონდონში გაემგზავრა.

ვიზიტის ფარგლებში ვაშაძე გუშინ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, დევიდ მილიბენდს და დიდი ბრიტანეთის ევროპულ საქმეთა მინისტრს გლენის კინოკს შეხვდა. ასევე, დირექტორების დონეზე გაიმართა საქართველოს და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის ორმხრივი კონსულტაციები. დღეს კი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ჩრდილოვან საგარეო საქმეთა მინისტრს, პარლამენტის წევრს უილიამ ჰეიგს და თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, პარლამენტის წევრს ჯეიმს არბათნოტს შეხვდება.

ვიზიტის ფარგლებში ასევე დაგეგმილია ვაშაძის შეხვედრები ბრიტანული მას-მედიის წარმომადგენლებთან, კერძოდ, კი საქართველს საგარეო უწყების ხელმძღვანელი ინტერვიუს მისცემს გაზეთებს - The Economist, The Times, The Financial Times და ა.შ.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# რეალური მსჯელობა "არარეალურ" საფრთხეზე

პირველი გვერდიდან

ეს ის კითხვა იყო, რომელიც, ავტორის ინფორმაციით, გასულ თვეში იალტაში შეკრებილ აღმოსავლეთ ევროპელ ლიდერებსა და ექსპერტებს ყველაზე მეტად აღელვებდათ.

სცენარი, როგორც ჩანს, არც ისე არანორმალურია, - წერს გამოცემა და უკრაინელი კოლეგისადმი დმიტრი მედვედევის ცნობილ ვიდეომიმართვას იხსენებს, რომელშიც რუსეთის პრეზიდენტმა უკრაინის ხელისუფლებას ანტირუსულ ქმედებებში დასდო ბრალი და იმედი გამოთქვა, რომ უკრაინაში ხელისუფლება მალე შეიცვლება.

"ობზერვერთან" ინტერვიუში ინკოგნიტო უკრაინელი დიპლომატი მედვედევის მიმართვას ულტიმატუმს უწოდებს. მისი თქმით, ამით ნათლად დასტურდება, რომ კრემლი უკრაინას **"ნახევრად სუვერენულ ქვეყნად"** აღიქვამს. უკრაინელი დიპლომატი აცხადებს, რომ რუსეთი უკრაინისგან მოითხოვს მოსკოვის დომინირებას შეეგუოს, კერძოდ - უარი თქვას ნატო-ში გაწევრიანების გეგმებზე და შავი ზღვის ფლოტი უკრაინაში დატოვოს. ინკოგნიტო რესპონდენტის აზრით, თუ უკრაინის ახალი პრეზიდენტი ამ პირობებს შეასრულებს, ის რუსეთის მარიონეტი გახდება.

როგორც გამოცემასთან საუბარში კიევის ეროვნული უსაფრთხოების პრობლემების ინსტიტუტის დირექტორი ვლადიმირ გორბულინი აღნიშნავს, რუსეთი შესაძლოა მზად არის უკრაინის **"გასახლეჩად"**, კონფლიქტის გაღვივება კი ყირიმში იქნება შესაძლებელი.

ყირიმის რუსეთისთვის "დაბრუნების" შესახებ ღიად წერენ პროსახელისუფლებო რუსული გამოცემები. მოსკოვის რამდენიმე რესტორანში კი "უკრაინულ ბორშს" სიმბოლურად სახელიც შეუცვალეს და მას "მალოროსიისკი" შეარქვეს, - წერს "ობზერვერი".

უკრაინელი ექსპერტები შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ევროპამ მედვედევის გზავნილზე რეაგირება არ მოახდინა. ვლადიმირ გორბულინის აზრით, ევროპამ და ამერიკამ უკრაინას ზურგი შეაქციეს. მან ამგვარ მიდგომას 1938 წლის მიუნხენის გარიგების გამეორება უწოდა, რომლის შედეგადაც ევროპამ ჰიტლერს ჩეხოსლოვაკიის სუდეტის ოლქის ოკუპაციის უფლება მისცა.

კიდევ ერთი დარტყმა უკრაინისთვის, ექსპერტების აზრით, გახდა ბარაკ ობამას ადმინისტრაციის უარი პოლონეთსა და ჩეხეთში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსებაზე. **"ჩვენ არ ვიცით, რა გარიგება აქვს ობამას მოსკოვთან. ბევრი მიიჩნევს, რომ რუსეთი ამ გადაწყვეტილებას მწვანე შუქად აღიქვამს,"** - მოჰყავს გამოცემას ერთ-ერთი ექსპერტის ანონიმური კომენტარი.

**"რუსეთში უკრაინაზე თავდასხმა წარმოუდგენელია. თუმცა, 17 დეკემბრის არჩევნების წინ არსებობს იმის საშიშროება, რომ მცირე დაპირისპირება მომაკვდინებელ კონფლიქტში გადაიზარდოს,"** - წერს გამოცემა და საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ახალი კანონი მიიღო, რომელიც მას უფლებას აძლევს, შეიარაღებული ძალები "საკუთარი მოქალაქეების" და სამხედრო ნაწილების დასაცავად ქვეყნის საზღვრებს გარეთ გამოიყენოს.

საკმაოდ რადიკალური სცენარები უკრაინულ მედიაშიც გაჩნდა. **"ომის დაწყების წინ ნებისმიერ საზოგადოებაში ბევრია ისეთი ადამიანი, ვისაც ამის არ სჯერა, მაგრამ აფეთქებებისა და სროლის ხმა მათ მალევე შეაცვლევინებს ხოლმე აზრს,"** - წერს უკრაინული ინტერნეტ-გამოცემა "უკრაინსკაია პრავდა".

მოახლოებული საფრთხის ნიშნებად ავტორები ყირიმში, ისევე როგორც მანამდე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, რუსული პასპორტების მასობრივ დარიგებას მიიჩნევენ, ასევე - ოდესის, დონბასისა და ხარკოვის პრორუსული ორგანიზაციების დაფინანსებასა და რუსეთში უკრაინის წინააღმდეგ წლების განმავლობაში წარმოებულ საინფორმაციო კამპანიას. ამ კამპანიის წყალობით დღეს რუსულ საზოგადოებაში უკრაინა ისევე აღიქმება მტრად, როგორც საქართველო.

**"რუსეთი უკრაინის მიმართ იმავე სცენარს ახორციელებს, რომელმაც უკვე ეფექტურად იმუშავა საქართველოში,"** - აღნიშნავს "უკრაინსკაია პრავდა." გამოცემის ინფორმაციით, უკრაინელი სამხედროების "არაოფიციალური შეფასებით", რუსეთთან ომის ალბათობა 70 პროცენტს აღწევს.

**"საინფორმაციო, გაზისა და დიპლომატიური დაპირისპირების პერიოდი დასასრულს უახლოვდება. ცივი დაპირისპირება ნელ-ნელა ცხელ კონფლიქტში გადადის,"** - აღნიშნავს გამოცემა.

გარდა ახალი კანონისა, რომელიც რუს სამხედროებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოქმედების უფლებას აძლევს, ავტორები კიდევ ერთ შემაშფოთებელ გარემოებაზე ამახვილებენ ყურადღებას - 1 სექტემბრიდან, რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებით, უკრაინაში განლაგებული რუსეთის შავი ზღვის ფლოტი ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის დაქვემდებარებაში გადავიდა. ამგვარად, ფლოტი ამიერიდან 58 არმიასთან ერთად იმოქმედებს, რომელიც ჩეჩნეთის მეორე ომსა და საქართველოს წინააღმდეგ ომში იბრძოდა. **"ნათელია, რომ ეს კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით გაკეთდა. რა არის ეს, თუ არა მზადება ერთობლივი ოპერაციისთვის?"** - კითხულობენ ავტორები.

სტატიაში ასევე მოყვანილია სევასტოპოლის უკრაინელთა საზოგადოების განცხადება. შავი ზღვის ფლოტში არსებულ წყაროებზე დაყრდნობით, განცხადებაში ნათქვამია, რომ რუსულმა სარდლობამ ყირიმში უკვე ჩაატარა დაზვერვითი სამუშაოები სამხედრო ოპერაციის დაგეგმვის მიზნით. გარდა ამისა, გამოცემის ინფორმაციით, 58-ე არმიის ნაწილები უკრაინის საზღვრის სიახლოვეს, როსტოვისკენ და ტაგანროგისკენ გადაისროლეს.

**"უკრაინაში სიტუაციას კიდევ უფრო ამწვავებს პოლიტიკური არეულობა, მოახლოებული არჩევნები და ხელისუფლების პრაქტიკულად არარსებობა. კრემლში ყირიმის საკითხის ძალისმიერი მოგვარებისთვის უკეთეს მომენტზე ვერც იოცნებებდნენ,"** - წერს "უკრაინსკაია პრავდა" და იმასაც აცხადებს, რომ ამისთვის მოსკოვი უკრაინაში წინასწარ პროვოკაციების მოწყობას შეეცდება.

როგორც, თავის მხრივ, "ობზერვერი" აღნიშნავს, **"ექსპერტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პუტინი და მედვედევი ომის საფრთხეს უკრაინის დასუსტებისა და დემორალიზაციისთვის გამოიყენებენ."** ექსპერტ ვლადიმირ გორბულინის აზრით, ომი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება რეალური, თუ მოსკოვი ყველა სხვა შესაძლებლობას ამოწურავს.

უკრაინაზე ზემოქმედების შესაძლებლობები კი კრემლს ჯერჯერობით საკმაოდ აქვს. "ობზერვერი" აღნიშნავს, რომ 2004 წლის ნარინჯისფერი რევოლუციის შემდეგ კიევი მუდმივი პოლიტიკური კრიზისის მდგომარეობაში იმყოფება. პრეზიდენტ იუშჩენკოსა და პრემიერ ტიმოშენკოს ბრძოლამ ძალაუფლებისთვის **"მმართველობის პარალიზება გამოიწვია და ეკონომიკა გაკოტრებამდე მიიყვანა."**

დღესდღეობით, ექპერტების აზრით, მოქმედ პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს, დაბალი რეიტინიგის გამო, ხელახლა გაპრეზიდენტების შანსი ნაკლებად აქვს. ძირითადი ბრძოლა კი წარიმართება პრორუსული "რეგიონების პარტიის" ლიდერ ვიქტორ იანუკოვიჩსა და მოქმედ პრემიერ-მინისტრ იულია ტიმოშენკოს შორის, რომელსაც ვლადიმირ პუტინთან გაზის საკითხზე უკრაინის ინტერესების საზიანო გარიგებაში ადანაშაულებენ. შესაბამისად, კრემლს იმედი აქვს, რომ დასავლური გზიდან უკრაინის საბოლოოდ ჩამოცილებას ომი არ დასჭირდება, თუმცა მოსკოვი, აშკარად, ძალისმიერი სცენარისთვისაც მზად იქნება.

# ჰილარი კლინტონი რუსეთში ჩავიდა

ივა შილაკაძე

გუშინ, გვიან საღამოს მოსკოვში თავისი პირველი ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი. იგი რუსეთის ოფიციალურ პირებთან შეხვედრებს დღეს გამართავს. ძირითადი მოლაპარაკებები რუს კოლეგასთან, საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვთან არის დაგეგმილი. კლინტონს რუსეთის პრეზიდენტი დმიტრი მედვედევიც მიიღებს. ვიზიტის ფარგლებში კლინტონი თათრეთის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქ ყაზანსაც ესტუმრება.

ორი უდიდესი სახელმწიფოს წარმომადგენლებს პრობლემებიც და განსახილველი თემებიც უხვად აქვთ, მაგრამ მოლაპარაკებების მთავარ თემებად მიიჩნევა ვაშინგტონის ახალი კონცეფცია ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შესახებ, ხელშეკრულება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შესახებ, ირანის, ალბათ ასევე ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამა და რუსეთში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხი. მოსალოდნელია საუბარი ავღანეთის საკითხში თანამშრომლობაზე, სადაც ორი სახელმწიფოს ინტერესები მეტ-ნაკლებად ემთხვევა ერთმანეთს.

მას შემდეგ, რაც ვაშინგტონმა უარი თქვა პოლონეთსა და ჩეხეთში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ელემენტების (რადარი ჩეხეთში და გზაგადამჭრელი რაკეტები პოლონეთში) განლაგებაზე, მოსკოვს ამერიკელების ახალი სტრატეგიის მიმართ კითხვები გაუჩნდა. ცხადია, რუსეთი კმაყოფილია ახალი მიდგომით, მაგრამ აინტერესებს, როგორ აპირებს შეერთებული შტატები ირანული რაკეტებისგან თავისი ევროპელი მოკავშირეების დაცვას. ამ ეტაპზე მიმდინარეობს კონსულტაციები საგარეო-პოლიტიკური უწყებების ხელმძღვანელების მოადგილეთა დონეზე, მაგრამ ეს თემა აუცილებლად იქნება კლინტონისა და ლავროვის შეხვედრის დღის წესრიგში, ამის შესახებ კლინტონის მოადგილემ ელენ ტაუშერმა განაცხადა. შეხვედრაზე ალბათ რადარების სისტემის ერთობლივი განლაგების საკითხსაც განიხილავენ. ამ შემთხვევაში მოსალოდნელია გამოიყენონ გაბალისა (აზერბაიჯანი) და არმავირის (რუსეთი) სადგურები. ექსპერტების აზრით, არ არის გამორიცხული ახალი რადარების დადგმაც, მაგალითად - უკრაინაში (რასაც რუსეთი ნამდვილად არ შეხვდება დიდი ენთუზიაზმით).

რუსეთს უხერხულ კითხვებზე პასუხის გაცემაც ელის, რაც, პირველ რიგში, რუსეთში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებს შეეხება. ამის შესახებ ღიად ისაუბრა თვით ჰილარი კლინტონმა თავისი ევროპული ვოიაჟის დაწყებამდე. პირველ რიგში, ყურადღება გამახვილდება ჟურნალისტებისა და ადამიანის უფლებათა დამცველების გახშირებულ მკვლელობებზე რუსეთში და ამ საქმეების "გამოძიების" სავალალო მდგომარეობაზე. ამერიკელი ექსპერტების განცხადებით, ამ საკითხების მოგვარებამდე რუსეთთან გრძელვადიან პარტნიორულ ურთიერთობებსა და "გადატვირთვაზე" ლაპარაკი ძალიან რთული იქნება.

## საგარეო უწყებაში კლინტონ-ლავროვის შეხვედრაზე საუბრობენ

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანია არ გამორიცხავს, რომ მოსკოვში ამერიკის სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონისა და რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის, სერგეი ლავროვის შეხვედრაზე საქართველოს საკითხიც განიხილონ.

როგორც ჯალაღონიამ ბრიფინგზე განაცხადა, ამის საფუძველს კლინტონის მიერ რამდენიმე დღის წინ პრესაში გაკეთებული კომენტარი იძლევა, სადაც აღნიშნავს, რომ მიუხედავად ამერიკის მხრიდან მცდელობისა, უფრო ახალ დონეზე აიყვანოს თანამშრომლობა, ამერიკა გვერდს არ აუვლის ისეთ საკითხებზე მსჯელობას, რომლებზეც მხარეებს თანმხვედრი პოზიციები არა აქვთ. საკითხებს შორის არის საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობები, 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების რუსეთის მხრიდან შეუსრულებლობა, საქართველოში რუსეთის აგრესიის შედეგების აღმოფხვრის თემა, საკითხი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი ამერიკის შეერთებული შტატებისა და ყველა ცივილიზებული სამყაროს მხარდაჭერის შესახებ.

გარდა ამისა, სააგენტო " ინტერპრესნიუსის " ცნობით, დავით ჯალაღანიამ ზოგიერთი უკრაინელი დეპუტატის განცხადებაზე უკრაინა-საქართველოს შორის იარაღით ვაჭრობასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა. როგორც მან აღნიშნა, პარტნიორ ქვეყნებს შორის იარაღით ვაჭრობა სუვერენული უფლებაა. **"თავად უკრაინის ხელისუფლების მხრიდანაც არაერთხელ თქმულა, რომ თუ უკრაინასა და საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობებში ფიგურირებდა შეიარაღებული ძალებისთვის განკუთვნილი პროდუქცია, ეს ხდებოდა ღიად, არსებული საერთაშორისო სტანდარტის ყველა წესის დაცვით და ამაში არალეგიტიმური არაფერი არ იყო",**-განმარტა დავით ჯალაღანიამ

## იუნესკო ოკუპირებულ ტერიტორიებზე

საპარლამენტო უმრავლესობაში იუნესკოს ექსპერტების ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის საკითხს მნიშვნელოვანს უწოდებენ, თუმცა, არ გამორიცხავენ, რომ ამ პროცესს მოსკოვმა რაიმე ფორმით ხელი შეუშალოს.

სააგენტო " ინტერპრესნიუსის " ცნობით, საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გოკა გაბაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, ქართულ მხარეს ფოტო მტკიცებულებებიც აქვს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე კულტურულ ძეგლებზე ქართული კვალის წაშლის პროცესი მიმდინარეობს. მისი თქმით, კარგი იქნება თუ ამ ფაქტებს იუნესკოს ექსპერტებიც დაადასტურებენ და იქ შექმნილ მდგომარეობას ადგილზე გაეცნობიან.

## ამერიკის პროფკავშირები თბილისში

ამერიკის პროფკავშირების აიოვას და ნებრასკას შტატის თავმჯდომარეები თბილისში იმყოფებიან. საქართველოს პროფესიული კავშირის ცნობით, ისინი ერთი კვირის განმავლობაში თბილისში მეტროს, ტრანსპორტის, პედაგოგთა, თვითდასაქმებულთა და სხვა პროფესიული კავშირების წარმომადგენლებთან გამართავენ შეხვედრას და გამოცდილებას გაუზიარებენ. მათივე ინფორმაციით, შეხვედრების ერთ-ერთი მთავარი თემა ქვეყნის შრომით, სოციალურ თუ ეკონომიკურ ცხოვრებაში პროფკავშირების არსებობის მნიშვნელობაა.

სააგენტო "ექსპრესნიუსის" ცნობით, აიოვას და ნებრასკას შტატის პროფკავშირების თავმჯდომარეები კენ საგარი და კენ მასი ხვალ გორს ეწვევიან და კონფლიქტის ზონის სოფლებში მასწავლებლებს და სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს შეხვდებიან, რათა უკეთ გაეცნონ კონფლიქტის დეტალებს და მოსახლეობის მხადაჭერა გამოხატონ. შტატების პროფკავშირების ლიდერები ასევე გეგმავენ გამგზავრებას იმერეთსა და ქვემო ქართლშიც, რათა ქართველ კოლეგებს გაუზიარონ გამოცდილება, რაც აქვთ თეთრი სახლის ადმინისტრაციასთან და პრეზიდენტ ობამასთან ურთიერთობის კუთხით.

აღსანიშნავია, რომ ობამა ერთი თვის წინ ამერიკის პროფკავშირების კონფედერაციის ყრილობას დაესწრო. ობამამ მედიცინის სფეროში დაზღვევის სისტემასთან დაკავშირებით კანონპროექტის შემუშავებისას პროფკავშირების მხადაჭერა მიიღო.

## მანილაში დაკავებული ქართველი მეზღვაურები

საქართველოს საგარეო უწყება ფილიპინებში დაკავებული ქართველი მეზღვაურების დასახმარებლად ყველა არსებულ შესაძლებლობას გამოიყენებს. ამის შესახებ გუშინდელ ბრიფინგზე საგარეო უწყების ხელმძღვანელის მოადგილემ, დავით ჯალაღანიამ განაცხადა.

მისი თქმით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ქართველების დაკავების დღიდან ჩართულია ამ საქმეში. როგორც ჯალაღანიამ აღნიშნა, მიმდინარეობს მუდმივი დიალოგი ფილიპინების მხარესთან. გამომდინარე იქიდან, რომ ფილიპინებში საქართველოს, ხოლო საქართველოში ფილიპინების დიპლომატიური წარმომადგენლობები არ არსებობს, საქმეში ჩართული იყო სხვა ქვეყნებში არსებული დიპლომატიური წარმომადგენლობები. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მხოლოდ იმას განმარტავენ, რომ შესაძლოა 12 ქართველი მეზღვაურის გათავისუფლების საქმეში მინისტრი პირადად ჩაერთოს.

**"არ გამოვრიცხავთ, მოლაპარაკება შედგეს უშუალოდ მხარეებს შორის, შესაძლოა ეს მინისტრების დონეზეც მოხდეს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო შესაძლებლობების ფარგლებში ყველაფერს გააკეთებს"**, - განუცხადა ჟურნალისტებს საგარეო უწყების ხელმძღვანელის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ.

შეგახსენებთ, რომ ფილიპინებზე პანამის დროშის ქვეშ მცურავი გემი, რომლის ეკიპაჟის 13 წევრიც საქართველოს მოქალაქეა, 17 აგვისტოს დააკავეს. არსებული ინფორმაციით, გემს კონტრაბანდული იარაღი გადაჰქონდა.

ამასთან, ერთ-ერთმა დაკავებულმა, თამაზ მალაყმაძემ 10 ოქტომბერს "ინტერპრესნიუსს" აცნობა, რომ დაკავებულ 13 ქართველ მეზღვაურს მათ საქმეზე მანილის სასამართლოს გადაწყვეტილებას არ აცნობენ.

## ევროკავშირსა და საქართველოს შორის საერთო საავიაციო სივრცეზე მოლაპარაკებები დეკემბერში განახლდება

ევროკავშირსა და საქართველოს შორის საერთო საავიაციო სივრცის შექმნასთან დაკავშირებით მოლაპარაკებათა მეორე რაუნდი წლის ბოლოს, დეკემბერში გაიმართება. ამის შესახებ მედიას ინფორმაცია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ, დღეს გამართულ კვირის შემაჯამებელ ბრიფინგზე მიაწოდა.

მისი შეფასებით, წარმატებით დასრულდა აღნიშნულთან დაკავშირებით მხარეებს შორის გამართული მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი. "მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი წარმატებული იყო. მხარეებმა ხელი მოაწერეს ოქმს, რომლის თანახმადაც ისინი ვალდებულნი არიან ამ მიმართულებით იმუშაონ. საქართველო-ევროკავშირს შორის საერთო საჰაერო სივრცის შექმნასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების მეორე რაუნდი დეკემბრის დასაწყისში გაიმართება", - განაცხადა ჯალაღანიამ.

შეგახსენებთ, რომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის საერთო საავიაციო სივრცის შექმნასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების პირველი რაუნდი 7 ოქტომბერს დასრულდა. საჰაერო სივრცის გახსნის თაობაზე მოლაპარაკება 37 ქვეყანასთან მიმდინარეობს, საიდანაც 27 ევროკავშირის წევრია.

ქართული მხარე მზადაა, ამ მიზნით კანონმდებლობის ევროსტანდარტებთან ჰარმონიზაცია მოახდინოს და ევროკავშირის საავიაციო სტანდარტები განახორციელოს. სწორედ ამის შემდეგ არის შესაძლებელი საბაზრო ბარიერების გახსნა, რითაც საქართველო ევროკავშირის შიდა საავიაციო ბაზაარს დაუკავშირდება.

## კახა ბაინდურაშვილი: საქართველოს საფინანსო სექტორი ძალიან მყარია

გლობალური ფინანსური კრიზისის გავლენა ეკონომიკაზე შემცირდა, - ამის შესახებ "ჯი-ეიჩ-ენს" ფინანსთა მინისტრმა კახა ბაინდურაშვილმა განუცხადა. მისი თქმით, საქართველოს საბანკო სისტემა მსოფლიო კრიზისს გადაურჩა. "ჩვენ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ საქართველოს საბანკო სისტემა მსოფლიო კრიზისს გადაურჩა. კი გარკვეულმა ბიზნესებმა იზარალეს, მაგრამ მთლიანობაში საქართველოში საფინანსო სექტორი არის ძალიან მყარი. შესაბამისად უარყოფითი გავლენა ბიზნესსზე აღარ იზრდება", - განაცხადა "ჯი-ეიჩ-ენთან" საუბარში ბაინდურაშვილმა და აღნიშნა, რომ საბიუჯეტო პოლიტიკის ცვლილებისა აუცილებლობა აღარ არსებობს.

ქვეყანას საგარეო ვალის გადახდა შეუძლია, - განაცხადა "ჯი-ეიჩ-ენთან" საუბარში საქართველოს ფინანსთა მინისტრმა კახა ბაინდურაშვილმა. მისი თქმით, საგარეო ვალი გაიზარდა და ეს აბსოლუტურად ნორმალურია, მაგრამ საგარეო ვალის მოცულობა არავითარ შემთხვევაში არ არის დიდი და "საგარეო ვალის მომსახურება არის ძალიან დაბალი 5%."

"საგარეო ვალი გაიზარდა ორი მიზეზის გამო: ერთია ევრობონდი და მეორე აგვისტოს მოვლენების შემდგომ გამყოფილი დახმარების ხარჯზე. ის 4,5 მილიარდი დოლარი, რომელიც დონორებმა გამოგვიყვეს არის ძალიან შეღავათიანი კრედიტი და თუ მოვახერხეთ და დონორების მიერ გამოყოფილი თანხის გაზრდა მოვახერხეთ ეს იმდენად დაბალპროცენტიანი სესხია რომ მისი მომსახურეობაც კი არ გაგვიჭირდება", - განაცხადა"ჯი-ეიჩ-ენთან" საუბარში ბაინდურაშვილმა.

ცნობისთვის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, მიმდინარე წლის 31 სექტემბრის მდგომარეობით სულ სახელმწიფოს მიერ და სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტები 3,301,512 ათას აშს დოლარს შეადგენს.

## სსფ საქართველოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკით კმაყოფილია

საერთაშორისო სავალუტო ფონდი მიესალმება იმ ღონისძიებებს, რომელიც საქართველოში გატარდა სავალუტო აუქციონებზე გადასვლასთან დაკავშირებით. განაცხადა სსფ-ის აღმასრულებელი დირექტორის მეგ ლუნდსგერის განცხადებით, ამ ღონისძიებამ ხელი უნდა შეუწყოს გაცვლითი კურსის კიდევ უფრო მოქნილობას ბაზარზე არსებული ვითარებიდან გამომდინარე.

"ეს ნაბიჯები ხელს შეუწობს ცენტრალური ბანკის მენეჯმენტს შინაური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გასატარებლად",- განაცხადა სსფ-ის აღმასრულებელმა დირექტორთა მეგ ლუნდსგერიმ.

საქართველოში ვიზიტის დროს სავალუტო ფონდის აღმასრულებელი დირექტორები იმყოფებოდნენ წეროვანში, სადაც იძულებულ ადგილნაცვალ პირთა დასახლება და ახლადაშენებული სკოლა მოინახულეს. რუსთავში შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს საქმიანობას გაეცნენ. აღმასრულებელი დირექტორები აჭარას სტუმრობდნენ, სადაც მიიღეს ინფორმაცია რეგიონის ზრდადი ტურიზმისა და ტურისტული ბიზნესის შესახებ. სტუმრებმა ბათუმში განხორციელებული ინფრასტუქტურული პროექტებიც დაათვალიერეს.

სავალუტო ფონდის აღმასრულებელი დირექტორები თბილისიდან ერევანში გაემგზავრნენ.

8-10 ოქტომბერს, საქართველოს ეროვნული ბანკი საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორთა დელეგაციას მასპინძლობდა მეგ ლუნდსგერის(აშშ), ტომას მოზერის(შვეიცარია), კლაუს შტეინის (გერმანია), იანს ჰენრიქსონის(შვედეთი), ეიჯ ბეკერის(ჰოლანდია) და ი ჯიანქშონგის (ჩინეთი) შემადგენლობით. ფონდის ხელმძღვანელი პირები საქართველოში თურქეთიდან ჩამოვიდნენ, სადაც მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოველწლიური შეხვედრა გაიმართა.

# საქართველო ევროკავშირის საჰაერო სივრცეში შესასვლელად ემზადება

სოფო ჩიხლაძე

ევროკავშირსა და საქართველოს შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ ხელშეკრულება შესაძლოა მომდევნო წელს გაფორმდეს. ამ ინიციატივით ქართულმა მხარემ ევროკავშირის შესაბამის სტრუქტურებს 2004 წელს მიმართა, თუმცა პირველი ოფიციალური შეხვედრა ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე ევროკომისიის დელეგაციასა და ქართულ მხარეს შორის ცოტა ხნის წინ თბილისში, მთავრობის კანცელარიაში შედგა. ევროკავშირმა საქართველოსთან საჰაერო ტრანსპორტის სფეროში ყოვლისმომცველი შეთანხმების გასაფორმებლად მოლაპარაკებების დაწყებაზე გადაწყვეტილება მიმდინარე წლის 11 ივინისს ამ ორგანიზაციის ტრანსპორტის, კომუნიკაციებისა და ენერგეტიკის საკითხთა საბჭოს სხდომაზე მიიღო და მოლაპარაკებების წარმოების უფლება ევროკომისიას მისცა.



საქართველოში ორდღიანი სამუშაო ვიზიტით მყოფ ევროკომისიის დელეგაციასთან ქართულმა მხარემ ევროკავშირსა და საქართველოს შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ ერთიანი შეთანხმების ირგვლივ რიგი საკითხები განიხილა. აღსანიშნავია, რომ შეთანხმება მიზნად ისახავს მხარეების მიერ შესაბამისი ავიაბაზრების გახსნას, რათა ავიაკომპანიებმა კომერციული პრინციპების საფუძველზე დაუბრკოლებლად განახორციელონ საჰაერო მიმოსვლა და იმუშაონ სამართლიანი კონკურენციის პირობებში.

ევროკომისიასთან გამართული შეხვედრის შესახებ "24 საათი" საქართველოს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის ხელმძღვანელ გიორგი ბოკუჩავას ესაუბრა.

**- ბატონო გიორგი, ევროკომისიის დელეგაციასთან შეხვედრისას რა საკითხები განიხილეთ?**

- ევროკომისიის დელეგაციამ შეთანხმების ხელშეკრულება ჩამოიტანა, რომელსაც ჩვენ გავეცანით, თუმცა მათთან შეხვედრისას ხელშეკრულება დეტალებში არ განგვიხილავს. ევროკომისიის წარმომადგენლებმა 2-დღიანი ვიზიტის ფარგლებში ზოგადად ისაუბრეს, თუ რას გულისხმობს შეთანხმება, რამდენი ქვეყანა უერთდება მას, რა პრივილეგიებია და რა ვალდებულებები უნდა ავიღოთ. ანუ ეს იყო გაცნობითი ხასიათის შეხვედრა.

**- ხელშეკრულების გაფორმების პროცესში საქართველოსა და ევროკომისიის მხრიდან ვინ იქნება ჩართული?**

- ევროკომისიის მხრიდან ამ პროცესში ორგანიზაციის ტრანსპორტის დეპარტამენტის სპეციალისტები და ევროკავშირის რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენლები არიან ჩართულნი, საქართველოს მხრიდან კი - ჩვენი უწყება, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. ამ უწყებების წარმომადგენლები დეტალურად განიხილავენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და თავიანთ შენიშვნებს წარმოადგენენ. ამის შემდეგ კი შეთანხმების თანახმად, ევროკომისიის წევრებს 2-დან 4 ოქტომბრის ჩათვლით ბრიუსელში კონკრეტული ინიციატივებით შევხვდებით. ჩვენ ვისაუბრებთ იმის თაობაზე, თუ რის დამატებას, ან ამოღებას ვაპირებთ ხელშეკრულებიდან. თუკი ხელშეკრულების ტექსტის საბოლოო ვარიანტზე შევთანხმდით, მოკლე პერიოდში მას ხელი მოეწერება. ეს ალბათ 2010 წელში მოხდება, მაგრამ თუ საბოლოო ტექსტზე ვერ შევთანხმდით, ამ საკითხზე ევროკომისიასთან მოლაპარაკებები, რა თქმა უნდა, გაგრძელდება.

**- ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში ქართულ მხარეს რა ვალდებულებების შესრულება მოუწევს?**

- ჩვენ ვალდებულნი ვიქნებით, მოვახდინოთ ქართული კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროკავშირის საავიაციო კანონმდებლობასთან და იმ ტექნიკური თუ სხვა სახის სტანდარტების დაცვა, რაც ევროკავშირს აქვს დაწესებული. დეტალურად იმის შესახებ, თუ რა ვალდებულებების აღება მოგვიწევს, მას შემდეგ ვისაუბრებ, რაც ამ ხელშეკრულებას დაწვრილებით გავეცნობით.

**- რამდენად დროულია საქართველოსთვის ამ ხელშეკრულების გაფორმება?**

- ხელშეკრულების გაფორმება ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან სასარგებლო იქნება. საქართველო ევროკავშირში ინტეგრაციისკენ ისწრაფვის. მინდა გითხრათ, რომ ევროკავშირთან თუ შეთანხმებას მივაღწიეთ, ეს იქნება ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯი, რადგანაც ავიაციის სფეროში საქართველო ევროკავშირის წევრი გახდება და ჩვენთვის გაიხსნება ევროკავშირში შემავალი 27 ქვეყნის და კიდევ დამატებით 10 ქვეყნის კარი. ანუ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ 37 ქვეყანასთან არ გვექნება პრობლემა, თუ რა სიხშირით, რომელ დანიშნულების პუნქტში და რა თვითმფრინავებით იფრენენ ქართული კომპანიები. აეროპორტებთან მხოლოდ ფრენების დრო იქნება შესათანხმებელი.

**- ავიაკომპანიებს ევროკავშირის ზონაში ნებისმიერი ტიპის თვითმფრინავით ფრენის უფლება არ ეძლევა, ამ მხრივ პრობლემები გვექნება...**

- ხელშეკრულებაში არის ერთ-ერთი ვალდებულება - სახელმწიფო რეესტრში არ უნდა გვყავდეს ისეთი ტიპის თვითმფრინავები, რომლებიც ევროსტანდარტებს არ შეესაბამებიან. ასეთი თვითმფრინავები ამჟამად საქართველოში რეგისტრირებულ ბევრ ავიაკომპანიას ჰყავს... არის სატვირთო თვითმფრინავები, რომლებიც აფრიკაში, დუბაიში და ა.შ. დაფრინავენ, ისინი ევროკავშირში შესაძლოა არასდროს შევიდნენ. მაგრამ ვინაიდან საქართველოს სახელმწიფო რეესტრში არიან გატარებულნი, ქართული ავიაკომპანიის საკუთრებად ითვლებიან. ევროკავშირთან შეთანხმების გაფორმების შემდეგ შეზღუდვები, რა თქმა უნდა, მათზეც გავრცელდება. თვითმფრინავის გამოცვლა რამდენიმე თვეში ძნელია, ამიტომ კომპანიებს ამისათვის გარდამავალი პერიოდი ექნებათ. ჩვენ ვეცდებით, ევროკავშირთან ხელშეკრულება გავაფორმოთ და ვისაც ფრენების შესრულება შეეძლება, მათ 37 ქვეყანაში იფრინონ. იმ კომპანიებმა კი, რომელთა თვითმფრინავებიც ევროსტანდარტებს ვერ დააკმაყოფილებენ, ან თვითმფრინავები უნდა შეცვალონ, ან საქართველოს რეესტრიდან ამოიღონ და სხვაგან დაარეგისტრირონ.

**- ეს შეთანხმება ალბათ მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საქართველოში საავიაციო უსაფრთხოებისა და უშიშროების თვალსაზრისითაც...**

- საავიაციო უსაფრთხოებისა და უშიშროების მხრივ ჩვენ პრობლემა არ გვაქვს. გაზაფხულზე საქართველოში იმყოფებოდნენ "იკაოს" და ევროკავშირის ექსპერტები, რომლებმაც უშიშროება-უსაფრთხოების საკითხები შეისწავლეს. მათი დასკვნების თანახმად საქართველოს ამ მხრივ პრობლემები არ აქვს.

**- ცოტა ხნის წინ საქართველოში აშშ-ს საჰაერო უშიშროების ადმინისტრაციის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ, მათთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად 8-კაციან სამუშაო ჯგუფს ქართულ ავიაციაში მიმდინარე პროცესები უნდა შეესწავლა და დაედო დასკვნა. საინტერესოა, რა რეკომენდაციები მიიღეთ ამერიკელებისგან?**

- მათ დასკვნა ჯერ არ გამოუგზავნიათ. აშშ-ს საჰაერო უშიშროების სამსახური საქართველოში უშიშროების საკითხებზე არ მუშაობდა. ისინი ზოგადად აქ არსებულ ვითარებას გაეცნენ და მოგვცემენ რეკომენდაციას, თუ რომელ ქვეყანაში და კონკრეტულად რა მიმართულებით ავუმაღლოთ კვალიფიკაცია ჩვენს თანამშრომლებს.

**- გასულ კვირას თურქეთში "იკაოს" წევრი ქვეყნების მონაწილეობით კონფერენცია ჩატარდა, მას თქვენც ესწრებოდით. რამდენად საინტერესო და შედეგიანი იყო კონფერენცია ქართული მხარისთვის?**

- კონფერენცია, რომელშიც "იკაოს" წევრი 56 ქვეყნის წარმომადგენლები იღებენ მონაწილეობას ყოველწლიურად ტარდება და შემდეგ მიმდინარეობს მოლაპარაკებები. კონფერენციაზე საუბარი იყო საჰაერო ლიბერალიზაციის შესახებ. ეს საკითხი ჩვენთვის საინტერესოა, რადგანაც გამოცხადებული გვაქვს ღია ცის პოლიტიკა და ნებისმიერ ლიბერალურ შეთანხმებაზე თანახმა ვართ. კონფერენცია საინტერესოა იმის გამოც, რომ მის ფარგლებში შესაძლებლობა გაქვს ხელშეკრულების შეცვლის, პირობების გადახედვის და ა.შ. შეგიძლია, მოლაპარაკებები ყველა მონაწილე ქვეყანასთან აწარმოო. ჩვენ 7 ქვეყნის წარმომადგენლებს შევხვდით. აქედან პოლონეთთან, ქუვეითთან და უნგრეთთან სრულ ლიბერალურ ხელშეკრულებაზე შევთანხმდით. ინდოეთს და პაკისტანს სრული ლიბერალიზაცია არ აქვს გამოცხადებული, მაგრამ მათთან ხელშეკრულების პირობები გავაუმჯობესეთ, ისევე როგორც საბერძნეთთან. საერთო ჯამში ეს შეხვედრები ქართული მხარისთვის საკმაოდ შედეგიანი იყო.

**- რატომ არ თანხმდება სხვადასხვა ქვეყანა სრულ საჰაერო ლიბერალიზაციაზე?**

- მათ კომერციული ინტერესები აქვთ. ისინი თავიანთ ავიაკომპანიებს ლობირებენ - მიზეზი ეს არის.

# კავკასიის უნივერსიტეტში დასავლური ტიპის სადოქტორო პროგრამა დაინერგა

ნათია ყიფიანი




კავკასიის უნივესრიტეტის კავკასიის ბიზნესის სკოლაში, პირველად ამეირკავკასიის რეგიონში ჩატარდა სადოქტორო დისერტაციის დაცვა ბიზნესის ადმინისტრირებაში, მარკეტინგში თემაზე: "მომსახურების ნაცნობობის ზეგავლენა მომხმარებლის მეირ აღქმულ მომსახურების ხარისხსის შეფასების პროცესზე." ნაშრომი კავკასიის უნივერსიტეტის პედაგოგს ბორის ლეჟავას ეკუთვნოდა. ღონისძიებასთან დაკავშირებით, საქართველოს ეწვია ორი პროფესორი კავკასიის უნივერსიტეტის პარტნიორი უნივესრიტეტიდან. კერძოდ, ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან (ატლანტა, ჯორჯია, აშშ), ბიჟან ფაზლოლაჰი და ნავინ დონთუ. პროფესორი დონთუ ბორის ლეჟავას თემის ხელმძღვანელია.

სადოქტორო ხარისხი დააფინანსა აშშ-ს საგანმანათლებლო და კულტურის ბიურომ და პირველი რეზულტატი მიღწეულია. 2007 წლის ოქტომბერში კავკასიის ბიზნესის სკოლაში ბორის ლეჟავამ წარადგინა სადისერტაციო განაცხადი მარკეტინგის დარგში. დისერტაციის განაცხადის თემა არის "მომსახურების ნაცნობობის ზეგავლენა მომხმარებლის მიერ აღქმულ მომსახურების ხარისხის შეფასების პროცესზე." პროგრამა მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლების განვითარებისთვის, არამარტო კავკასიის რეგიონში, არამედ დსთ-ს ქვეყნებში. კავკასიის უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამები, ერთადერთი ამერიკული სტილის სადოქტორო პორგრამებია რეგიონში. კავკასიის ბიზნესის სკოლის მიზანია ჰყავდეს ხარიასხიანი პროფესორ-მასწავლებლები და მკვლევარები, რომლებიც ემსახურებიან ბიზნესის სკოლებს ახალი ცოდნის შესაქმნელად ბიზნესის სფეროში და ცდილობენ გააძლიერონ განათლება, დემოკრატიული და თავისუფალი საბაზრო ინსტიტუტების მხარდაჭერით, საქართველოში და მეზობელ ქვეყნებში.

სადოქტორო პროგრამების კანდიდატებმა თბილისში მეთოდოლოგიური კურსები გამართეს და შემდეგ მონაწილეობა მიიღეს ატლანტაში გამართულ სემიანრებში. სტუდენტებს ამზადებენ სემინარების მეშვეობით, რათა მათ უხელმძღვანელონ კვლევას სპეციალიზაციის სფეროში და პროგრამის ბოლოს დისერტაცია წარმოადგინონ. დისერტაციის საბოლოო დაცვა თბილისში იმართება.

ჯორჯიის უნივერსიტეტის პროფესორი ნავინ დონთუ, ბორის ლეჟავას შედეგით კმაყოფილია და აცხადებს, რომ სადოქტორო პროგრამის დანერგვა კავკასიის უნივერსიტეტისთვის უმნიშვნელოვანესია.

"ბორისის კვლევა ძალიან სერიოზული იყო, ორი წლის განმავლობაში ვმუშაობდით აღნიშნულ თემაზე. ამ ხნის განმავლობაში იგი ორჯერ ამყოფებოდა ჯორჯიის უნივერსიტეტში სემინარებზე. ჩვენმა შრომამ შედეგი გამოიღო." - აღნიშნა ჯორჯიის უნივერსიტეტის პროფესორმა ნავინ დონთუმ.

კავკასიის უნივესრიტეტის პედაგოგი ბორის ლეჟავა: "ჩვენ ჯორჯიის უნივერსიტეტთან ხანგრძლივი პარტნიორული ურთიერთობები გვაქვს. უნივერსიტეტმა მიმართა USAID-ის, რომ დაგვხმარებოდა სადოქტორო პორგრამის დანერგვაში. შერჩევის შედეგად ატლანტაში გავემგზავრეთ 6 ადამიანი, ყველა ხარჯი USAID-მა გაიღო. ვიმუშავეთ და შეიქმნა სადოქტორო პროგრამა, რომლის საშუალებითაც სტუდენტებს აღარ მოუწევთ საზღვარგარეთ გამგზავრება და იქ სადოქტორო ხარისხის დაცვა, რადგან შეეძლებათ საქართველოში გაიარონ ამერიკული სტილის სადოქტორო პროგრამა და გახდნენ თანამედროვე მეცნიერები."

"კავკასიის უნივერსიტეტში დაინერგა პირველი ამერიკული სტილის სადოქტორო პროგრამა, როემლიც პირველია დსთ-ს სივრცეში. ეს პროგრამა მნიშვნელოვანია მათთვის, ვინც მომავალში გადაწყვეტს ასწავლოს ახალგაზრდებს ბიზნესის მიმართულება. ჩვენ ამ სახით ვთანამშრომლობთ ეგვიპტესთან და პოლონეთთანაც." - განაცხადა ჯორჯიის უნივერსიტეტის პროფესორმა ბიჟან ფაზლოლაჰმა.

კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი კახა შენგელია: "სადოქტორო პროგრამა USAID-მა დააფინანსა. ჩვენი პარტნიორი გახლავთ ჯორჯიის უნივერსიტეტი, სადაც ბორის ლეჟავა 2 წლის განმავლობაში მუშაობდა მის მიერ არჩეულ თემაზე. სადოქტორო ხარისხის დაცვის შემდეგ ბორის ლეჟავას ეძლევა კავკასიის უნივერსიტეტისა და ჯორჯიის უნივერსიტეტის დოქტორანტურის დიპლომი."

# სსფს ვიზიტი დასრულდა

## ფონდი "ეკონომიკური თავისუფლების აქტს" შეისწავლის

ნინო ნატროშვილი

სტამბულში, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პრობლემატიკის განხილვის შემდეგ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექვსწევრიანი დელეგაცია თბილისში ჩამოვიდა. ფონდის წარმომადგენლები ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, ფინანსთა მინისტრს და კომერციული ბანკების ხელმძღვანელებს შეხვდნენ. IMF-ის აღმასრულებელი დირექტორების ვიზიტის ფარგლებში, ეროვნული ბანკის ორგანიზებით გამართულ მრგვალ მაგიდაში, IMF-ის დელეგაციასთან ერთად, მონაწილეობდნენ ფინანსთა მინისტრი კახა ბაინდურაშვილი, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გიორგი ქადაგიძე, კომერციული ბანკების წარმომადგენლები.

სავალუტო ფონდის (IMF) აღმასრულებელი დირექტორის, მეგ ლუნდსგერის თქმით, IMF-ის დირექტორები საქართველოში ვიზიტის ფარგლებში ქვეყნის ეკონომიკური გუნდის წარმომადგენლებს შეხვდნენ. "ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა, შევხვედროდით მთავრობისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებს. სხვადასხვა ქვეყანაში ვიზიტების დროს ჩვენ ვსწავლობთ, რა გამოწვევევების წინაშე დგას ქვეყანა, როდესაც ეკონომიკურ პოლიტიკას ახორციელებენ" - განაცხადა მეგ ლუნდსგერმა.

საქართველოში სსფს ვიზიტის მიზეზი ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენის შეფასება იყო. "საქართველო შედის იმ ქვეყანათა სიაში, რომელმაც იხილა კრიზისის ზეგავლენა ვაჭრობაზე და ინვესტიციებზე. სხვა ქვეყნების მსგავსად, გააგრძელებს ამ ზეგავლენის ქვეშ ყოფნას გარკვეული პერიოდის მანძილზე, მაშინაც კი, როცა დაწყება ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის პირველ ნაბიჯები. ამიტომ საქართველოს მთავრობის მიერ აღებული პირობა სავალუტო ბაზრის მოქნილობასა, ეფექტურ და დროულ ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკის გატარების მიმართ რჩება ძალიან მნიშვნელოვანი" - განაცხადა მეგ ლუნდსაგერმა.

მისივე განცხადებით, საქართველოში ვიზიტის ფარგლებშიც გაეცნენ არსებულ გამოწვევებს და ისაუბრეს იმაზე, თუ როგორ შეიძლება საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოს დაეხმაროს, რადგან საქართველო არის ქვეყანა, რომელზეც კრიზისმა ზეგავლენა იქონია, როგორც სავაჭრო, ისე ინვესტიციების კუთხით. "სავალუტო ფონდის ამ დონის წარმომადგენლობითი ვიზიტი საქართველოში არ ყოფილა. სავალუტო ფონდთან გვაქვს ძალაინ მჭიდრო ურთიერთობა. ფონდის დახმარებით ძალიან ბევრი რამ გაკეთადა საქართველოში მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნების თვალსაზრისით. სსფს წარმომადგენლებმა ნახეს რეფორმების მიმდინარეობა საქართველოში. ის ველდებულებები რაც ჩვენ გვაქვს აღებული ფონდის წინაშე რეალურად სრულება. რასაც ისინი ბორდის სხდომებზე ჩანაწერებში ნახულობდნენ, საქართველოში რეალურად ხორციელდება. ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელმაც ძალიან ბევრი მიმართულებით მიაღწია წარმატებას. 15 სექტემბერს 750 მილიონი დოლარი მივიღეთ სავალუტო ფონდისაგან, ის არის პირველადი ორგანიზაცია, რომელიც აგვისტოს ომის სემდეგ დაგვეხმარა. უკვე. რამაც სავალუტო რეზერვების შევსებას შეუწყო ხელი" - ამბობს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე.

სავალუტო ფონდის წარმომადგენლებმა, ყველაზე დადებითი შეფასება ქვეყნის საბანკო სექტორს მისცეს. "საქართველოს საბანკო სისტემა მდგარდია და კომერციულ ბანკებს უპრეცედენტოდ მაღალი ლიკვიდობა აქვთ" ამის შესახებ საქართველოს მთავრობის დელეგაციასთან შეხვედრაზე თბილისში ვიზიტად მყოფი სავალუტო ფონდის წარმომადგენლებმა განაცხადეს. საქართველოს ფინანსთა მინისტრ კახა ბაინდურაშვილის თქმით კი ჭარბმა ლიკვიდობამ ბანკებში საკრედიტო პორტფელის გაზრდა და სესხების გაცემის გააქტიურება უნდა გამოიწვიოს. კახა ბაინდურაშვილის განცხადებითვე, საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკას მაღალ შეფასებას აძლევს. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გიორგი ქადაგიძის თქმით, დელაგაციის წევრები დარწმუნდნენ, რომ ფურცლებზე არსებული მონაცემები რეალობაა და საქართველო აღებულ ვალდებულბებს ასრულებს. ქადაგიძის განცხადებით, სავალუტო ფონდის დახმარება გარანტიაა, რომ საქართველო წარმატებულ სვლას განაგრძობს.

ფინანსთა მინისტრის კახა ბაინდუარაშვილის თქმით, 2009 წლის ბოლომდე 5 პროცენტიანი ეკონომიკური კლებაა მოსალოდნელი. "2010 წელს შევამცირეთ დეფიციტი, რადგან სხვა შემხვევაში მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა შეუძლებელ იქნება. შემცირებები არ შეეხება სოციალურ პროექტებს. მომავალ წელს ნავარაუდევია ეკონომიკის 2 პროცენტიანი ზრდა. სავალუტო ფონდთან სეხვდრისას საუბარი შეეხო ფინანსურ სექტორს. საბანკო სექტორი საქართველოში არის აბსოლიტურად მდგრადი. დეპოზიტებზე არის საგრძნობი ზრდა და ბანკების ლიკვიდურობა არის მაღალი. არსებობს ყველა პერსპექტივა იმისა, რომ უახლოეს მომავალსში ბანკებმა განაახლონ სასესხო პორტფელს ზრდა იმისათვის, რომ საბოლოოდ ეკონომიკა კიდევ უფრო გაიზარდოს"- განუცხადა კახა ბაინდურაშვილმა 24 საათს.

მეგ ლუნდსგერის განცხადებით, ვიზიტის ფარგლებში განხილული იქნა მთავრობის ფისკალური სტიმულირების პროგრამა, მოხდება "ეკონომიკური თავისუფლების აქტის" შესწავლა. ამასთან, მისი თქმით, IMF მიესალმება სავალუტო პოლიტიკას, რომელიც სავალუტო აუქციონების მეშვეობით განხორციელდა და მიიჩნევს, რომ ეს გაცვლითი კურსის მოქნილობას შეუწყობს ხელს.

## უახლოეს ორ წელიწადში პენსიების 100 დოლარამდე გაზრდა არ იგეგმება

უახლოეს ორ წელიწადში აპენსიების 100 დოლარამდე გაზრდა იგეგმება, - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა "ბიზნეს კურიერისთვის" მიცემულ ინტერვიუში. მისი თქმით, მთავრობა გეგმავს პენსიების გაზრდას, თუმცა 100 დოლარიანი პენსია უახლოესი ერთი ან ორი წლის პერსპექტივა არ არის

:მთავრობის გეგმებში პენსიების გაზრდა შედის, თუმცა 100 დოლარიანი პენსია უახლოესი ერთი ან ორი წლის პერსპექტივა არ არის", - განაცხადა გილაურმა.

## დიდი ბრიტნეთის ხელისუფლება 16 მილიარდი ფუნტი სტერლინგის სახელმწიფო აქტივების გაყიდვას გეგმავს

დიდი ბრიტნეთის ხელისუფლება გეგმავს, 16 მილიარდი ფუნტი სტერლინგის სახელმწიფო აქტივების გაყიდვას. ამ ღონისძიებით, გორდონ ბრაინის მთავრობა იმედოვნებს, აღადგინოს სახელმწიფო ფინანსების სტაბილურობა და შეამციროს საბიუჯეტო დეფიციტი. სახელმწიფო ქონების გაყიდვიდან მიღებული სახსრები გამოყენებული იქნება ვალის დაფარვისა და კაპიტალური შენატანების დაფინანსებისათვის.

ქვეყანაში საბაზრო ვითარების გაუმჯობესების შემდეგ ხელისუფლება ასევე გაყიდის სახელმწიფო ქონების უძრავ აქტივებს, რომლებიც სამინისტროებსა და უწყებებს ერიცხებათ და რომლიც ფასიც სავარაუდოდ 220 მილიარდ ფუნტ სტერლინგს შეადგენს.

აღნიშნული ღონისძიებები წარმოადგენს საკვანძო საკითხს ქვეყნის ხელისუფლების გეგმისა, რომელიც მიმართულია უახლოესი 4 წლის განმავლობაში სახელმწიფო ვალის ორჯერ შემცირებაში.

ბრიტანეთის ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას თავისი მოწინააღმდეგეებიც გააჩნია.

ლიბერალ დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ აქტივების გაყიდვა არის პრინციპული შეცდომა და მისი განხორციელება ქვეყნისთვის სასარგებლო არ იქნება.

## საზღვრისპირა სოფლების მოსახლეობა სრულ საინფორმაციო ვაკუუმშია

კახეთში, საზღვრისპირა სოფლების მოსახლეობა ქართულ პრესას ვერ ეცნობა. საქართველო - აზერბაიჯანის საზღვართან მდებარე სოფლების სამთაწყაროს, ფიროსმანის, ერისიმედის და კასრისწყალის მაცხოვრებლებმა პრესის გავრცელების სააგენტოებს სოფლებში გაზეთების შეტანა არაერთხელ სთხოვეს, მაგრამ უშედეგოდ.

როგორც "ჯი-ეიჩ-ენს" კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან აცნობეს, ადგილობრივების თქმით, საზღვრისპირა სოფლებში ქართული სამაუწყებლო კომპანიებიც შეფერხებით მაუწყებლობენ, განსხვავებით აზერბაიჯანის ტელევიზიებისგან. მოსახლეობა სრულ საინფორმაციო ვაკუუმშია.

პრესის გავრცელების სააგენტო "საქპრესის" დედოფლისწყაროს ფილიალის უფროსის მაია ნატროშვილის განმარტებით, საზღვრისპირა სოფლებში ჟურნალ - გაზეთების სარეალიზაციოდ შეტანა დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. მისივე თქმით, პრესის გავრცელების სააგენტოები ჟურნალ - გაზეთებს მხოლოდ ქალაქში და რამდენიმე მეზობელ, ძირითადად ცენტრალური ავტომაგისტრალის პირას მდებარე სოფელში ავრცელებენ.

აღსანიშნავია, რომ 2005 წლიდან, კახეთის საზღვრისპირა და მაღალმთიან სოფლებში რეგიონული გაზეთი "იმედი" ვრცელდებოდა, თუმცა 2009 წლის ივნისიდან ამ დრომდე გაზეთი "იმედი" არ გამოიცემა. საზღვრისპირა და მაღალმთიან სოფლებში გაზეთის შეტანას, ძიმედის" რედაქცია, თავდაპირველად, ერთი წლის განმავლობაში, საერთაშორისო კვლევებისა და გაცვლების საბჭოს ფინანსური მხარდაჭერით, ხოლო შემდეგ საკუთარი ხარჯებით ახდენდა.

## მსოფლიოს ცენტრალური ბანკები აშშ დოლარისადმი ნდობას კარგავენ

ბანკები აშშ დოლარისადმი ნდობას კარგავენ და საკუთარი, სარეკორდო რაოდენობის დოლარი რეზერვები ევროში და იაპონურ იენაში გადაჰყავთ.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ აღნიშნულმა შესაძლებელია გამოიწვიოს დოლარის კურსის შემდგომი დაწევა და იგი კატასტროფულ დონეს მიუახლოვდეს. შ

პეციალისტების მოსაზრებით, ბანკების ასეთი რეაქცია მოსალოდნელი იყო, რადგან აშშ-ს ხელისუფლება აუღიარებლად იწონებს ნაციონალური ვალუტის სისტემურ დაწევას ექსპორტის მხარდაჭერის მიზნით, ვიდრე დოლარის დაბალი კურსი არ დაიწყებს ახალი კრედიტორების დაფრთხობას.

დოლარის ICE ინდექსს, რომელიც ითვალისწინებს მის მიმართებას აშშ-ს ექვსი ძირითადი სავაჭრო პარტნიორის ვალუტასთან ისტორიული მინიმუმისაგან მხოლოდ 6 პუნქტი აშორებს..

სხვადასხვა უცხოული კომპანიის წარმომადგენლები და სახელმწიფო ჩინოვნიკები აღიარებენ, რომ დოლარის დასუსტება მათი ქვეყნების ეკონომიკას მნიშვნელოვან ზარალს აყენებს.

რიგი ანალიტიკოსებისა მიიჩნევს, რომ აღნიშნული ქმედება საგანგაშო არ არის და ის დროებითი მოვლენაა.

მათი განმარტებით სტაბილიზაცია იმ დროიდან დაიწყება, როდესაც ფედრალური სარეზერვო ფონდი დაიწყებს საპროცენტო განაკვეთის აწევას, რომელიც მიმდინარე პერიოდში 0 - 0.25 პროცენტის დიაპაზონზე იმყოფება.

## აფხაზური ანგარიშსწორება

აფხაზურმა მილიციამ ორი დღის წინ, გალის რაიონის სოფელ მეორე ოტობაიაში მცხოვრები ზურაბ ალფენიძე შელაპარაკების ნიადაგზე სასტიკად სცემა. აფხაზეთის ზურაბ ალფენიძის ახლობლების განცხადებით, ოჯახის წევრები დაზარალებულის ზუგდიდში გადმოყვანას და მისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენას ცდილობენ, თუმცა აფხაზური მილიცია ალფენიძის გადმოყვანის შესაძლებლობას არ აძლევს. დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა კი მძიმეა.

იმავე დღეს, აფხაზმა სეპარატისტებმა გალის რაიონის სოფელ საბერიოში ქობალიების ოჯახი დააყაჩაღეს. ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, სამი შეიარაღებული პირი ქობალიების ოჯახს თავს დაესხა. სეპარატისტებმა ოჯახის უფროსის ვალერი ქობალიას ავტომანქანაში ერთ ტონამდე თხილი ჩატვირთეს, ქობალიას ოჯახის წევრები გაკოჭეს და გაურკვეველი მიმართულებით მიიმალნენ. მოგვიანებით, უკანონო დაჯგუფებამ ქობალიას ავტომანქანაში ჩატვირთული თხილი ოკუპანტების დახმარებით სხვა სატვირთო მანქანაში გადაიტანა, ხოლო გატაცებული ავტომანქანა სოფელ საბერიოდან 5 კილომეტრის მოშორებით გზაზე მიატოვეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## 2009 წლის 9 თვეში ცენტრალური არქივები 2300-მდე მოქალაქეს მოემსახურა

2009 წლის 9 თვეში ცენტრალური არქივები 2300-მდე მოქალაქეს მოემსახურა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის საისტორიო, უახლესი ისტორიისა და კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური არქივების თანამშრომლები 2009 წლის ცხრა თვეში 2294 მოქალაქეს მოემსახურნენ.

მოქალაქეებზე გაცემულია თემატური და სოციალურ-უფლებრივი ხასიათის 3229 ცნობა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი პასუხებით. ამავე პერიოდში ცენტრალური არქივების სამკითხველო დარბაზებში 259-მა მკვლევარმა იმუშავა, მათგან 17 უცხოეთის მოქალაქე იყო.

ქართველ მკვლევარებთან ერთად, არქივებში დაცული დოკუმენტები შეისწავლეს და დაამუშავეს ჩეხმა, აზერბაიჯანელმა, ამერიკელმა, რუსმა, სომეხმა მკვლევარებმა. მათი კვლევის თემატიკა მრავალფეროვანი იყო: სავაჭრო ურთიერთობა კავკასიასა და შავიზღვისპირეთში; რუსეთის ადმინისტრაციის ოკუპაცია თურქეთის ტერიტორიაზე კავკასიასა და შავიზღვისპირეთში; პოეტ ოვანეს თუმანიანის ცხოვრება და მოღვაწეობა; მიგრაციის პროცესი სამხრეთ კავკასიაში (XIX ს.) კავკასიელი ბავშვების განათლება XIX საუკუნეში და სხვ.

## იუსტიციის მუშაკთა დღესთან დაკავშირებით ეროვნული არქივის თანამშრომლები დააჯილდოვეს

იუსტიციის სამინისტროს მუშაკთა დღესთან დაკავშირებით, იუსტიციის მინისტრმა ეროვნული არქივის ორი თანამშრომელი დააჯილდოვა. საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივის უფროსმა სპეციალისტმა დალი მჭედლიძემ და საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის სპეციალისტმა მანანა ჭაჭუამ მოქალაქეთა მომსახურების სფეროში წარმატებით მუშაობისათვის მადლობის სიგელები და ფასიანი საჩუქრები მიიღეს.

იუსტიციის მინისტრმა სულ იუსტიციის სამინისტროს სისტემაში მომუშავე 36 თანამშრომელი დააჯილდოვა.

იუსტიციის სამინისტროს მუშაკთა დღე 2006 წელს პრეზიდენტის ბრძანებულებით დაწესდა. ეს დღე უკავშირდება 1918 წლის 11 ოქტომბერს მომხდარ მოვლენას, ამ დღეს მიღებული კანონით იუსტიციის სამინისტროსთან დაარსდა პირველი სტრუქტურული ერთეული, საკოდიფიკაციო განყოფილება, რომელიც კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულს ოფიციალურად გამოსცემდა.

წლეულს სამინისტროს თანამშრომლებმა პროფესიული დღესასწაული კახეთში რთველით აღნიშნეს. ისინი ერთ-ერთ კახელ გლეხს მოსავლის აღებაში დაეხმარნენ. **საკუთარი ინფორმაცია**

## ქართველი მეზღვაურები პატიმრობაში რჩებიან

საქართველოს საგარეო უწყება ფილიპინებში დაკავებული ქართველი მეზღვაურების დასახმარებლად ყველა არსებულ შესაძლებლობას გამოიყენებს. ამის შესახებ გუშინდელ ბრიფინგზე საგარეო უწყების ხელმძღვანელის მოადგილე დავით ჯალაღანიამ განაცხადა. მისი თქმით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ქართველების დაკავების დღიდან ჩართულია ამ საქმეში.

როგორც ჯალაღონიამ აღნიშნა, მიმდინარეობს მუდმივი დიალოგი ფილიპინების მხარესთან. გამომდინარე იქიდან, რომ ფილიპინებში საქართველოს, ხოლო საქართველოში ფილიპინების დიპლომატიური წარმომადგენლობები არ არსებობს, საქმეში ჩართული იყო სხვა ქვეყნებში არსებული დიპლომატიური წარმომადგენლობები.

დავით ჯალაღანიას განცხადებით, შესაძლოა, საუბარი შედგეს უშუალოდ ქართველ და ფილიპინელ დიპლომატებს შორის. "არ გამოვრიცხავთ, მოლაპარაკება შედგეს უშუალოდ მხარეებს შორის, შესაძლოა ეს მინისტრების დონეზეც მოხდეს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო შესაძლებლობების ფარგლებში ყველაფერს გააკეთებს," - განაცხადა საგარეო უწყების ხელმძღვანელის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ.

ფილიპინებზე პანამის დროშის ქვეშ მცურავი გემი, რომლის ეკიპაჟის 13 წევრიც საქართველოს მოქალაქეა, 17 აგვისტოს დააკავეს. გავრცელებული ინფორმაციით, გემს კონტრაბანდული იარაღი გადაჰქონდა.

ამასთან, ერთ-ერთმა დაკავებულმა, თამაზ მალაყმაძემ 10 ოქტომბერს "ინტერპრესნიუსს" აცნობა, რომ დაკავებულ 13 ქართველ მეზღვაურს მათ საქმეზე მანილის სასამართლოს გადაწყვეტილებას არ აცნობენ. **ინტერპრესნიუსი**

# ანტიკრიზისული საბჭოს ახალი რეკომენდაციები

*სისხლის სამართლის ახალ საპროცესო კოდექსის პროექტში შესატანი ცვლილებების, ასევე სამართალდამცველი და სასამართლო სისტემის ცვლილებების პაკეტთან ერთად, პარლამენტის ანტიკრიზისულ საბჭოში ახალი ტიპის რეკომენდაციების მომზადებაზე მიმდინარეობს მუშაობა.*

საბჭოს ექსპერტის სამართლებრივ საკითხებში, ადვოკატ ლევან ადეიშვილის განცხადებით, პროექტი მზადდება და ის მოიცავს სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ კოდექსში, ასევე ორგანულ კანონებში და სხვა კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების პაკეტს.

**"ჩვენ ვმუშაობთ ნარკომანიის პრობლემებზე და უახლოეს პერიოდში პრეზიდენტს რეკომენდაციების პაკეტს წარვუდგენთ იმ ანტიკრიზისული ღონისძიებების შესახებ, რომელიც მოიცავს სხვადასხვა მიმართულებებს, ფართომაშტაბიანი სარეაბილიტაციო და სამკურნალო პროგრამებიდან დაწყებული საკანონმდებლო ცვლილებებით დამთავრებული. ერთ-ერთი ინიციატივა იქნება გაიმიჯნოს ნარკოტიკების მომხმარებელი და რეალიზატორი. ასევე, ცვლილება შევიდეს სამართლის კოდექსის 260-ე მუხლში და სსკ-ის 273 მუხლში, რომელიც ითვალისწინებს მომხმარებელთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. ასევე, ვამზადებთ რეკომენდაციას, იმასთან დაკავშირებით, რომ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებათა ნუსხაში განხორციელდეს ცვლილებები,"** - აცხადებს ლევან ადეიშვილი.

ლევან ადეიშვილის განმარტებით, ასევე ქვეყანაში არსებული მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიის მუშაობის დასკვნაშიც მოხვდა, 2050 წლისთვის საქართველოში შესაძლებელია მძიმე დემოგრაფიული მდგომარება შეიქმნეს, ამიტომ რეკომენდაციები მზადდება გადაუდებელი ღონისძიებების და საკანონმდებლო ინიციატივების პაკეტის სახით განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ, როგორც ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში ასევე, სხვა დარგებში.

ზემოთაღნიშნული ინიციატივები რეკომენდაციების სახით წლის ბოლოს წარედგინება პრეზიდენტს. ლევან ადეიშვილის განმარტებით, ანტიკრიზისულ საბჭოში მუშაობა მიმდინარეობს სხვა აქტუალურ საკითხებზე, რომელიც მოითხოვს საკანონმდებლო ცვლილებებს სხვადასხვა დარგებში.

# ტარიელ ონიანი და "იაპონჩიკის" მკვლელობა

*ვიაჩესლავ ივანკოვის მკვლელობა ბოლო დღეების მანძილზე რუსული მედიის წამყვანი თემა გახდა. გუშინ ცნობილი გახდა, იმ ქილერის ვინაობა, რომელმაც "იაპონჩიკს" ფაქტობრივად, სასიკვდილო ტყვია ესროლა. გავრცელებული ინფორმაციით, ქილერი ვეტერანი ავღანელი იყო და მას ბანდიტური დაჯგუფების ლიდერებმა მიაგნეს.*



რუსული მედიის ინფორმაციით, მაფიოზებმა მილიციას დაასწრეს და ქილერი, რომლის ვინაობაც ჯერჯერობით გასაიდუმლოებულია, სიცოცხლეს გამოასალმეს. ამავე ინფორმაციით, მკვლელობამდე მან მოასწრო შემკვეთის ვინაობის დასახელება. ამ ინფორმაციის მიხედვით, "იაპონჩიკის" მკვლელობა ტარიელ ონიანმა შეუკვეთა, რომელიც ამჟამად, რუსეთის ციხეში იმყოფება და "კანონიერი ქურდების" მიერ ცოტა ხნის წინათ გამოტანილ განაჩენს ელოდება. .

"რუსეთში შესაძლოა დაიწყოს ფართომასშტაბიანი ბანდიტური ომი," - ასეთი განცხადებები გაავრცელა რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ "იაპონჩიკზე" მომხდარი თავდასხმის დღესვე. ძალოვანებმა მაშინვე განაცხადეს, რომ "იაპონჩიკზე მომხდარი თავდასხმის საფუძველი ორ მაფიოზურ დაჯგუფებას შორის დაწყებული კონფლიქტი გახდა.

კრიმინალური ომი ორ ძლიერ კრიმინალურ დაჯგუფებას შორის გასულ წელს დაიწყო. როგორც რუსული მედია წერს, "კრიმინალურ სამყაროში" დაწყებული მსხვილი კონფლიქტის ორგანიზატორი ტარიელ ონიანი იყო, რომელმაც სფეროების გადანაწილების მიზნით, ომი გამოუცხადა ვიაჩესლავ ივანკოვის დაჯგუფებას.

უფრო ზუსტად, ონიანი იყო ორგანიზატორი "კრიმინალურ სამყაროში" დაწყებული მსხვილი კონფლიქტისა, "ლაშა რუსთაველის" ზედმეტსახელით ცნობილ ავტორიტეტთან და მის მეგობარ ასევე, "კანონიერ ქურდ" ასლან უსოიანთან, რომელიც "ხასან ბაბუს" ზედმეტსახელითაა ცნობილი. დიდი გავლენის მქონე "ლაშა რუსთაველი" მსოფლიოში სახელგანთქმული სლავური "ქურდული დაჯგუფების" ნათლიმამის ვიაჩესლავ ივანკოვის - "იაპონჩიკის" მფარველობით სარგებლობდა, რომელიც აქტიურად ჩაერთო ამ ომში. დანაშაულებრივ დაჯგუფებებს შორის სფეროების გადანაწილებისთვის მიმდინარე ბრძოლამ "ქურდული სამყარო" ორ დაპირისპირებულ ბანაკად გაყო. ამ კონფლიქტისას ათეულობით ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს. ბოლო თვეებშიო მოსკოვში 4 "კანონიერი ქურდი" მოკლეს. 24 მაისს მოსკოვში მოკლეს "კანონიერი ქურდი" ანდრეი გალუბევი, რომელიც "ხასან ბაბუს" კლანის წევრი იყო. მანამდე კი, მოკლეს სოჭელი ავტორიტეტი ალიკ მინალიანი, ასევე, უსოიანის ახლო მეგობარი. მინალიანი სოჭში სერიოზულ ბიზნესს აკონტროლებდა, რომლის ხელში ჩაგდების სურვილის ტარიელ ონიანს გაუჩნდა. პიროგოვოს წყალსაცავზე ჩაშლილი შეკრება სწორედ ამ ორ კლანს შორის ატეხილ კრიმინალური ომს მიეძღვნა, თუმცა ის მილიციამ ჩაშალა.

ვიაჩესლავ ივანკოვზე მომდარი თავდასხმის შედეგად, სისხლის სამართლის საქმე, თავდაპირველად თავდასხმის მუხლით აღიძრა. როგორც რუსეთის გენერალურ პროკურატურასთან არსებული საგამოძიებო კომიტეტის წევრები განმარტავენ, სისხლის სამართლის საქმე, შესაძლოა, გადაკვალიფიცირდეს და მას განზრახ მკვლელობის სტატუსი მიეცეს.

**"ახლა მოსალოდნელია, რომ ორივე მხარე სისხლის გუბეებს დააყენებს, თუმცა, გარკვეული დროის შემდეგ, რადგან "ქურდები" უნდა შეიკრიბნონ, საქმე გაარჩიონ და გამოიტანონ თავის განაჩენი,"** - აცხადებდნენ რუსეთის შსს-ში "იაპონჩიკზე" მომხდარი თავდასხმის შემდეგ.

როგორც მაშინ რუსული მედია წერდა, ომი ორ მაფიოზურ დაჯგუფებას შორის შესაძლოა, რუსეთის სპეცსამსახურების მიერ ყოფილიყო პროვოცირებული, მათი დიდი ძალაუფლების შესუსტების მიზნით. თავდაპირველად გავრცელებული ერთ-ერთი ვერსიით, "იაპონჩიკზე" თავდასხმა რუსეთის სპეცსამსახურების ქილერთა საიდუმლო ბრიგადის წარმომადგენელმა განახორციელა.

რუსული მედია აქვეყნებს იმ "კრიმინალური ავტორიტეტების" სრულ სიას, რომლებიც ვიაჩესლავ ივანკოვის დაჯგუფების წევრებად და ახლობლებად ითვლებოდნენ. ამ სიაში დასახელებულთაგან ბევრი ცნობილ ქართველი "კრიმინალური ავტორიტეტია".

საუბარია ოთარ და ამირან კვანტრიშვილებზე, რომლებიც სიაში "იაპონჩიკის" მოსწავლეებად არიან მოხესენიებული.

**"იაპონჩიკმა" ისინი თავის ბრიგადაში ჯერ კიდევ 80-იან წლებში მიიღო. 1993 წელს ქილერმა ამირან კვანტრიშვილი სიცოხლეს გამოასალმა. ერთი წლის შემდეგ კი სნაიპერის ტყვიამ მისი ძმა ოთარ კვანტრიშვილი იმსხვერპლა,"** - წერს რუსული პრესა.

ვიაჩესლავ ივანკოვის დაჯგუფების სიაშია მოხვედრილი ასევე თბილისელი "კანონიერი ქურდი" შაქრო კალაშოვი, რომელიც "შაქრო-ახალგაზრდას" სახელით არის ცნობილი. **"ის ესპანეთში საქმიანობდა წლების განმავლობაში და "იაპონჩიკის" პარტნიორი იყო, რომელიც რუსული მაფიის ერთ-ერთ ძლიერ ბოსად ითვლებოდა. ახლა კი კალაშოვი ფულის გათეთრების ბრალდებით, მართლმსაჯულების კონტროლის ქვეშ იმყოფება,"** - წერს რუსული პრესა.

რუსული პრესის ინფორმაციითვე, "იაპონჩიკმა" კრიმინალური კარიერა გასული საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო მაშინდელი შავი სამყაროს ავტორიტეტის "მონგოლის" ბანდაში. პირველად 26 წლის ასაკში დააპატიმრეს ჯიბის ქურდობისთვის. როგორც ამბობენ, "კანონიერ ქურდობაზე" ბავშვობიდან მეოცნებემ, ქურდობა ჯერ კიდევ 14 წლის ასაკში დაიწყო, არასოდეს არსად უმუშავია და თავისი ოცნების ასახდენად ნებისმიერ სარისკო საქმეზე მიდიოდა.

ივანკოვი, არა მარტო რუსეთში, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის არა ერთ რესპუბლიკაში თავად უწევდა მფარველობას პოლიტიკური თუ ბიზნესწრეების წარმომადგენლებს.

ცნობილი "კანონიერი ავტორიტეტი" ტარიელ ონიანი, რომლის მსხვერპლადაც "იაპონჩიკი" ითვლება, ამჟამად რუსეთის ციხეში იმყოფება ადამიანის გატაცებისა და გამოძალვის ბრალდებით,

როგორც ცნობილი გახდა, ცოტა ხნის წინ, როდესაც "იაპონჩიკი" ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, საგამოძიებო იზოლატორში, სადაც ტარიელ ონიანი იმყოფება, "კანონიერმა ქურდებმა" წერილი შეუგზავნეს. წერილს 34 "ავტორიტეტის" ხელმოსწერა ახლდა. წერილის ხელმომწერები ტარიელ ონიანს "ქურდული სამყაროდან" მოსაცილებელ კაცად მოიხსენიებენ.

ვიაჩესლავ ივანკოვის მკვლელობის ერთ-ერთ ვერსიად, ბოლო დროს სამშენებლო ბიზნესში მის აქტიურ ჩართვას უკავშირებენ. მკვლელობის აბსოლუტურად სხვა ვერსიაზე საუბრობს გარდაცვლილი "კანონიერი ქურდის" ინტერესების დამცველი მარკ კრუტერი. ადვოკატის აზრით, "იაპონჩიკის" მკვლელობა სოჭში დაგეგმილ ოლიმპიურ თამაშებს უკავშირდება.

**"რამდენიმე თვის წინ, წამოიჭრა პრობლემა - "კანონიერი ქურდებიდან" ვინ გახდებოდა ამ ოლიმპიადის კურატორი. ქართული დაჯგუფება აცხადებდა, სოჭი ჩვენი იყო და ჩვენი იქნებაო. არადა, ოლიმპიადაში მილიარდებია ჩადებული,"** - აცხადებს გარდაცვლილის ინტერესების დამცველი.

# რუსეთში ადგილობრივი არჩევნები ჩატარდა

მარიკა იაშვილი

"ედინაია როსია" რუსეთის ქალაქებისა და ოლქების სათავეში რჩება. ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, მთელი ქვეყნის მასშტაბით ყველა ოლქში პირველი ადგილი კვლავ მმართველმა პარტიამ მოიპოვა. ეს პარტიულ სიებსაც ეხება და ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქებსაც. მმართველი პარტიის ლიდერები უკვე ტოტალურ გამარჯვებაზე ლაპარაკობენ, ოპოზიცია კი მომხდარ დარღვევებზე მიუთითებს და არჩევნების შედეგების გასაჩივრებას აპირებს.

ბიულეტენთა 90 პროცენტის დათვლის შემდეგ გავრცელებული მონაცემებით, მმართველმა პარტიამ მოსკოვის სათათბიროს არჩევნებში ხმათა საერთო რაოდენობის 66.1 პროცენტი მიიღო. მეორე ადგილზე კი 13.28 პროცენტით "რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტია" გავიდა. ამ მონაცემების შესაბამისად, "ედინაია როსია" სათათბიროში არსებული 35 მანდატიდან 32-ს მიიღებს. ხოლო დანარჩენი სამი ადგილი "კომუნისტებს" ერგებათ.

მოსკოვის საქალაქო სათათბიროში მოსახვედრად სულ ექვსი პარტია იბრძოდა: "ედინაია როსია", "კომუნისტური პარტია", "ლიბერალ-დემოკრატიული პარტია", "იაბლოკო," "სპრავედლივაია როსია" და "პატრიოტი როსიი."

სათათბიროში მოსახვედრად აუცილებელი 7 პროცენტიანი ბარიერი კი მხოლოდ "ედიანაია როსიამ" და "კომუნისტურმა პარტიამ" გადალახეს. დანარჩენებმა, შესაბამისად, ხმათა 6.23, 5.24, 4.71 და 2 პროცენტი მიიღეს.

მოსკოვის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარიე ვალენტინ გორბუნოვის განცხადებით, არჩევნების საბოლოო შედეგები ოფიციალურად 14 დეკემბერს გახდება ცნობილი.

მმართველი პარტიის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გენადი გრიზლოვის განცხადებით, "ერთიანმა რუსეთმა" ქვეყნის ტერიტორიაზე ჩატარებულ ყველა არჩევნებში გაიმარჯვა, რაც "ხალხისა და ხელისუფლების ერთიანობაზე მიუთითებს."

მოსკოვის საქალაქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალენტინ გორბუნოვის განცხადებით, 11 ოქტომბრის ადგილობრივმა არჩევნებმა ბევრად უფრო მშვიდ ვითარებაში ჩაიარა, ვიდრე 2007 წლის ფედერალურმა არჩევნებმა. თუმცა ოპოზიციას სხვა აზრი აქვს. დარღვევების შესახებ ისინი ხმის მიცემის პროცესის დაწყებისთანავე ალაპარაკდნენ.



დამოუკიდებელი და პარტიული დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ ხმის მიცემის პროცესში გაყალბების ყველაზე მასობრივ საშუალებებს მიმართავდნენ, კერძოდ - საარჩევნო ურნებში ბიულეტენების მასობრივი ჩაყრა და სხვა ქალაქებში ხმის მისაცემი დოკუმენტების ე.წ. "ოტკრეპიტელნი ტალონების" (ŒŁºßØº) ბოროტი გამოყენება. გარდა ამისა, ოპოზიციის წარმომადგენელთა განცხადებით, პარტიულ და დამოუკიდებელ დამკვირვებლებს საარჩევნო უბნებზე არ უშვებდნენ.

ოპოზიციონერთა თქმით, ე.წ. "კარუსელიც" დაატრიალეს. მოსკოვში მთელი დღის განმავლობაში ავტობუსებით თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები გადაჰყავდათ, ისინი სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენლებს სხვადასხვა საარჩევნო უბნებზე დღის განმავლობაში რამდენჯერმე აძლევდნენ ხმას.

დარღვევების შესახებ "კომუნისტების" მიერ გაკეთებულ განცხადებებს "რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიაც" ადასტურებს. ორივე პარტიის წამორმადგენელთა მტკიცებით, მათ ყველა დარღვევა ჩაინიშნეს და მასალები ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გადასცეს, თუმცა ამას საერთო მდგომარეობაზე გავლენა არ მოუხდენია.

ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური ფაქტი კი დაღესტანში მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, ქალაქ დერბენტის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს ადგილობრივი მცხოვრები, რომელიც მათგან ჟურნალისტების დაცვას ცდილობდა. შემდეგ კი მასმედიის წარმომადგენლები დააკავეს და აპარატურა ჩამოართვეს. მოგვიანებით ამ ინციდენტის შესახებ კომენტარი გააკეთა რუსეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრმა გენადი რაიკოვმა. მისი თქმით, ვითარება ნელ-ნელა მოწესრიგდა და ეს დაღესტანში მომხდარი ერთადერთი ინციდენტი იყო.

"ედინაია როსია" ოპონენტებისგან თავს ჯერ კიდევ არჩევნების დასრულებამდე იცავდა. მათი განცხადებით, ოპონენტების მხრიდან ბრალდებები მათთვის მოსალოდნელი იყო, თუმცა დარღვევები თავადაც დააფიქსირეს. მმართველი პარტიის წარმომადგენლების განცხადებით, მათ მხოლოდ ასტრახანში 443 დარღვევა აღმოაჩინეს და შესაბამისი ინფორმაცია საარჩევნო კომისიას დაუყოვნებლივ გადასცეს.

ექსპერტებმა 11 ოქტომბრის არჩევნების შეფასება უკვე გააკეთეს. მათი განცხადებით, ოპოზიციის უმოქმედობამ "ედინაია როსიას" სასარგებლოდ იმოქმედა. ისედაც ძალზე შემცირებულ ოპოზიციურ პარტიებს საარჩევნო კრიზისის გამო კამპანიის წარმოების საშუალება არ ჰქონდათ, შესაბამისად ისინი ძველ ლოზუნგებს იყენებდნენ. კონკურენცია მხოლოდ რეგიონებში შეინიშნებოდა. ექსპერტების შეფასებით, ის ფაქტი, რომ არჩევნებზე ოპოზიციური პარტიები წინა არჩევნებზე შედარებით მეტ ხმას მიიღებენ, საერთო უკმაყოფილების გამოხატულებაა და არა მათი პარტიული დამსახურება.

თუმცა ოპოზიციური პარტიებისგან განსხვავებით, კრიზისი თავად არჩევნებზე არ ასახულა. რუსეთის ფედერაციის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვლადიმერ ჩუროვის განცხადებით, კვირას ჩატარებული არჩევნები სახელმწიფოს 1.2 მილიარდი რუბლი დაუჯდა.

**"არჩევნების დროს თითოეულ ამომრჩეველზე, დაახლოებით, 40 რუბლი იხარჯება, 11 ოქტომბრის საერთო არჩევნებზე კი, ყველა სიაში ერთად 30 მილიონზე მეტი ამომრჩეველი იყო დარეგისტრირებული,"** - განაცხადა მან.

# ამერიკაში ძალადობის ეპიდემიას ებრძვიან

ამერიკის შეერთებულ შტატებში ბავშვებისა და მოზარდების 60 პროცენტზე მეტი, ძალადობის მსხვერპლი ყოველდღიურად ხდებიან. ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროს მიერ ჩატარებულმა სატელეფონო გამოკითხვამ, რომელიც 4 ათას 549 არასრულწლოვანს შორის ჩაატარეს უჩვენა, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარი თავდასხმის მსხვერპლი გახდა, ხოლო 6-მა პროცენტმა განაცხადა, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი იყო.

იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, ამერიკის შეერთებული შტატებში მცხოვრები ყოველი მეათე ბავშვი, ოჯახური კონფლიქტის შემსწრეა, რომელიც ერთი პირის მიერ მეორის ცემით მთავრდება.

**"ეს ციფრები შოკის მომგვრელია,"** - გამოკითხვის შედეგების კომენტირებისას განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის მინისტრმა ერიკ ჰოლდერმა. ჩიკაგოში მყოფი იუსტიციის მინისტრი, ქალაქის ხელმძღვანელობასთან ერთად იმ ინციდენტის დეტალებსაც არკვევდა, რომელიც ამავე ქალაქის ერთ-ერთ სკოლასთან მოხდა: რამდენიმეკაციანმა ჯგუფმა სასიკვდილოდ სცემა 16 წლის მოსწავლე.

**"ვერ მოვითმენთ ძალადობის ეპიდემიას, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებს ბავშვობას ართმევს. იქმნება მოჯადოებული წრე და ძალადობის დღევანდელი მსხვერპლნი ხვალ შესაძლოა ბოროტმოქმედებად ჩამოყალიბდნენ,"** - აღნიშნა ჰოლდერმა.

გასულ კვირას, თეთრი სახლის პრეს-მდივანმა რობერტ გიბსმა განაცხადა, რომ თეთრი სახლის ადმინისტრაცია ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქებში მომხდარ დანაშაულებს სრული სერიოზულობით უდგება. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კანონის დარღვევასა და ძალადობას არასრულწლოვან მოქალაქეებს შორის." გიბსმა აღნიშნა, რომ მსგავსი დანაშაულების აღმოსაფხვრელად მხოლოდ ხელისუფლების ძალისხმევა არ კმარა და ამაში მთელი ამერიკული საზოგადოების ჩართვაა საჭირო.

# "ტეხასელი ბებია" სიჩქარის გადაჭარბებისთვის დააკავეს

როგორც გაზეთი "ოკლანდ პრესი" იუწყება, 72 წლის ტეხასელმა ქალბატონმა, რომლის წინააღმდეგ პოლიციამ ელექტროშოკი გამოიყენა, სამართალდამცველს მორალური ზიანის ასანაზღაურებლად, სასამართლოში უჩივლა და 135 ათასი დოლარის გადახდა მოსთხოვა. თუმცა, ტეხასელი პოლიციელი მხოლოდ 40 ათასი დოლარის გადახდას დასთანხმდა და მოხუციც ამ რაოდენობას დასჯერდა.

72 წლის კეტრინ უინკფეინი, რომელიც მანქანის საჭეს მართავდა, ტეხასის პოლიციამ სიჩქარის გადამეტებისთვის დააკავა. ავტოტრასაზე, სადაც ავტომანქანით მოძრაობის მაქსიმალური სიჩქარე 72 კმ.სთ იყო დაშვებული, ამერიკელი ბებია 96 კმ.სთით გადაადგილდებოდა. როგორც მოგვიანებით პოლიციელმა აღნიშნა, მოხუცი მანქანის გაჩერების შემდეგ, იმდენად უხეშად იქცეოდა, რომ პოლიციელის მისამართით გაიწია კიდეც. რის გამოც, კანონმდამცველი იძულებული გახდა, ელექტროშოკი გამოეყენებინა. რის შემდეგაც, ბოროტმოქმედი დააპატიმრა და პოლიციის განყოფილებაში მიიყვანა.

"ტეხასელი ბებიის" ისტორიას ამერიკის შეერთებულ სტატებში დიდი რეზონანსი მოჰყვა. მოგვიანებით, კეტრინ უინკფეინმა განაცხადა, რომ მისი ასაკიდან გამომდინარე, ელექტროშოკის გამოყენებით, მის ჯანმრთელობას სერიოზული ზიანი მიადგა. ამდენად, მოხუცმა პოლიციელის წინააღმდეგ, სასამართლოში სარჩელი შეიტანა და მორალური და ფიზიკური ზიანისთვის, 135 ათასი დოლარის გადახდა მოითხოვა. როგორც გითხარით, პოლიციელი მხოლოდ 40 ათასის გადახდას დათანხმდა.



ამ ისტორიის ერთერთი ყველაზე საინტერესო დეტალი ისაა, რომ სამართალდამცველმა მოხუცი ამერიკის შეერთებული შტატების კანონის თანახმად დააკავა და მას სამსახურებრივი მოვალეობისთვის არ გადაუჭარბებია.

## ჰილარი კლინტონი ოლსტერის პრობლემების მოგვარებაშიც მონაწილეობს

გუშინ აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი ჩრდილოეთ ირლანდიაში ჩავიდა, ადგილობრივ პოლიტიკურ ლიდერებთან მოლაპარაკებები გამართა და ჩრდილოეთ ირლანდიის პარლამენტში სიტყვით გამოვიდა. ბოლო პერიოდში აქ მიმდინარეობს მოლაპარაკებები პოლიციისა და იუსტიციის სამსახურების ადგილობრივი ხელისუფლების გამგებლობაში გადაცემის შესახებ და ამ პროცესში მცირეოდენი პრობლემებია. ეს, ძირითადად, დაფინანსების საკითხებს ეხება. მანამდე ჰილარი კლინტონი ლონდონსა და დუბლინში იმყოფებოდა, სადაც დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის პრემიერ-მინისტრებს გორდონ ბრაუნსა და ბრაიან კოუენს შეხვდა.

კლინტონმა განაცხადა, რომ პოლიციისა და იუსტიციის ადგილობრივი ხელისუფლების ხელში გადასვლის შესახებ შეთანხმება თითქმის მიღწეულია. ეს დაადასტურეს იუნიონისტების ლიდერმა - ჩრდილოეთ ირლანდიის პირველმა მინისტრმა პიტერ-რობინსონმა და პარტია შინ ფეინმაც (ირლანდიის რესპუბლიკური არმიის ყოფილი პოლიტიკური ფრთა). რობინსონის განცხადებით, მას ამ პრობლემის მოსაგვარებლად გორდონ ბრაუნი რამდენიმე მილიონ გირვანქა სტერლინგს შეჰპირდა.

ჰილარი კლინტონმა აღნიშნა, რომ ორივე თემის ლიდერები - ჩრდილოეთ ირლანდიის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლებიც და გაერთიანებულ სამეფოში დარჩენის მომხრეებიც არა მარტო ბელფასტისთვის მეტი უფლებების მინიჭებისთვის უნდა ისწრაფოდნენ, არამედ საკუთარი სახელისუფლებო უფლებამოსილების ნორმალურ შესრულებასაც უნდა მიაღწიონ. კლინტონმა ჩრდილოეთ ირლანდიელებს აღუთქვა, რომ ამერიკა რეგიონში თავის ინვესტიციებს გაზრდის.

## სინძიან-უიგურეთის არეულობების მონაწილეებს სიკვდილი მიუსაჯეს

სასამართლომ ჩინეთის სინძიანის პროვინციაში ივლისის დასაწყისში მომხდარი მასობრივი არეულობების ექვს მონაწილეს ჩადენილი მკვლელობებისა და სხვა თანმხლები დანაშაულებისთვის სიკვდილი მიუსაჯა, კიდევ ერთ ბრალდებულს - სამუდამო პატიმრობა. უიგურებმა, რომლებიც სინძიანის მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენენ და იქ უმრავლესობაში არიან, მასობრივი საპროტესტო გამოსვლები მას შემდეგ დაიწყეს, რაც ჩინეთის სხვა პროვინციაში - გუანდუნში სათამაშოების ერთ-ერთ ქარხანაში მომხდარ მასშტაბურ ჩხუბს ორი უიგური შეეწირა. შაბათს სასამართლომ გუანდუნშიც მიუსაჯა ამ ჩხუბის ერთ მონაწილეს სიკვდილი, ერთს კი - სამუდამო პატიმრობა.

სინძიანის მთავარ ქალაქ ურუმჩიში მომხდარი არეულობების შედეგად 197 ადამიანი დაიღუპა და ათასზე მეტი დაშავდა. ეს ჩინეთში ბოლო ათწლეულებში ყველაზე სერიოზული ეთნიკური კონფლიქტი იყო. ჩინეთმა უიგურებით დასახლებული აღმოსავლეთ თურქესტანი დიდი ხნის ბრძოლების შემდეგ, სულ რაღაც, 50 წლის წინათ შეიერთა. მას აქეთ ნელ-ნელა ცდილობს, იქ დემოგრაფიული სიტუაცია შეცვალოს. უიგურები აპროტესტებენ მათი რელიგიური (ისინი მუსლიმები არიან) და პოლიტიკური უფლებების შეზღუდვას ჩინელების მიერ, აგრეთვე მათი კულტურული მემკვიდრეობის იგნორირებას. გასული საუკუნის 90-იან წლებში იქ რამდენიმე აჯანყებაც მოხდა.

## ერევანი ტერიტორიების დათმობას არ აპირებს

გუშინ სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა ნათელი მოჰფინა სომხების მიერ ოკუპირებული აზერბაიჯანის ტერიტორიების საკითხს. აზერბაიჯანი და თურქეთი, პირველ რიგში, სწორედ ამ სფეროში ელოდებიან სომხეთის მხრიდან დათმობას. ამ საკითხზე მსჯელობა ბოლო დღეებში გააქტიურდა - 10 ოქტომბერს ციურიხში სომხეთ-თურქეთის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ ოქმის ხელმოწერის გამო. ამ ტერიტორიების საკითხი აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ალიევმა ინტერვიუში პირდაპირ წამოჭრა (ჩვენ უკვე ვწერდით ამ თემაზე). სომხეთის და აზერბაიჯანის პრეზიდენტების ბოლო შეხვედრა, ფაქტობრივად ციურიხის შეხვედრის პარალელურ რეჟიმში, 9 ოქტომბერს კიშინიოვში დსთ-ს სამიტის ფარგლებში შედგა, თუმცა დეტალები არ გახმაურებულა. სერჟ სარგსიანმა განაცხადა, რომ აზერბაიჯანელ კოლეგასთან შეხვედრაზე მას არასდროს განუხილავს სომხეთის მიერ ტერიტორიების "ჩაბარების" საკითხი. მანვე დაადასტურა, რომ 14 ოქტომბერს თურქეთში საპასუხო მატჩზე დასაწრებად გაემგზავრება.

არადა შემხვედრი განცხადება გუშინვე გაავრცელა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯებ ტაიპ ერდოგანმა - "თუ სომხეთი ოკუპირებულ აზერბაიჯანულ ტერიტორიებს არ გაათავისუფლებს, ჩვენთვის პოზიტიური მიდგომის დემონსტრირება შეუძლებელი გახდება". მისი სიტყვებით, თურქეთის პარლამენტი, რომელმაც სომხეთთან ხელმოწერილი ოქმების რატიფიცირება უნდა მოახდინოს, "აუცილებლად გააანალიზებს თავისი გადაწყვეტილების გავლენას სომხურ-აზერბაიჯანულ საკითხებზე". შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოლაპარაკებებში პრობლემები მხოლოდ ახლა იწყება - მაშინ, როცა ეს პროცესი უფრო გამჭვირვალე გახდა.

*მოამზადა ივა შილაკაძემ*

# პაკისტანში "ბოევიკებისგან გაწმენდილ" რაიონში კვლავ აფეთქებებია

მარიკა იაშვილი



პაკისტანის სამხრეთ-დასავლეთში სვატის დაბლობზე მომხდარ აფეთქებას 40 ადამიანზე მეტი ემსხვერპლა.

ასაფეთქებელი მოწყობილობა იმ დროს ამოქმედდა, როდესაც უსაფრთხოების ძალების კოლონები შანგალის რაიონში გადაადგილდებოდნენ. ინციდენტი მოულოდნელი იყო, რადგან, სამხედროების განცხადებით, რაიონი ცოტა ხნის წინ ბოევიკებისგან მთლიანად გაიწმინდა.

ეს იყო თავდასხმათა მთელ სერიაში ბოლო აფეთქება, რომელიც სამხრეთ ვაზირისტანში, ავღანეთის საზღვრის მახლობლად პაკისტანის სამხედრო ძალებმა ბოევიკების წინააღმდეგ ოპერაციის ჩატარების წინა დღეს განხორციელეს.

შაბათს ბოევიკები რავალპინდში სამხედროების შტაბ-ბინას დაესხნენ თავს. ქვეყნის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ საპასუხო ზომებს მიიღებდა.

რავალპინდში მომხდარ თავდასხმაზე პასუხისმგებლობა პაკისტანელმა თალიბებმა აიღეს და განაცხადეს, რომ ტერაქტი პენჯაბის ქვედანაყოფმა განახორციელა.

ბოევიკთა წარმომადგენელ აზამ ტარიკის თქმით, თავდასხმა იყო საპასუხო ნაბიჯი თალიბთა მეთაურ ბეითულა მესჰუდას მკვლელობისა, რომელიც ამერიკელების მიერ ცოტა ხნის წინ უპილოტო თვითმფრინავის მეშვეობით განხორციელებული საჰაერო დარტყმის დროს დაიღუპა.

აფეთქება ქალაქ ალუპრაიში დილით ადრე მოხდა. უსაფრთხოების ძალების წარმომადგენელთა განცხადებით, ასაფეთქებელი ნივთიერებებით დატვირთულ ავტომობილს ცეცხლი მაშინ გაუჩნდა, როდესაც მის ახლოს სამხედრო ავტოკოლონას უნდა გაევლო.

გავრცელებული ინფორმაციით, აფეთქების შედეგად ათობით ადამიანი დაიჭრა, მათ შორის უსაფრთხოების ძალების წარმომადგენლებიც.

პაკისტანის სამხედრო ძალების განცხადებით, აფეთქება იმდენად მძლავრი იყო, რომ რამდენიმე სატვირთო მანქანა გაანადგურა.

შანგალის რაიონი სვატის ველს ესაზღვრება.

ივნისში პაკისტანის არმიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ სვატის ველზე თალიბების წინააღმდეგ მიმდინარე სამხედრო მოქმედებები წარმატებით დასრულდა. თუმცა მიუხედავად ამისა, იქ თავდასხმები დროდადრო მაინც ხდება.

ბოლო პერიოდში პაკისტანის არმია ცდილობს, ბოევიკები თალიბების მთავრი თავშესაფრის - სამხრეთ ვაზირისტანის საზღვრის მიმდებარე ტერიტორიიდანაც განდევნოს.

მას შემდეგ, რაც აგვისტოს დასაწყისში ამერიკელების მიერ განხორციელებული სარაკეტო თავდასხმისას თალიბების მეთაური ბეითულა მესჰუდა გარდაიცვალა, ტერაქტები შემცირდა, თუმცა მიმდინარე თვის დასაწყისიდან თალიბები კვლავ გააქტიურდნენ.

ბოლო თვეების მანძილზე პაკისტანში შვიდი მასშტაბური ტერაქტი განხორციელდა, რასაც ათობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა: 5 ოქტომბერს ისლამაბადში გაერო-ს ოფისში მომხდარი აფეთქების შედეგად 5 ადამიანი გარდაიცვალა. 26 სექტემბერს პეშავარსა და ბანუში ორი დანაღმული ავტომობილის აფეთქებას 16 ადამიანი ემსხვერპლა. 18 სექტემბერს ქალაქ კოჰატის ბაზართან მომხდარი აფეთქებისას 33 ადამიანი გარდაიცვალა. 30 აგვისტოს სვატის ველზე თვითმკვლელმა ტერორისტმა 14 ახალწვეული პოლიციელი მოკლა. 27 აგვისტოს 27 პოლიციელი გარდაიცვალა ავღანეთის საზღვართან მომხდარი ტერაქტის დროს. 14 აგვისტოს დასახლებულ პუნქტ დერა ისმაილ ხანის ბაზარში 7 ადამიანი მოკლეს, ხოლო 5 ივნისს მეჩეთში მომხდარი აფეთქების დროს, სულ მცირე, 38 ადამიანი დაიღუპა.

# ჰილარი კლინტონი: ამერიკა ავღანეთთან ახალ ურთიერთობას ელოდება



ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ ვინც არ უნდა გაიმარჯვოს ავღანეთის არჩევნებში, ახალი ლიდერი ვალდებულია, წინამორბედზე გაცილებით მეტი გააკეთოს გადაუდებელი პრობლემების მოსაგვარებლად.

კლინტონის სიტყვებით, ავღანეთის პრეზიდენტისთვის უმნიშვნელოვანესი იქნება ურთიერთობის დამყარება ამერიკასთან, არმიასთან და ავღანელ ხალხთან.

"ბი-ბი-სი"-ს დიპლომატიურ მიმომხილველ ჯეიმს რობინსის აზრით სახელმწიფო მდივანი ნაკლებად თავდაჯერებული პასუხის გაცემისას კითხვაზე - დაუჭერს თუ არა მხარს ამერიკა უპირობოდ ჰამიდ ყარზაის, თუ ის მეორე ვადით გახდება ავღანეთის პრეზიდენტი. კლინტონმა უპასუხა, რომ "ბევრ საკითხში პრეზიდენტ ყარზაისთან იოლი იყო ურთიერთობა." მაგრამ მან იქვე დაურთო - "ერთი რამ ცხადია, თუ მას ხელმეორედ აირჩევენ პრეზიდენტად, ყარზაისა და ავღანეთის ხალხს შორის, ისევე როგორც მის მთავრობასა და მოკავშირე ქვეყნების მთავრობებს შორის უნდა დამყარდეს ხარისხობრივად ახალი ურთიერთობა."

კლინტონმა განაცხადა, რომ ავღანეთში ამერიკული ძალების მთავარი მიზანი კვლავ "ალ კაიდას" დამარცხებაა. მისი თქმით, ავღანეთის მიმართ ამერიკის სტრატეგიის გადახედვის პროცესში ვაშინგტონი დარწმუნდა, რომ მისი ყოფნა რეგიონში ჯერ კიდევ აუცილებელია. თალიბებთან ბრძოლის სტრატეგია უცვლელი რჩება, თუმცა რეგიონში მყოფი ამერიკის ძალების მოქმედების დეტალური ანალიზი თეთრი სახლის ადმინისტრაციას იმის განსაზღვრაში დაეხმარა, კონკრეტულად რომელი ტაქტიკაა ყველაზე ეფექტიანი.

"ჩვენ გვინდა, ყველაფერი კარგად გააზრებულად ვაკეთოთ. ჩვენ ყოველთვის გვახსოვს ჩვენი ახალგაზრდები - ამერიკელები და ბრიტანელები, რომლებიც სიცოცხლეს საფრთხის ქვეშ აყენებენ და რომლებიც დაიღუპნენ." "ჩვენ განზრახული გვაქვს, ექსტრემიზმთან ბრძოლა უფრო რაციონალური და გონივრული საშულებებით გავაგრძელოთ."

კლინტონის სიტყვებით, სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობა, რომლებიც აგრეთვე დაინტერესებულნი არიან ექსტრემიზმზე გამარჯვებით, ძალიან მნიშვნელოვანია შედეგის მისაღწევად.

კლინტონმა მაგალითად მოიყვანა სიტუაცია ერაყში, განაცხადა რომ ამგვარი ტაქტიკის წყალობით ძალადობის დონე ქვეყანაში საგრძნობლად შემცირდა, რამაც საშუალება მისცა ამერიკის ძალებს, სიტუაციაზე კონტროლი თავად ერაყელებისთვის გადაეცათ. სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ მოვლენების ასეთივე განვითარებას მიიჩნევენ საჭიროდ ავღანეთში. უნდა შეიქმნას იმის შესაძლებლობა, რომ უსაფრთხოებზე კონტროლი საბოლოოდ გადავიდეს ავღანელების ხელში. ზუსტად ამას ელოდება ამერიკა ახალი პრეზიდენტისგან.

კლინტონი ლონდონში ციურიხიდან ჩავიდა, სადაც თურქეთსა და სომხეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ ისტორიული ხელშეკრულების ხელმოწერას დაესწრო. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ დევიდ მილიბენდთან შეხვედრისას განიხილეს თალიბების მიერ პაკისტანის არმიის გენშტაბზე შაბათს განხორციელებული თავდასხმის ფაქტი, როდესაც ბოევიკებმა მძევლები აიყვანეს. კლინტონის სიტყვებით, ეს თავდასხმა თალიბების მხრიდან საფრთხის ზრდას მოწმობს.

12-15 ოქტომბერს ჰილარი კლინტონს სახელმწიფო მდივნის რანგში პირველი ვიზიტი აქვს რუსეთში. სამშაბათს მას ქვეყნის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევთან შეხვედრა აქვს დაგეგმილი.

*მოამზადა თამთა კახაძემ*

# რევიუ

## ნაცნობი სამყარო

### რუსთაველის თეატრი მირიან შველიძის პერსონალურ გამოფენას მასპინძლობს

თამარ კიკნაველიძე



ბევრი ვერ წარმოიდგენს, რომ ამ მხატვარს, უფრო ზუსტად კი სცენოგრაფს, აქამდე პერსონალური გამოფენა არ ჰქონია. არ ვიცი ეს რისი ბრალია, ავტორის ხასიათის თუ რუსთაველის თეატრის, რომელსაც ერთგულად ემსახურება. გუშინ, სწორედ ამ თეატრმა უმასპინძლა მირიან შველიძის პირველ ექსპოზიციას, რომლის ორგანიზების ინიციატივაც რუსთაველის თეატრის მუზეუმს ეკუთვნის.

გამოფენა, რომელიც დამთვალიერებელს ერთი კვირის განმავლობაში უმასპინძლებს, მრავალმხრივ საინტერესოა. თეატრის ზედა ფოიეში ექსპონირებული მასალის ნაწილი, ძირითადად ფოტოები, მუზეუმში ინახება, კოლაჟები და მეკეტები კი - მხატვრისა და მისი მეგობრების კერძო კოლექციებში. მათი ნახვისას გაგახსენდებათ სპექტაკლები, რომლებმაც რუსთაველის თეატრს სახელი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც გაუთქვა.

"ამ გამოფენაზე მუშაობისას რამდენიმე მაკეტი თავიდან აღვადგინე და შეიძლება ითქვას, რომ დავუბრუნდი წარსულს, გამახსენდა "ყვარყვარე", რომლის განხორციელებიდან 30 წელზე მეტი გავიდა და საოცარი ნოსტალგია დამეუფლა... ამ განცდით შევქმენი ნამუშევარი, რომელსაც "სასაფლაო" დავარქვი, რადგანაც ის ძველ სპექტაკლებზე მუშაობისას მორჩენილი მასალით დავამზადე", - გვითხრა მირიან შველიძემ.

მისი ბიოგრაფიული მონაცემები ასეთია: დაიბადა 1947 წელს, დაამთავრა ჯერ იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი (1965 წ.), შემდეგ კი - სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი (თეატრალური მხატვრის სპეციალობით, 1971 წ.). 1996 წლიდან ის რუსთაველის თეატრის მთავარი მხატვარია.

კითხვაზე, როდის დაიწყო თქვენი და რობერტ სტურუას თანამშრომლობა, სცენოგრაფმა მიპასუხა: - "სამხატვრო აკადემია რომ დავამთავრე, მიშა ჭავჭავაძემ ჩემი ნამუშევრები რობიკოს აჩვენა და მასაც, როგორც ჩანს, მოეწონა. აი, ამის შემდეგ მიმიწვია მან სამუშაოდ სპექტაკლზე, სახელწოდებით "ჩვენი მელოდიები". თუმცა, ჩვენი პირველი მასშტაბური ნამუშევარი მაინც "ყვარყვარე" იყო. ამას მოჰყვა "რიჩარდ III", რომლის შექმნაზეც ვიწვალეთ, მაგრამ, საბოლოოდ, ძალიან კარგი გამოვიდა და ჩვენმა მონდომებამ გაამართლა. ამის შემდეგ დავდგით "მეფე ლირი", "მაკბეტი", "ჰამლეტი" და რომელი ერთი ჩამოვთვალო... ერთი სიტყვით, დიდი დრო გასულა"...

"ყვარყვარეს" გარდა, გამოფენაზე მისული დამთვალიერებელი ნახავს ესკიზებს, რომლებიც მირიან შველიძემ შექმნა სპექტაკლებისთვის: "ქალის ტვირთი" (1977 წ.), "რიჩარდ III" (1979 წ.), "მეფე ლირი" (1987 წ.),







"ტიტუს ანდრონიკუსი" (1992 წ.), "ცხოვრება სიზმარია" (1992 წ.), "მაკბეტი" (1995 წ.), "ლამარა" (1996 წ.), "მერე რა რომ სველია, სველი იასამანი" (1997 წ). "კაცია-ადამიანი?!" (2000 წ.), "ჰამლეტი" (2001 წ.), "გოდოს მოლოდინში" (2002 წ.), "დარისპანის გასაჭირი" (2006 წ.), "ყოფილების სარეცელი" (2009 წ.) და ა.შ.

ქართული წარმოდგენების გარდა, მას გაფორმებული აქვს უცხოეთში დადგმული "პირდაღებული" (ისრაელი, 1996წ.), "კორეოლანუსი" (საბერძნეთი, 1999 წ.), "ჰამლეტი" (თურქეთი, 2004 წ.), "მეფე ლირი" (ისრაელი, 2007 წ.) და სხვა.

სცენოგრაფმა ზემოთ ჩამოთვლილი ნამუშევრების უმრავლესობა რობერტ სტურუას სპექტაკლებისთვის შექმნა. მათი ტანდემი იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ დროს გაუძლო და ქართულ თეატრალურ ხელოვნებას არაერთი ღირებული ნიმუში აჩუქა. ამ რეჟისორთან თანამშრომლობის განსაკუთრებულობაზე მხატვარი აღნიშნავს: - "რობიკო მითითებებს არასოდეს იძლევა, თუ არ ჩავთვლით დეტალებს, რომლებიც მას აუცილებლად სჭირდება, მაგალითად წრე, რომელიც უნდა რომ ტრიალებდეს... მასთან მუშაობა ადვილი და სასიამოვნოა, რადგანაც გენდობა და თავისუფლებას არ გიზღუდავს".

რუსთაველის მუზეუმის არქივიდან ექსპონირებული ფოტოები ასახავს კადრებს სპექტაკლებიდან და კიდევ, ადამიანებს, რომლებთანაც მხატვარს არაერთი მოგონება აკავშირებს. ესკიზებისა და მაკეტების პარალელურად, არანაკლებ მნიშვნელოვანია კოლაჟები, რომლებიც მხატვრის ფერადოვან სამყაროს წარმოაჩენს და მისი ერთგვარი გატაცებაა. აქვე ნახავთ ესკიზებს ოპერებისათვის "აბესალომ და ეთერი" (ბათუმი, 1997 წ.), "დონ ჟუანი" (განუხორციელებელი) და შეხვდებით მხატვარს, რომლის ხელწერაც არავიში აგერევათ.



## აფიშა

### 13 ოქტომბერი

**თეატრი**

**რუსთაველის თეატრი (ექსპერიმენტული სცენა)**
თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი
"...და ნამდვილი ციხე" - ერევნის მოზარდმაყურებელთა სახელმწიფო თეატრი, სომხეთი
დასაწყისი: 19:45

**მარჯანიშვილის თეატრი (თეატრი სხვენში)**
თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი
"შინელი" - Geko Company, დიდი ბრიტანეთი
დასაწყისი: 20:00

**თუმანიშვილის თეატრი**
პროექტი "ART ექსპერიმენტები" წარმოგიდგენთ მარგო კორობლიოვას პერფორმანსის თეატრის ახალ ნამუშევარს "მანდალა" - წინასწარი ჩვენება.
მონაწილეობენ: ვასო მაჭარაძე, ნუცი გაბისიანი, ლევან მაისურაძე, შალვა კობალაძე.
რეჟისორი: დავით ჩიხლაძე
დასაწყისი: 19:00

**კინო**

**რუსთაველი**
"ყველაფერი კარგად იქნება"
დასაწყისი: 12:00 14:00 16:00 18:00 20:00 22:00
"მექალთანე"
დასაწყისი: 12:30 14:30 16:30 18:30 20:30 22:15
"იდეალური გაქცევა"
დასაწყისი: 12:45 14:45 21:45
"აგენტი-ზღვის გოჭები"
დასაწყისი: 16:15 18:15 20:00
"მწარე სიმართლე"
დასაწყისი: 13:30 15: 17:30 19:30 22:00
"სუროგატები"
დასაწყისი: 12:15 14:15 16:15 18:15 20:15 22:15

**ამირანი**
"ყველაფერი კარგად იქნება"
დასაწყისი: 12:15 14:15 16:15 20:15
"კოკო შანელი"
დასაწყისი: 18:00; 16:00; 20:00; 22:00
"აგენტი-ზღვის გოჭები"
დასაწყისი: 12:00 14:00
"ყველაფერი კარგად იქნება" 18:15 22:15

**გამოფენები**

**ქარვასლა**
**"არტისტერიუმი '09"**
საქართველოს ეროვნული მუზეუმი
საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიუმი
გოეთეს ინსტიტუტი
New Art კაფე
კავკასიური სახლი
აბანოთუბანი
მონაწილე ქვეყნები: აშშ, არგენტინა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ავსტრია, შვეიცარია, ჰოლანდია, პოლონეთი, ჩეხეთი, ირანი, თურქეთი, სამხრეთ კორეა, აზერბაიჯანი, სომხეთი, ლატვია, ირლანდია, რუსეთი, ახალი ზელანდია, ავსტრალია.

**რუსთაველის თეატრის ფოიე**
თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი - მირიან შველიძის თეატრალური ესკიზების გამოფენა
**არტ გალერეა "ლაინი"**
ქართველი მხატვრების მუდმივმოქმედი ექსპოზიცია - (ფერწერა, ქანდაკება)

**მეიდან არტ ჰოლი**
ქართველი მხატვრების მუდმივმოქმედი ექსპოზიცია - (ფერწერა, ქანდაკება)

**გალერეა "შარდენი"**
თანამედროვე ტიხრული მინანქრის ხელოვნების გამოფენა - (სამკაული, მინიატურა, ხატი)

## უორქშოფი დრამატურგებისთვის

12-14 ოქტომბერს რუსთაველის თეატრი მასპინძლობს უორქშოფს, რომლის თემა ახალი დრამატურგიაა და რომელიც ახალგაზრდა ქართველი დრამატურგებისთვის ტარდება. ეს უორქშოფი რუსთაველის და ლონდონის ნაციონალური თეატრების პარტნიორობის პროექტის ფარგლებში იმართება, რომელიც ბრიტანეთის საბჭოს ხელშეწყობითა და კომპანია "BP"-ს და HSBC ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

3-დღიანი პრაქტიკული სახის უორქშოფის ყურადღების ცენტრშია კლასიკური დრამატურგიის სტრუქტურისა და თანამედროვე პრობლემების შერწყმა. ჯეკ ბრედლი, რომელიც უორქშოფს წარუძღვება, ამბობს: "ახალი დრამატურგია არის საჭირბოროტო პრობლემების ასახვა. ამდენად, უორქშოფზე ჩვენ შევეცდებით, გავარკვიოთ თუ როგორ შეიძლება არსებითი ელემენტების გამოყენება მუდმივად ცვალებადი სამყაროს ასასახად. მუშაობის პროცესში მივმართავთ იმპროვიზაციას, კოლექტიურ შემოქმედებას, ჯგუფურ, ასევე ინდივიდუალურ წერას. ყველაფერი ეს დაგვეხმარება წერის იმ საშუალებების გახსენებაში, რომლებსაც დრო არასოდეს ეხება და აგრეთვე რაღაც საკუთრივ ჩვენის შექმნაშიც. შევეხებით ისეთ საკითხებს, როგორიცაა ნარატივის, დროისა და სივრცის მნიშვნელობა; პერსონაჟის განვითარების, ექსპოზიციის და ისტორიის სიცხადე; კომუნიკაციის ისეთი საშუალებები, როგორიცაა დიალოგი და ჟესტიკულაცია; საუბარი მაყურებელთან; იდენტიფიკაციის, თანაგრძნობის და რელევანტურობის მიზნების გააზრება. უოროქშოფის მონაწილეები განწყობილნი უნდა იყვნენ წერისა და თანამშრომლობისათვის"

ჯეკ ბრედლიმ დრამატურგიას 1975 წელს მოჰკიდა ხელი, როცა ახალგაზრდა დრამატურგთა ფესტივალში მიიღო მონაწილეობა და 80-90-იან წლებში 20-მდე პიესა შექმნა. შემდეგ ის დაინტერესდა პიესის განვითარებისა და ლიტერატურული მენეჯმენტის საკითხებით. 1989-94 წლებში მუშაობდა სოჰოს თეატრში; შემდეგ კი ნაციონალურ თეატრში 12 წელი იმუშავა ლიტერატურულ მენეჯერად, სადაც ახალი დრამატურგიის პოლიტიკის გატარებას ხელმძღვანელობდა. მას ჩატარებული აქვს უორქშოფები ბელფასტსა თუ ბუენოს აირესში, ოსლოსა თუ სოუეტოში. ის კრეატიულ უორქშოფებს ბრიტანეთშიც ატარებს. ახლა ჯეკ ბრედლი დამოუკიდებელი კონსულტანტია დრამატურგიის საკითხებში. გარდა ამისა მან განაახლა პიესების წერა და თარგმნა. ჯეკ ბრედლი სხვადასხვა რანგში თანამშრომლობს სონია ფრიდმან პროდაქშენთან, თრაისიქლ თეატრსა და შოტლანდიის ხელოვნების საბჭოსთან. ამჟამად იგი ასწავლის ნიუქასლის უნივერსიტეტში და მუშაობს წიგნზე დრამატურგიის შესახებ.

თეატრების პარტნიორობის პროექტის მიზანი საქართველოში თეატრალური სექტორის პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა, ახალგაზრდა და პერსპექტიულ რეჟისორებთან თანამშრომლობა, ახალი დრამატურგიის პოპულარიზაცია და ფართო აუდიტორიის ახალი რეპერტუარით დაინტერესებაა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "მის საქართველო 2009" ცირა სუქნიძე გახდა

"მის საქართველო 2009" ცირა სუქნიძე გახდა. პირველი ვიცე-მისი ტიტული ნანუკა გოგიჩაიშვილმა დაიმსახურა, ხოლო მეორე ვიცე-მისი ნუკი ყარალაშვილია. "მის საქართველო 2009" ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართა. "მის საქართველოს" საჩუქრად ავოტმობილი "სუზუკი სელერო" გადაეცა. კონკურსის გამარჯვებული ცირა სუქნიძე "მის მსოფლიოზე", პირველი ვიცე-მისი "მის სამყაროზე", ხოლო მეორე ვიცე მისი "მის ინტერკონტინენტალზე" გამეგზავრება . **ჯი-ეიჩ-ენი**

## ლევან პაატაშვილის პერსონალური გამოფენა

გალერეაში "ჰობიში" კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის ორგანიზებით ქართველი ხელოვანისა და კინემატოგრაფისტის ლევან პაატაშვილის პერსონალური გამოფენა გაიხსნა. გამოფენაზე წარმოდგენილია ლევან პაატაშვილის ნამუშევრები და ფოტოები მისი კინოგადაღებებიდან. გამოფენის გახსნას კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი, ნიკოლოზ რურუა დაესწროა.

გარდა ამისა, 12-დან 18 ოქტომბრამდე კინოსტუდიაში "ქართული ფილმი" ლევან პაატაშვილი ჩაატარებს მასტერკლასებს თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებისთვის. ღონისძიებების მხარდამჭერები არიან კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, კინოსტუდია "ქართული ფილმი" და საქართველოს ეროვნული კინოცენტრი. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "გაღმა ნაპირის" მორიგი გამარჯვება

რუმინეთის ქალაქ არადში პირველი რუმინული საერთაშორისო კინოფესტივალი ჩატარდა, რომელსაც ორი საკონკურსო პროგრამა ჰქონდა: შავი ზღვის ქვეყნების კინო (მხატვრული, დოკუმენტური, მოკლემეტრაჟიანი) და ქალები კინოში (მხატვრული, დოკუმენტური, მოკლემეტრაჟიანი). შავი ზღვის ქვეყნების ფილმების კონკურსის მთავარი პრიზი საუკეთესო რეჟისურისთვის მიენიჭა გიორგი ოვაშვილს ფილმისთვის "გაღმა ნაპირი". შეგახსენებთ, რომ საქართველოს მხრიდან წლევანდელი "ოსკარის" უცხო ენოვანი ფილმების ნომინაციაში მოხვედრის კანდიდატი სწორედ ოვაშვილის ფილმია. "გაღმა ნაპირის" ჩვენება კინოთეატრ "ამირანში" 15 ოქტომბრიდან დაიწყება.

# ნაქულბაქევის აღმოჩენები

პირველი გვერდიდან







სამეცნიერო დაწესებულებისა და ბიზნეს სექტორის თანამშრომლობის მაგალითმა თბილისის მერიაც დააინტერესა. მასმედიის წარმომადგენლებთან ერთად, არქეოლოგიური მონაპოვარის პრეზენტაციას გიგი უგულავა და ზაალ სამადაშვილიც ესწრებოდნენ. მათ საკუთარი თვალით ნახეს ის, რამაც ჩვენამდე მოაღწია და 3 000 წელს ითვლის.

ახალი არქეოლოგიური მონაპოვარის მნიშვნელობაზე მოგვიანებით მოგახსენებთ. მანამდე კი აღვნიშნავ, რომ თბილისის ტერიტორიაზე ადამიანთა უწყვეტი ცხოვრების ნაშთები 6 000 წელზე მეტს ითვლის და არქეოლოგიური მასალაც მრავალმხრივ საინტერესოა. ამის მაგალითია ნაქულბაქევის აღმოჩენები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ეს ადგილი სავაჭრო გზების მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. ამაზე მისი სახელწოდებაც მიუთითებს - ქულბაქი სავაჭრო ადგილს ნიშნავს. სწორედ აქ მდებარეობდა დიდი მცხეთის აღმოსავლეთის კარიბჭე. აქვეა აღმოჩენილი რომის იმპერატორის, ვესპასიანეს წარწერა, რომელიც ახ.წ.აღ-ის 75 წლით თარიღდება.

ნაქულბაქევის ძეგლზე საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მეცნიერები მუშაობდნენ. გაზეთი "24 საათი" გაესაუბრა არქეოლოგთა ჯგუფის ხელმძღვანელს, მიხეილ აბრამიშვილს, რომელმაც აღნიშნა: - "ნაქულბაქევი ვახტანგ VI-ის ვაჟიშვილის, ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომშია მოხსენიებული... და მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერიტორიაზე გათხრები გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ხორციელდება, წლევანდელმა აღმოჩენებმა ძეგლის მნიშვნელობას ნათელი მოჰფინა. აღსანიშნავია, რომ დამატებით გაითხარა, დაახლოებით, 26-28 საუკუნის წინანდელი 4 სამარხი, რომელთაგან ორი ჩრდილოელ ნომადს, ანუ მომთაბარეს, სავარაუდოდ სკვითს, ეკუთვნის, დანარჩენი ორი კი - ადგილობრივი ფეოდალური წრის წარმომადგენელს...

**- რატომ სკვითები?**

- ისტორიას თუ გავიხსენებთ, საქართველოს სკვითები ძვ.წ.აღ-ის VIII - VI საუკუნეებში შემოესიენ, ანუ იმ პერიოდში, როდესაც მათ წინა აზია აიღეს და როგორც ჩანს, თბილისში, აი, ამ ადგილას გამაგრდნენ... თუმცა, ნაგებობა, რომლის კედლებიც საკმაოდ მონუმენტურია, გადამწვარია... ეს მურვან ყრუს შემოსევებისას უნდა მომხდარიყო...

**- რა ნივთები აღმოაჩინეთ სამარხებში?**

- ათეულობით კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები, დიდი ზომის ქვევრი მარანში და ის, რაც სპეციფიკურია სკვითებისთვის, ანუ აკინაკი - რკინის მოკლე ხანჯალი, 32 სკვითური ისრისპირი, რკინის საბრძოლო იარაღი, ე.წ. ცულ-წერაქვა და ა.შ.

**- რას გვეტყვით თბილისის არქეოლოგიურ მონაპოვარზე?**

- თბილისში არქეოლოგიური ძეგლების სიმდიდრე მისმა გეო-პოლიტიკურმა მდებარეობამ განაპირობა. აქ გადიოდა უძველესი სავაჭრო და სამხედრო გზები, რაც ადამიანს თბილისში დასახლების სურვილს უჩენდა... ჩვენი ინფორმაციით, თბილისის ტერიტორიაზე ას ორმოცდაათამდე არქეოლოგიური ძეგლია და ამ ქალაქის დასახლება, სულ მცირე, 6 000 წელს ითვლის...

**- რა იქნება შემდეგი ეტაპი?**

- არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ მასალას უნდა ჩაუტარდეს რადიოკარბონატული ანალიზი, რომელიც საქართველოში აღარ კეთდება და ამიტომაც ანალიზები საზღვარგარეთ უნდა გაიგზავნოს. უცხოელი ექსპერტების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს მოგვიანებით გავეცნობით და მონაპოვარის ზუსტ თარიღსაც მაშინ შევიტყობთ.

აღმოჩენების პარალელურად, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ინიციატივა, რომელიც IDP ჯგუფის გენერალურმა დირექტორმა, ზაალ ხელაძემ გამოიჩინა. ამ ტერიტორიაზე ის ახალი ტექნოლოგიების ცენტრის ამოქმედებას ისე გეგმავს, რომ მოაწყობს ვიზიტორთა ცენტრს, სადაც დამთვალიერებელს ამ ადგილას აღმოჩენილი მასალის გაცნობის საშუალება მიეცემა.

როგორი იქნება არქეოლოგიური გათხრების ცენტრი? მაქსიმალურად მსუბუქი, მიწაში ნახევრად შეჭრილი შენობებითა და შუშის უჩარჩოო კედლებით, რომლებზეც მწვანე საფარიანი გადახურვა, ექსკავირებული მიწის ნაკვეთი დაეყრდნობა. საგამოფენო გალერეის ინტერიერი კი მეომართა სამარხების დათვალიერების საშუალებას მოგვცემს.

ახალ აღმოჩენებთან დაკავშირებით, ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა, დავით ლორთქიფანიძემ აქვენტი ბიზნეს სექტორთან სასურველი თანამშრომლობის მაგალითზე გააკეთა და გვითხრა: - "არქეოლოგიური მონაპოვარის გარდა, ეს პროექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კულტურულ ძეგლთან დამოკიდებულების თვალსაზრისით. ჩვენ მივესალმებით ნებას, რომელიც ბიზნეს სექტორის წარმომადგენელმა გამოიჩინა და გადაწყვეტილება კულტურული მემკვიდრეობის სასარგებლოდ მიიღო. სამარხებში აღმოჩენილ ნივთებს რაც შეეხება, მათი შესწავლა დაწყებულია და უახლოეს მომავალში ნაქულბაქევის არქეოლოგიური მონაპოვარის ექსპოზიციასაც მოვაწყობთ. მოგვიანებით კი ნივთები დაბინავდება თბილისის არქეოლოგიურ მუზეუმ-საცავში, სადაც დედაქალაქის ტერიტორიაზე გამოვლენილი 10 000-ზე მეტი არქეოლოგიური ექსპონატი ინახება".

გუშინ, ნაქულბაქევის არქეოლოგიური აღმოჩენების მაგალითზე, მეცნიერებს იმედი გაუჩნდათ, რომ ბიზნეს სექტორის თანამშრომლობა სამეცნიერო დაწესებულებასთან გაუმჯობესდება და ამ საქმეში წვლილს თბილისის მერიაც შეიტანს. თორემ, ახალმშენებლობები თბილისს ჩვენს თვალწინ ისე უცვლიან სახეს, რომ არქეოლოგიურ მონაპოვარზე აღარავინ ფიქრობს.

# გარდაიცვალა მიხეილ კალატოზიშვილი უმცროსი

მოსკოვში 51 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა კინორეჟისორი მიხეილ კალატოზიშვილი. როგორ მისი ახლობლები და ოჯახის წევრები აცხადებენ, რეჟისორის გარდაცვალების მიზეზი პირველადი შეფასებით ინფარქტია, თუმცა ითქვა ისიც, რომ კალატოზიშვილს კარგი ჯანმრთელობა ჰქონდა და გულს არ უჩიოდა. აქვე შეგახსენებთ, რომ იგი ცნობილი მიხეილ კალატოზოვის შვილიშვილი გახლდათ.

მიხეილ კალატოზიშვილი 1959 წლის 19 მაისს თბილისში დაიბადა. 1981 წელს მოსკოვის კინემატოგრაფის საკავშირო ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი დაამთავრა. სადიპლომო ნამუშევარი "მექანიკოსი" მოსკოვშივე გადაიღო, 1984 წელს გამოვიდა მისი "ქართულ ფილმში" გადაღებული პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი "სკაპენის ოინები". ფილმის კომპოზიტორი გია ყანჩელი გახლდათ, სამსახიობო ანსამბლს კი იმ პერიოდის ქართული და საბჭოთა კინოს ვარსკვლავები შეადგენდნენ: არჩილ გომიაშვილი, გურამ ლორთქიფანიძე, იმედა კახიანი, ნინელი ჭანკვეტაძე, ნინო ბურდული, ლევან აბაშიძე და სხვები. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, 1991 წელს, ასევე საქართველოში გადაღებული "რჩეული" გამოვიდა. ეს გახლავთ პროსპერ მერიმეს "მატეო ფალკონეს" ადაპტირებული ვერსია, სადაც მოქმედება საქართველოშია გადმოტანილი, მაყურებელი თვალს ადევნებს 1921 წლის მოვლენებს და მის პასიურ გმირებს - გლეხ ჯუნას (მის როლს გენიალური კინო მსახიობი ავთანდილ მახარაძე თამაშობს) და მის ოჯახს. ფილმმა 1992 წელს მადრიდის კინოფესტივალის ჟიურის სპეციალური პრიზი დაიმსახურა. ამის შემდეგ მიხეილ კალატოზიშვილი მოსკოვში გაემგზავრა. თითქმის ათი წლის განმავლობაში ფილმი არ გადაუღია და ძირითადად საპროდიუსერო საქმიანობით იყო დაკავებული. 2000 წელს გამოსული "მისტერიების" შემდეგ იგი კვლავ სამშობლოში დაბრუნდა, სადაც დოკუმენტური ფილმი "მესიზმრება ჩემი ქედიანი თბილისი" გადაიღო. ფილმის გმირები ძველ თბილისს იხსენებენ, იგონებენ საკუთარ ბავშვობას და ქალაქის კოლორიტებს. ფილმის ერთ-ერთი გმირია რუსეთის ყოფილი პრემიერ მინისტრი ევგენი პრიმაკოვიც, რომელიც, როგორც ცნობილია, თბილისში იზრდებოდა.



მიხეილ კალატოზიშვილის ყველაზე გახმაურებული ფილმი მისი ბოლო ნამუშევარი "ველური მდელოა", რომელიც შარშანდელ თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზეც იყო წარმოდგენილი. ამ ფილმისთვის რეჟისორმა რუსული კინო ჯილდო "ოქროს არწივი" მიიღო. ფილმი ასევე გახლავთ "ნიკას" ნომინანტი და რუსული კინოს კრიტიკოსთა ჯილდო "თეთრი სპილოს" ლაურეატი. "ველური მდელოს" ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ ითქვა, რომ მიხეილ კალატოზიშვილი სახელოვანი ბაბუის საქმის ღირსეული გამგრძელებელია; რომ მან თავის შემოქმედებაში შექმნა ისეთი პერსონაჟები, როგორებიც ასე აკლია თანამედროვე კინოს. 2000 წელს მიხეილ კალატოზიშვილმა დააარსა "მიხეილ კალატოზოვის ფონდი", რომელიც ეროვნული კინემატოგრაფის (იგულისხმება რუსული) განვითარებას უწყობს ხელს და ასევე ინახავს კინოს ოსტატთა ხსოვნას.

# თეატრალიზებული დაკრძალვა

## სამგლოვიარო რიტუალი ედგარ ალან პოს გარდაცვალებიდან 160 წლის შემდეგ

დაკრძალვის ცერემონიალი ზუსტად ისეთი იყო, როგორსაც ალბათ ედგარ ალან პო საკუთარ თავს უსურვებდა - იდუმალებით მოცული და ამავდროულად თეატრალიზებულიც. 160 წლის შემდეგ დიდი მწერალი, უფრო სწორად, მისი ფიტული, კიდევ ერთხელ დაკრძალეს - ამჯერად ყველა იმ წესის დაცვით, როგორიც მისი გარდაცვალებისას არსებობდა. დაკრძალვის ცერემონიალი ბალტიმორში, მწერლის მშობლიურ ქალაქში გაიმართა.

საქმე ისაა, რომ 40 წლის ედგარ ალან პო გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა, მის დაკრძალვას კი სულ რამდენიმე ადამიანი ესწრებოდა. თავად დაკრძალვის ცერემონიალი სულ რაღაც სამ წუთს გაგრძელდა, ამ მოვლენის შესახებ ინფორმაცია მაშინდელ პრესაში არც კი გამოჩენილა, ხოლო პოს გარდაცვალების შესახებ ევროპაში დიდი დაგვიანებით გაიგეს.

წელს ედგარ ალან პოს დაბადებიდან 200, ხოლო გარდაცვალებიდან 160 წელი შესრულდა. მისი ხელმეორედ დაკრძალვის ცერემონიალი სიმბოლურად სწორედ ამ ორ თარიღს დაამთხვიეს. დაკრძალვის ორგანიზატორებმა მე-19 საუკუნის ატმოსფერო შექმნეს, რასაც გარნირად პოს შემოქმედების მისტიციზმი და იდუმალება გასდევდა. ცერემონიალის ყველა დამსწრე 200 წლის წინანდელი მოდის შესაბამისად იყო გამოწყობილი, ზოგი მათგანი კი მწერლის ნაწარმოებების კონკრეტულ პერსონაჟს ან რეალურ ისტორიულ პიროვნებას განასახიერებდა, პოს მუზეუმში დასვენებულ კუბოში კი მისი მანეკენი "განისვენებდა" - ნამდვილი მიცვალებული ხომ დიდი ხანია მშვიდად განისვენებს ბალტიმორის ვესტმინსტერ-ჰოლის სასაფლაოზე.

როგორც მისი ბიოგრაფები აღწერენ, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ედგარ ალან პო ნახევრად შეშლილ მდგომარეობაში იყო, გამუდმებით ავადმყოფობდა და წარმატებებსა და დაცემას ერთნაირი დოზით იღებდა. მას უამრავი მტერი ჰყავდა, რომლებიც სულ რაღაცაში ადანაშაულებდნენ, თუმცა იმავე ბიოგრაფების აზრით, შესაძლოა ეს "მტრები" მხოლოდ და მხოლოდ პოს წარმოსახვის ნაყოფი იყო.

მწერალი არასდროს გამოირჩეოდა კარგი ჯანმრთელობით, ბოლო წლებში კი ალკოჰოლიზმითაც იტანჯებოდა. მის იდუმალ სიკვდილს ამ "გატაცებასაც" აბრალებენ. 1949 წლის ოქტომბრის დასაწყისში რიჩმონდში პოეტური პრინციპების შესახებ ლექციებს კითხულობდა. რიჩმონდიდან ბალტიმორში შუაღამისას გამოემგზავრა, ჯიბეში კი ლექციების კითხვისთვის მიღებული ჰონორარი - 1500 დოლარი ედო. მას შემდეგ პოს კვალი გაუჩინარდა. არ არსებობს ადამიანი, ვინც იგი გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ნახა. არის ვარაუდი, რომ იგი ფულის წართმევის მიზნით გაძარცვეს, რის დროსაც ქურდებს მისი განეიტრალება დასჭირდათ. პო გაუჩინარებიდან ორ დღეში უგონო მდგომარეობაში მყოფი იპოვნეს და საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც 7 ოქტომბერს გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა.



მიმდინარე წლის 19 იანვარს კი იმავე ბალტიმორში მწერლის 200 წლის იუბილე აღნიშნეს. ამ დღისთვის შედგენილი იყო სპეციალური მარშრუტი, რომელიც ქალაქის ყველა იმ ღირშესანიშნაობის მონახულებას ითვალისწინებდა, რომლებიც პოს სახელს უკავშირდება. მარშრუტის პირველი პუნქტი პოს სახლი იყო, სადაც ახლა მუზეუმია განთავსებული. სწორედ ამ სახლში იქმნებოდა მწერლის საუკეთესო ნაწარმოებები, მათ შორის "ყორანი". მუზეუმის შემდეგ ღონისძიების სტუმრებმა ტავერნა "ანაბელ ლი" მოინახულეს, რომელსაც სახელწოდება პოს ერთ-ერთი ლექსის პატივსაცემად უწოდეს. ტავერნას კედლები პოს ნაწარმოებების ფრაზებითაა გაფორმებული, ხოლო საფირმო ლუდს "ყორანი" ჰქვია. ცხადია მარშრუტის ბოლო წერტილი მწერლის საფლავი იყო, იქ მხოლოდ შებინდებისას მივიდნენ, რითაც ნამდვილად ედგარ ალან პოსეული განწყობა შეიქმნა.


# დიდი წარმატება, სწორი არჩევანით იწყება!

INTELLECT CENTER

შპს „ინტელექტ ცენტრი” ერთ-ერთი მრავალპროფილიანი სასწავლო ცენტრია საქართველოში, სადაც თავმოყრილნი არიან ერთ გუნდად შეკრული პროფესიონალთა მთელი ჯგუფი.

შპს „ინტელექტ ცენტრის” ძირითად მიზანს წარმოადგენს იმ ადამიანთა დახმარება, რომელთაც პროფესიულ ზრდაში, კვალიფიკაციის ამაღლებაში, ან ახალი სპეციალობის შეძენაში ესაჭიროებათ ისეთი აუცილებელი სპეციალობების დაუფლება, რომლებიც ჩვენს სასწავლო ცენტრში ისწავლება და რაზეც დღეისათვის ნებისმიერ ინტელექტუალურ სამსახურში, (ეს იქნება სახელმწიფო თუ კერძო სექტორი,) მოთხოვნილება დღითიდღე მატულობს.

ჩვენი მსმენელები არიან არა მხოლოდ ფიზიკური პირები, არამედ ჩვენთან ახალ სპეციალობას იძენენ, ან კვალიფიკაციას იმაღლებენ სხვადასხვა ორგანიზაციის თანამშრომლები.

ინტელექტ ცენტრის” კურსდამთავრებულები აქტიურად აგრძელებენ მუშაობას სხვადასხვა სპეციალობით, სადაც სრულყოფილად იყენებენ ჩვენთან მიღებულ ცოდნას.

გთავაზობთ სასწავლო პროგრამებს:

1. კომპიუტერული პროგრამების სრული პაკეტი-როგორც დამწყებთათვის ასევე სხვადასხვა სპეციალისტად მოსამზადებელი კურსები
2. საბუღალტრო აღრიცხვა და პრაქტიკული ბუღალტერია - საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.
3. კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამები - (oris, super-fin, info)
4. ინგლისური ენა - საკომუნიკაციო, ბიზნეს და სპეციალიზირებული სასერტიფიკატო კურსები ( FCE ; PRE TOEFL; TOEFL; IELTS; GRE; )
5. ბიზნეს ადმინისტრირება -(მენეჯმენტი, ფინანსები, მარკეტინგი, სამეწარმეო სამართალი, საგადასახადო საქმე, ფსიქოლოგიური ტრენინგი)
6. მენეჯერული მართვა და აღრიცხვა - მოკლევადიანი სასერთიფიკატო პროგრამა
7. ფინანსური მენეჯმენტი
8. საგადასახადო საქმე
9. სპეციალური ცხრათვიანი კომპლექსური კურსები
10. ბიზნეს ფსიქოლოგიური ტრენინგები - (გაყიდვების ფსიქოლოგია, მარკეტინგის ფსიქოლოგია და პროექტის მენეჯმენტი)
11. უნარ-ჩვევების მოსამზადებელი კურსები

კურსდამთავრებულები მიიღებენ შესაბამის სერთიფიკატს.

სწავლის ღირებულების გადახდა შესაძლებელია, როგორც ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით, აგრეთვე გადარიცხვით.

შპს „ინტელექტ ცენტრი” აგრეთვე გთავაზობთ

ბუღალტრულ, საგადასახადო, ფსიქოლოგიურ, ბიზნეს კონსულტაციებს

და სრულ კომპიუტერულ სერვისს.

ჩვენთან არსებული ვებ სტუდია დაგიმზადებთ პროფესიონალურ ვებ გვერდებს, შეგიქმნით თქვენი ორგანიზაციისთვის საჭირო სპეციალურ პროგრამას და მონაცემთა ბაზას.

დაინტერესების შემთხვევაში იხილეთ ჩვენი ვებ გვერდი

www.intelc.ge

მის: კარგარეთელის ქ. N9, მე-2 სართ. ალმაშენებლის 133-ის კუთხეში

ტელ: 958112; 958113; 893618212;

www.intelc.ge

e-mail:intellectcenter@yahoo.com

ნინო მღებრიშვილი - სასწავლო ცენტრის მენეჯერი

# ტალიავინის კომისიის დასკვნის დეტალები

*ევროკომისიამ თითქმის ცხრათვიანი ლოდინის შემდეგ საქართველოსათვის მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი - "2008 წლის რუსულ-ქართული ომის მიზეზების შესახებ", ე.წ. ტალიავინის დასკვნა გამოამზეურა. მანამდე, რამდენიმე კვირით ადრე, გერმანული პრესა (და მას რუსული მედია საშუალებებიც ხალისიანად იმეორებდნენ) ავრცელებდა წინასწარ ინფორმაციას კომისიის დასკვნების შესახებ, რომელშიც საქართველოს ომის დამწყებად და აგრესორად ნათლავდა. სამწუხაროდ, სენსაციებსა და სკანდალებზე მონადირე ჟურნალისტებმა ეს თემა სხვა გამოცემებშიც ააგორეს. თუმცა პირველი ოქტომბრის შემდეგ ემოციები მნიშვნელოვნად ჩაცხრა.*

სალომე ყორანაშვილი
პოლიტოლოგი,
ისტორიის დოქტორი

**მიზეზები:** კომისიამ, მართალია, ომის დაწყებად 7 აგვისტოს ქართველების მხრიდან ცეცხლის გახსნა დაასახელა, მაგრამ მთელ მოხსენებაში ნათლად ჩანს ომის პრეისტორია, სადაც რუსეთს წამყვანი როლი ენიჭება. მის თანახმად, "კონფლიქტი დაიწყო ჯერ კიდევ მაშინ, როცა იარაღი დუმდა". "კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებად აქცენტის გაკეთება მხოლოდ 7 აგვისტოს შეტევაზე მიზანშეუწონელია. უნდა გათვალისწინებულ იქნას მრავალწლიანი პროვოკაციები, სამხედრო და პოლიტიკური საფრთხეები და კანონდარღვევების ფაქტები, როგორც კონფლიქტის ზონაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. უნდა გათვალისწინებულ იქნას, ასევე, პატარა მეზობელი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული დიდი სახელმწიფოს იძულებითი პოლიტიკა და დიპლომატია. უნდა აღინიშნოს საერთაშორისო სამართლის პრინციპის ტერიტორიული მთლიანობის-უპატივცემულობა". "ახალი თვითცნობიერების ტალღამ, რომელიც საქართველოში 2003 წლის პოლიტიკური დაპირისპირების შედეგად მოვიდა, (საუბარია ვარდების რევოლუციაზე) გამოიწვია სხვა ტალღა რუსეთის თვითდარწმუნებულობისა, რომელიც ცდილობდა "ახლო საზღვარგარეთში" ინტერესთა პრივილეგირებული ზონის ჩამოყალიბებას, სადაც მისი ინტერესების წინააღმდეგ განვითარებული მოვლენები არ იქნებოდა ადვილად მიღებული" (კრემლის მიერ). "საბჭოთა პერიოდში მოსკოვის მიერ გამოცემულმა კანონებმა ხელი შეუწყო სეპარატიზმს. ისინი ითვალისწინებდნენ სუბიექტების თვითგამორკვევას რესპუბლიკის სურვილის გათვალისწინების გარეშე. საერთაშორისო სამართალი სცნობს ასეთ გამოყოფას მხოლოდ გენოციდის არსებობის პირობებში. აგვისტოს ომის დროსაც კი მისიამ ასეთი ფაქტები საქართველოს მხრიდან ვერ აღმოაჩინა. ასე რომ, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის წარმოშობა არის უფრო მსხვილი ერთეულის - სსრკ-ის - დაშლის შედეგი. მათ საქართველოსგან გამოყოფის უფლება არ ჰქონდათ. სეპარატისტული ერთეულების აღიარება, როგორიცაა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, მესამე ქვეყნის მხრიდან, ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს და წარმოადგენს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დარღვევას და ეწინააღმდეგება "ჰელსინკის აქტის" 1 და 2 პრინციპებს"; "კონფლიქტთან დაკავშირებული კიდევ ერთი საკითხი არსებობს. ეს არის რუსეთის მხრიდან განხორციელებული ე.წ. "პასპორტიზაციის" პოლიტიკა. საქართველოს კანონმდებლობა ორმაგ მოქალაქეობას არ ცნობს. რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის პასპორტების მასობრივად დარიგება და მათი საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის, სეპარატისტულ რეგიონებში, დიდი მასშტაბებით შემოტანა საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე არის კეთილმეზობლობის წინააღმდეგ მიმართული აქტი, საქართველოს სუვერენიტეტის ღია გამოწვევა და საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევა. "საქართველოს მხრიდან პროტესტების მიუხედავად 2008 წლის აპრილში რუსი სამშვიდობოების კონტიგენტის გაძლიერდა დამატებითი ჯარებით. 2008 წლის მაისში რუსული სამხედრო რკინიგზის შენაერთები გაიგზავნა აფხაზეთში ადგილობრივი რკინიგზის რეაბილიტაციის მიზნით, კრემლის ოფიციალური განცხადებით, ჰუმანიტარული მიზნებით. 15 ივლისიდან 2 აგვისტომდე რუსულმა ჯარებმა განახორციელეს ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნები ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქში, რუსეთ-საქართველოს საზღვართან ახლოს. აგვისტოს დასაწყისში სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ მოსახლეობის გახიზნა მოახდინა რფ-ის ტერიტორიაზე. ჩანდა, რომ მზადდებოდა სცენა სამხედრო კონფლიქტისათვის".

**საქართველო-სეპარატისტული რეგიონები-რუსეთის ფედერაცია:** მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ "მაშინ, როდესაც ხდებოდა საქართველო-აფხაზეთსა და საქართველო-სამხრეთ ოსეთს შორის ურთიერთობებში წინსვლა, პარალელურად, მეორე პროცესი იჩენდა თავს. ეს იყო რფ-ისა და ამ ორ ერთეულს შორის ურთიერთობების ეტაპობრივი დაძაბვა." "მოლაპარაკებების წარმოების პროცესში რუსეთს შუამავლის როლი მიენიჭა. ეს ნიშნავდა, რომ ეს ორი კონფლიქტი არ გადაწყდებოდა ცალკე. როდესაც მხოლოდ ქართველების, აფხაზებისა და ოსების ინტერესები სათანადოდ მოგვარდებოდა, რუსეთის ინტერესებიც უნდა დაკმაყოფილებულიყო". "2004 წლიდან სეპარატისულ რეგიონებთან ურთიერთობების გამარტივება, მათი მოსახლეობისათვის რუსული პასპორტების დარიგება და განცხადება, რომ კოსოვოს პრეცედენტს გამოიყენებდა სეპარატისტული რეგიონების ასაღიარებლად, უფრო საკუთარი ინტერესების დაცვით იყო განპირობებული, ვიდრე მისი პატიოსანი შუამავლის როლის მოვალეობის შესრულების სურვილით". "საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობების დაძაბვამ აჩვენა, რომ სულ უფრო რთული გახდა კომპრომისული ბალანსის გზების პოვნა აქტორთა სამკუთხედსა და მათ ინტერესებს შორის. რუსეთის ძალზედ გავლენიანი პოლიტიკური და სამხედრო წონა აკნინებდა ბალანსს, რაც სხვა დროს შესაძლებელია მიღწეულ ყოფილიყო თუ მთლიანად არა, შეთანხმების ზოგიერთი პირობებით თბილისსა და მის სეპარატისტულ პროვინციებს შორის". **საომარი მოქმედებები:** თავად საომარ მოქმედებებზე კომისია აცხადებს, რომ "სამხედრო ოპერაციები ხორციელდებოდა, ერთის მხრივ, რუსეთსა და საქართველოს და, მეორეს მხრივ, აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს შორის. კონფლიქტების ასეთი კომბინაცია, რომელიც სხვადასხვა დონეზე ტარდება, წარმოადგენს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ სამართლის დარღვევას. ბევრი ამ ფაქტებისა ხორციელდებოდა სამხრეთ ოსეთის მხარეს, არარეგულარული შეიარაღებული დაჯგუფებების მხრიდან", "რომელიც ადექვატურად არ ან ვერ კონტროლდებოდა რეგულარული რუსული შეაიაღებული ძალების მხრიდან"; "შემდეგ დაპირისპირების მეორე არენა გაიხსნა დასავლეთის ფლანგზე, სადაც რუსების მხარდაჭერით აფხაზურმა შეიარაღებულმა ძალებმა ზემო კოდორი აიღეს". რუსეთის განცხადებით, მისი მხრიდან ქართული სამიზნეების შეტევა დაიწყო 8 აგვისტოს 14.30 სთ-ზე, თუმცა არსებობს ბევრი წყარო და, მათ შორის, რუსულიც, რომელიც მიუთითებს, რომ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის შეიარაღებულ ძალებს რუსები წვრთნებს უტარებდნენ და სამხედრო აღჭურვილობით უზრუნველყოფდნენ ჯერ კიდევ აგვისტომდე. ამასთან, სეპარატისტულ რეგიონებში როკის გვირაბის გავლით რუსეთის ფედერაციის მხრიდან მოხალისეებისა და დაქირავებულების გადასვლა წარმოებდა. ასევე ჩანს, რომ რუსეთის საჰაერო ძალებმა დაიწყეს ოპერაციები ქართული სამიზნეების წინააღმდეგ, მათ შორის, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრების მიღმა 8 აგვისტოს დილით უფრო ადრე, ვიდრე ამას რუსები ოფიციალურად აცხადებენ; დამატებით, რუსეთის სახმელეთო და საჰაერო ძალები, შავი ზღვის ფლოტი ჩართული იყო კონფლიქტში. ისინი უტევდნენ სამხრეთ ოსეთის საზღვრებს მიღმა საქართველოს დანარჩენ ნაწილებში არსებულ სამიზნეებს. "რუსული ჯარები გადავიდნენ ღრმად საქართველოს სხვა ტერიტორიებზეც, გადაკვეთეს რა ადმინისიტრაციული საზღვარი და დისლოცირება მოახდინეს საქართველოს ბევრ ქალაქში: გორში, ზუგდიდში, სენაკში, ფოთში"; "დაპირისპირების კულმინიაციის დროს აფხაზურმა შენაერთებმა, რომელთაც მხარს რუსი შეიარაღებული ძალები უჭერდნენ, იერიში მიიტანეს ქართულ პოზიციებზე კოდორის ხეობაში და ჩამოჭრეს ეს ტერიტორია. ქართულმა მოსახლეობამ და შეიარაღებულმა ნაწილებმა 12 აგვისტოსთვის დატოვა აქაურობა". ექვსპუნქტიანი შეთანხმება გამიზნული იყო დაპირიპირების სწრაფ შეწყვეტასა და ჯარების გაყვანაზე. "თუმცა რუსეთის და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალები აგრძელებდნენ პოზიციებზე წინსვლას და კონფლიქტის მერე დაკავებულ იქნა დამატებითი ტერიტორიები, მათ შორის, ახალგორის რაიონი". "რუსეთის ბევრმა საჯარისო შენაერთმა 22 აგვისტოს მერე დატოვა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საზღვრებს მიღმა დაკავებული ადგილები, ზოგმა მოსკოვის 8 სექტემბრის შეთანხმების შემდეგ, ზოგმაც მხოლოდ ოქტომბრის დასაწყისში". თუ ღრმად ჩავუკვირდებით, მოხსენება აბათილებს რუსულ განცხადებებს საქართველოს ტერიტორიაზე შეჭრის შესახებ. როგორც გვახსოვს, რუსების განცახდება იყო საკუთარი მოქალაქეებისა და რუსი სამშვიდობების დაცვა, ჰუმანიტარული ინტერვენცია და ოსი ხალხის გენოციდის წინააღმდეგ ბრძოლა. მოხსენების თანახმად, თუ რუსეთი იცავდა სამშვიდობოებს, ამ შემთხვევაში მას ჰქონდა უფლება საბრძოლო ოპერაციების წარმოებისა, მაგრამ ისიც პროპორციული ძალებით და არა დისპროპორციულად, რასაც ადგილი ჰქონდა აგვისტოს შემთხვევაში. მეტიც, მოხსენების თანახმად, რუსეთმა გადააჭარბა მოქმედებებს და გადავიდა ადმინისტრაციული საზღვრების მიღმა საქართველოს სხვადასხვა ნაწილში, რისი უფლებაც მას არანაირად არ გააჩნდა. ამით იგი თავის მიერ გამოცხადებული თავდაცვის გონიერ ჩარჩოებს გადასცდა. ეს ეხება კოდორის ხეობის დაბომბვასაც და სხვა ნაწილებში სამხედრო პოზიციების გამყარებას, საქართველოს ქალაქებსა და მათ ახლოს; ასევე, მთავარ გზატკეცილებზე კონტროლის დამყარებას, შავ ზღვაზე ფლოტის შენაერთების განთავსებას. ძეს ყოველივე კი არ შეიძლება განხილულ იქნას სამხრეთ ოსეთში განთავსებული რუსეთის სამშვიდობოების საფრთხესთან. უფრო მეტიც, ცეცხლის შეწყვეტის გამოცხადების შემდეგ ნგრევების გაგრძელება არანაირი საშუალებით არ მართლდება. ეს წარმოადგენს რუსეთის მხრიდან საერთაშორისო სამართლის დარღვევას. ქართული სამხერო ძალები მოქმედებდნენ გაერო-ს 51 სტატიის შესაბამისად, თავდაცვის მიზნით". მოხსენებაში წერია, რომ "ეს არ იყო ჰუმანიტარული ინტერვენცია. საერთაშორისო სამართლის თანახმად, ეს აქტი ხორციელდება მხოლოდ მეტად შეზღუდულ ვითარებებში", რომელიც კომისიამ ვერ აღმოაჩინა. ამიტომ მისი განცხადებით, "რუსეთს აქვს პოლიტიკური და სხვა ინტერესები სამხრეთ ოსეთსა და, მთლიანად, რეგიონში. ასეთ ვითარებაში არანაირად არ ითვლება ეს მოქმედებები ჰუმანიტარულ ინტერევნციად". რუსეთის განცახდებაზე, რომ კონსტიტუციით მინიჭებული უფლებით იცავდა თავის მოქალაქეებს, მოხსენება ადგენს, "არ არსებობს გამოყენებადი სამართალი, რომელიც ამართლებდეს ასეთ ქმედებებს. და თუ მათ მაინც ადგილი აქვთ, ისინი უნდა შემოიფარგლებოდეს ვიწრო მასშტაბებით და ხანმოკლეობით, და აქცენტს აკეთებდეს ერის გადარჩენასა და ევაკუაციაზე. რუსეთი თავისი ქმედებებში არ შემოიფარგლა მოსახლეობის გახიზვნითა და გადარჩენით, არამედ ფართო მოქმედებები განახორციელა სამხედრო ოპერაციებით საქართველოს დიდ ტერიტორიებზე. აქედან გამომდინარე, უნდა დადგინდეს, რომ რუსეთის სამხედრო აქცია სამხრეთ ოსეთის გარეთ წარმოებდა საერთაშორისო სამართლის დარღვევით".

აფხაზეთის მხრიდან ძალის გამოყენება საქართველოს წინააღმდეგ ეწინაღმდეგება საერთასორისო სამართალს. ეს, ასევე, ეხება რუსეთის მხრიდან მის მხარდაჭერასაც. საქართველოს მხრიდან კოდორის დაკავებისას გაწეული წინააღმდეგობა გამართლებულია თავდაცვის მიზეზით.

რაც შეეხება გენოციდს, კომისიამ ქართველების მხრიდან რაიმე სახის გენოციდი სეპარატისტული რეგიონების მოსახლეობის მიმართ ვერ დაადასტურა. პირიქით, მისიამ აღმოაჩინა უამრავი მაგალითი ეთნიკური ქართველების შევიწროებისა სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების და არარეგულარული დაჯგუფებების მხრიდან. "სისტემატური ძარცვა და ქართული სოფლების დანგრევა სამხრეთ ოსეთში ამტკიცებს, რომ ეთნიკური წმენდა განხორციელდა ქართველების მიმართ. მოხსენების დაწერის დროსაც კი ახალგორში მიმდინარე ასეთი ფაქტები აღშფოთების საგნად რჩება". ეთნიკურ ნიადაგზე ქართველთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობები ოსების მხრიდან ქართული დასახლებების ძარცვა-განადგურება, მოსახლეობაზე თავდასხმა, ცუდად მოპყრობა, გაუპატიურება, მოკვლა, ტყვედ აყვანა; რუსეთის ძალების მხრიდან ვერ მოხერხდა დარღვევების შეჩერება. უამრავი დევნილია. რუსეთთან ერთად სამხრეთ ოსეთმა და აფხაზეთმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები დევნილების უკანდასაბრუნებლად; მათ შორის, 1990-იანი წლების დასაწყისი კომისიის მიერ შეფასებულია, როგორც ეთნოწმენდა, რაც წარმოადგენს საერთაშორისო სამართლისა და ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ სამართლის პრინციპების დარღვევას.

**ომში ყველა მხარე დამნაშავეა:** მაგრამ, ვინაიდან ომს თავისი კანონები აქვს, კომისიის თანახმად, ყველა მხარემ დაარღვია საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ სამართალი. თუმცა, თუ მოხსენებას გადავხედავთ, ყველაზე დიდი წილი კანონდარღვევებისა უმთავრესად მოდის რუსული მხარდაჭერით მოქმედ სამხრეთ ოსეთის არარეგულარულ შიარაღებულ დაჯგუფებების, მოხალისეებისა და დაქირავებულების შეიარაღებულ ინდივიდებზე; საქართველოს კრიტიკა არის ე.წ. "გრადისა" და კასეტური ბომბების გამოყენება, თუმცა დასკვნა აღიარებს, რომ ანალოგიური იარაღი გამოყენებული იქნა საპირისპირო მხარის მხრიდანაც, რის გამოც მხარეები თანაბრად დადანაშაულებულები არიან. საქართველო ასევე დადანაშაულებულია რუსი სამშვიდობოების წინააღმდეგ მიმართული ქმედების გამო. მოხსენება ასევე აკრიტიკებს საერთაშორისო საზოგადოებასაც მისი მხრიდან არადროული და მნიშვნელოვანი ქმედების სიმწირის გამო, რამაც კრიზისის გამწვავება გამოიწვია.

**რეკომენდაციები:** დასკვნა თავის რეკომენადციებში რუსული გავლენის შევიწროების აუცილებლობაზე მიუთითებს. ასე, მაგალითად, რეკომენდაციების სახით კომისია გვთავაზობს: საერთაშრისო საზოგადოების უფრო აქტიურ ჩართვას კრიზისის ვითარების გაღრმავების კონტროლისათვის; საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან რეგიონში ამჟამად მოქმედი სტაბილიზაციის შესახებ მიღწეული შეთანხმებებისა და ინსტიტუტების გადაფასებას; კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარისათვის წამყვანი პოზიციებისა და არბიტრის როლის ჩამორთმევას; მოქალაქეებისა და მათი ქონების წინააღმდეგ მიმართული ქსენოფობიისა და მტრობის სენტიმენტები და მოქმედებების გაკონტოლებას; კონფლიქტის ზონაში დამოუკიდებელი, ნეიტრალური და ეფექტიანი საერთაშორისო სამშვიდობოების ჩაყენების გარდაუვალობას; ასევე დევნილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა, მათ შორის 1990-იანი წლების დასაწყისში მომხდარი კონფლიქტების შედეგად, საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნების ხელშეწყობას. თუმცა, ამ რეკომენდაციების გაზიარება და ხორცშესხმა უკვე საერთაშორისო საზოგადოების ნებაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ხისტი აღმოჩნდება იგი რუსეთთან მიმართებაში.

# სპორტი

## ფაჩულიამ კონკურენტი დაჯაბრა

როგორც ჩანს, ამ სეზონში ქართულ საკალათბურთო ლეგიონზე საუბარი გაცილებით სასიამოვნო იქნება, ვიდრე უცხოეთში მოასპარეზე ქართველ ფეხბურთელებზე. ამის წინაპირობა ზაფხულშივე გამოჩნდა, როდესაც საქართველოს საკალათბურთო ნაკრებმა ბრწყინვალედ ისაპარეზა და ელიტური დივიზიონის საგზური მოიპოვა.

რაც შეეხება გასულ უქმეებს, ფეხბურთელები სანაკრებო ბატალიებით იყვნენ დაკავებული, კალათბურთელები კი სეზონს იწყებენ. ზოგი საკონტროლო მატჩებს მართავს, ზოგი - სეზონის სასტარტო შეხვედრებს. მართალია, ქართველი კალათბურთელების კლუბები არც ისე წარმატებული გამოდგნენ ამ უქმეებზე, მაგრამ ჩვენებურებს თავი არ შეურცხვენიათ.

ქართულ საკალათბურთო ლეგიონზე საუბარი დავიწყოთ NBA-თი. იქ წინასასეზონო საგამოფენო მატჩების დროა. ზაზა ფაჩულიამ და მისმა "ატლანტამ" მეორე საჩვენებელი მატჩი გამართეს. ამჯერად "ქორები" დეტროიტს სტუმრობდნენ და ადგილობრივ "პისტონზთან" 91:100 დამარცხდნენ.

ჯორჯიელთა ქართველმა ცენტრმა მოედანზე 19 წუთი გაატარა და, 9 ქულასთან ერთად, 6 მოხსნა მიითვალა. ფაჩულიამ ჩააგდო 6-დან 3 ორქულიანი, 4-დან 3 საჯარიმო და სამჯერ დაკარგა ბურთი.

ზაზას კონკურენტმა ალ ფორფორდმა ისევ უსახური თამაში აჩვენა. მან მოედანზე 22 წუთი გაატარა და თამაშიდან განხორციელებული 7 სროლიდან მხოლოდ ერთი მოათავსა დეტროიტელთა კალათში. ატლანტელთა ძირითადი ცენტრის ანგარიშზეა 2 ქულა, 7 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება, ბურთი კი ორჯერ დაკარგა.

გასულ უქმეებზე ქართველთაგან ყველაზე წარმატებულად ლაშა გამყრელიძემ ითამაშა. გერმანიის ჩემპიონატის მეორე ტურში მას ცოტა დააკლდა ორმაგ დუბლამდე. გამყრელიძის "მიტელდოიჩერი" "ულმს" მასპინძლობდა და 96:84 დაამარცხა, რითაც ბუნდესლიგის ლიდერთა შორისაა.

"ტაიგერსთან" პირველი ტურის მატჩში ლაშამ თამაშიდან რვავე სროლა გააცუდა და ერთადერთ ქულას დასჯერდა. "ულმის" "რატიოფარმთან" მატჩი კი საუკეთესო იყო.

გამყრელიძემ კვლავ სასტარტო ხუთეულში ითამაშა და ამჯერად შვიდივე ტყორცნა გამოიყენა. 23 წლის ქართველმა ოთხივე ორქულიანი და სამივე საჯარიმო ჩააგდო, 11 ქულას კი 8 შედეგიანი გადაცემა დაამატა და ორმაგ დუბლამდე 2 პასი დააკლდა. მისი საერთო სტატისტიკური მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო თავისი გუნდის შემადგენლობაში - 18. ის მხოლოდ 19 ქულის მომგროვებელ ულმელ როდერიკ ტრაისს ჩამორჩა.

იტალიაში სტარტი აიღო ქვეყნის ჩემპიონატმა და ამ უქმეებზე პირველი ტურის მატჩები გაიმართა. გამარჯვება იზეიმა ვიქტორ სანიკიძის "ვირტუსმა". ბოლონიელებმა შინაურ კედლებში "მონტეგრანაროს" უმასპინძლეს და 98:75 გაიმარჯვეს.

ქართველმა კალათბურთელმა მოედანზე 18 წუთი დაჰყო და 2 ქულას და 1 მოხსნას დასჯერდა. ვიქტორს "ვირტუსის" სასტარტო ხუთეულში არ უთამაშია. მან მეტოქის ფარისკენ 2 ორქულიანი ტყორცნა და 1 გამოიყენა.

მოედანზე მხოლოდ 2 წუთი გაატარა ნიკა მეტრეველმა. მისმა "მონტეპასკიმ" ნაპოლის "მარტოსი" 87:48 დაამარცხა.



*ფაჩულიამ მეტოქეს ხელი ვერ შეუშალა*

იტალიის ჩემპიონმა უმაღლესი ლიგის დებიუტანტს საწყის მეოთხედში 26:7 მოუგო და არც მერე მიუცია სტუმართათვის გასაქანი. ქართველ კალათბურთელს მისთვის ბოძებულ მცირე დროში ნეაპოლელთა კალათისთვის არ შეუტევია.

საბერძნეთის თასის გათამაშებაში გიორგი ცინცაძის "ტრიკალა" "იკარიას სერესს" ესტუმრა და სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდს 86:59 სძლია.

რანგით დაბლა მდგომ მეტოქესთან ჭიდილში ტრიკალელებს პრობლემა არ შეჰქმნიათ. სტუმრები დიდ შესვენებაზე 14-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ და საქმის ბოლომდე მიყვანა არ გასჭირვებიათ.

"ტრიკალას" მთავარმა მწვრთნელმა ვანგელის ანგელუმ განაცხადში მყოფი 12-ვე კალათბურთელი ათამაშა. მათგან უქულოდ არც ერთი არ დარჩენილა.

ცინცაძემ გუნდს 7 ქულა შესძინა. საუკეთესო კი იყო ამერიკელი აბრამსი, რომელმაც 17 ქულა ჩააგდო.

14 ოქტომბერს, თასის მომდევნო რაუნდში, "ტრიკალა" "პაოკს" ეთამაშება.

მანამდე "პანათინაიკოსმა" ერთი ამხანაგური მატჩი გამართა. სწორედ ამ შეხვედრაში დაუბრუნდა მოედანს ტრავმირებული გიორგი შერმადინი და თავისი დაბრუნება ბრწყინვალე თამაშით აღნიშნა. აქტიური სპორტიდან დიდი ბერძენი კალათბურთელის ფრაგისკოს ალვერტისის გაცილების მატჩში ათენის "პანათინაიკოსმა" მოსკოვის ცსკა 82:69 დაამარცხა. ქართველმა ცენტრმა ეს მატჩი ნიღბით ითამაშა და 13 ქულა მოაგროვა.

შერმადინს 2 ოქტომბერს, მოსკოვის ოთხთა ტურნირის პირველი მატჩის პირველივე წუთზე, ლიუბეტსკის "ტრიუმფთან" გაუტყდა ცხვირი. და აი, კვირას მოედანს დაუბრუნდა. პანათინაიკოსელთა რიგებში 13 ქულა დააგროვა ნიკოლა პეკოვიჩმა, სასტარტო ცენტრმა, თუმცა, საერთო მაჩვენებლებით მას შერმადინი არ ჩამორჩა.

ათენელთა რიგებში არ თამაშობდა შარუნას იასიკევიჩუსი, რომელსაც ტრავმა ჰქონდა და სათადარიგოთა სკამზე იჯდა წარწერით მაისურზე: ფრაგისკოს ალვერტისი.

და ბოლოს, ესპანეთის ჩემპიონატზე. ტაირონ ელისის "კახასოლს" პატივი ერგო, ესპანეთის ჩემპიონატის გახსნის მატჩში საკუთარ მოედანზე ეთამაშა. სევილიელთა მეტოქე იყო მადრიდის "რეალი", მაგრამ ბრძოლა არ შედგა. დედაქალაქურმა გრანდმა "კახასოლი" ადვილად დაამარცხა - 76:57.

ელისმა შეხვედრა სასტარტო ხუთეულში დაიწყო და მოედანზე გატარებულ 25 წუთში 8 ქულას (4-დან 1 ორქულიანი, 5-დან 2 სამქულიანი), 3 მოხსნას და 2 შედეგიან გადაცემას მოუყარა თავი. თანაგუნდელებში ის მხოლოდ ტარიკ კირკსის (10 ქულა) ჩამორჩა.

## ნდობით აღჭურვილნი

ზურაბ თალაკვაძე

საქართველოში ახალი საკალათბურთო ეპოქა იწყება. კი, კი, ნამდვილად ასეა. მერე რა, რომ გუნდებში არ გვყავს ლეგიონერები. სამაგიეროდ, ნაკრები წინ მიდის და თუ ყველაფერი გეგმისამებრ წარიმართა, წლევანდელ სუპერლიგას რეგიონებიდან რამდენიმე ახალი გუნდი დაემატება. რამდენიმე კი ისეთი დაგვიბრუნდება, რომელიც იყო და, თუ მოვლენები გეგმისამებრ წარიმართა, მომავალშიც იქნება.

ერთ-ერთი ასეთი გუნდია შსს, ანუ შინაგან საქმეთა სამინისტროს ნდობითა და ფინანსებით აღჭურვილი კოლექტივი.

გახსოვთ შარშანდელი შსს? კარგი, დამსახურებულ-საყვარელი გვარები და თითქმის უშედეგო შედეგი. ირაკლი ბაქრაძე, კახა შენგელია, სხვებიც... მარტო სახელ-გამოცდილებამ ვერ გაჭრა - გუნდი პლეი-ოფში კი მოხვდა, მაგრამ იქ უშანსოდ დარჩა "ენერჯი ინვესტთან".

წელს სახელმწიფოს ამ სტრუქტურამ კალათბურთს მწვანე ერთხელაც აუნთო, მოთამაშეებიც შარშანდელზე ბევრად უკეთესი შეკრიბა და თუ გუნდის უფროსისა და ამავდროულად, ერთ-ერთ მოთამაშეს, ლევან მიქაბერიძეს მოვუსმენთ, მიზნები სერიოზულია. აბა, არასერიოზულია პროგრამა მაქსიმუმი, რომელიც ან საქართველოს თასის აღებას, ან პირველ სამეულში მოხვედრას ითვალისწინებს? ნაღდად არა და ამაშია საქმე.

შარშანდელი შემადგენლობიდან გუნდში დარჩნენ მიქაბერიძე, შოთა პატარაია, ვანო აბულაძე, ოთარ ფაიქრიძე, ვასო ბერუაშვილი და ერეკლე ქადაგიძე.

ახლა, ნახეთ, ვინ დაემატა ამ შემადგენლობას - სოსო შერმადინი, დავით ბერიშვილი, ირაკლი ბერიშვილი, გიორგი მარკოიშვილი, ლექსო ლაფანაშვილი, გიორგი ნიკოლაძე, ლადო სუხიშვილი, ზურაბ კორკოტაძე, აკაკი ლომოური და გიორგი კვერნაძე.

პოზიციურად ყველაფერი მშვენივრადაა, თუმცა არა მარტო ამ გუნდის, არამედ ნებისმიერის წარმომადგენელიც იტყვის, რომ სახელ-გვარები ბევრს არაფერს ნიშნავს, თუ გუნდი გუნდს არ დაემსგავსა, წარმატება აბსტრაქტულ მცნებად დარჩება.

მიქაბერიძის თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტრო გუნდს წელს განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს. მთავარ მწვრთნელად შსს-ს კახაბერ შენგელია ეყოლება, რომელიც შარშანდელი რეგულარულის მეორე ნახევრიდან მოთამაშე-მწვრთნელის ფუნქციებს ითავსებდა, წელს კი მარტო სათავკაცო სავარძელში მოთავსდება და თავის გამოცდილებას სხვებს გაუზიარებს.

კახას ასისტენტებად მამუკა კალანდაძე, ზურაბ მიქაძე, კობა კობიაშვილი და პაატა ნუცუბიძე ეყოლება.

პოლიციის აკადემიის შენობაში გუნდს კოხტა დარბაზი გამოუყვეს, სადაც მსურველები თუ გამოჩნდნენ, ვარჯიშზე დასწრებასაც მოახერხებენ, რამეთუ დარბაზში 150-200 ადამიანის თავმოყრის ფუფუნებაა შექმნილი.

გუნდი შარშანაც წლევანდელზე არანაკლებ სოლიდურად უნდა ყოფილიყო შევსებული, მაგრამ რუსეთმა ქვეყანაში სიმშვიდე რომ დაგვირღვია, მერე ყველაფრის ფორსმაჟორულად შექმნა დაიწყო და გუნდიც ერთობ მოსუსტებული შემადგენლობით შეხვდა სუპერლიგას. ამასთან ერთად, იყო მატჩები, როდესაც მორიდებული რუსტერით შსს-მ ლამის მოუგო 15 და 20 ქულით ჩამორჩენის შემდეგ "ბასკოსა" და ნტდ-ს.

უკანა ხაზში გუნდს არანაირი პრობლემა არ უნდა შეექმნას. ტყუპები და ნიკოლაძე ჩვენი ჩემპიონატისთვის კვლავ დიდ ძალად რჩებიან. ბერიშვილებს რომ მოტივაციის შენარჩუნების შემთხვევაში ნებისმიერ გუნდთან ძალუძთ ფრთების გაშლა, ჩვენი შარშანდელი სეზონის ბოლო მატჩმა დაადასტურა, როდესაც ტუღუშის, გამყრელიძისა და სხვა ვარსკვლავების "ენერჯი ინვესტს" "თბილავიამშენმა" ვატო ნაცვლიშვილის გარეშეც მოუგო.

"დინამოში" ლიდერად და ზაზა ცაგარეიშვილის ხელში კაპიტნად მოვლენილმა ლექსო ლაფანაშვილმა ვერც გაიბრწყინა და არც ჩაუგდია სეზონი, ნორმალურად ითამაშა, თუმცა ახალ გუნდში ადგილის დამკვიდრებას აშკარად ეცდება და შარშანდელზე მეტად პროდუქტიული უნდა იყოს შეტევაში და ნაკლები შეცდომა დაუშვას დაცვაში. "ფიზიკის" მხრივ ლაფანაშვილს პრობლემა არც არასოდეს ჰქონია და ამ მხრივ ყველაფერი კარგადაა.

პრაქტიკულად, უქმობად ექცა "ავიაში" სეზონის გატარება სოსო შერმადინს. მაგარ ჯანზეა, აქვს ცენტრისთვის საკმაოდ სტაბილური საშუალო სროლა, მაგრამ როდესაც ბატონი ლევან მოსეშვილი გიოს ძმას ათამაშებდა, სოსო უშეცდომო ნაღდად არ იყო, სხვა დროს კი მაღალი კაცი ერთგულად იჯდა სათადარიგოებში. ლაფანაშვილის არ იყოს, წელს შერმადინსაც კარგი სეზონი უნდა ჰქონდეს.

საერთოდ, მაღლების მხრივ, შსს-ს პრობლემა არ უნდა ჰქონდეს. შერმადინი, აბულაძე, სუხიშვილი ყველასთან უხვად მოხსნიან და მთლად ცოტასაც არ ჩააგდებენ, სათადარიგოთა სკამიდან კი შენგელიას მოედანზე იმ ხალხის გამოშვება შეეძლება, რომლებიც შარშან გუნდის სასტარტო ხუთეულშიც არცთუ იშვიათად იყვნენ.

ცალკე თემაა გიორგი მარკოიშვილი. კარგია, როდესაც საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში ერთ მატჩში დაგროვილი ქულებით ყველას აჯობებ, მაგრამ (ამაში გიორგიც დამეთამხმება) უკეთესია, როდესაც დაკარგულ ფორმას აღიდგენ და კვლავ გამორჩეულთა შორის გამორჩეული იქნები. მარკოიშვილის საუკეთესო სეზონი სტუ-ში თამაშისას იყო, როდესაც ნუგზარ ჭეიშვილის გუნდმა ჩემპიონობა და კიდევ რამდენიმე ტურნირი მოიგო, გიორგი კი სეზონის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

მარკოიშვილს უბრალოდ, საჭირო მოტივაცია უნდა დაუბრუნდეს და ყველაფერი მშვენივრად იქნება. გიორგიმაც კარგად იცის, რომ შარშანდელზე გაცილებით უკეთ უნდა თამაშობდეს, რადგან შეუძლია და სურვილიც უნდა სათანადო გააჩნდეს.

კარგი სეზონი ჰქონდა შარშან შოთა პატარაიას, რომელიც წელს სავარაუდოდ, სათადარიგოებში იქნება, მაგრამ სათამაშო დროის სიმცირის მიუხედავად, მაინც უნდა დაეხმაროს გუნდს მოსალოდნელი, ანუ კარგი შედეგის ჩვენებაში.

ასე და ამგვარად, შსს წელს შარშანდელზე სახიფათო, მოგებას მოწყურებული და მოკლედ რომ ვთქვათ, უკეთესი უნდა იყოს. მხარდაჭერა, უკეთესი პირობები, ხელმძღვანელების სრული ნდობა - ამან შედეგი უნდა მოიტანოს. რა შედეგი? თუ გუნდი შეთამაშდა, მაშინ ჩემპიონობისთვის თუ არა, ყოველ შემთხვევაში, საპრიზო ადგილისთვის ბრძოლა საკმაოდ რეალური იქნება.

## სერენა, დე იურე, პირველია

*დღეიდან სერენა უილიამსი, დე იურე, მსოფლიოს პირველ ჩოგნად იწოდება. ამერიკელმა, რომელმაც ერთი კვირის წინათ გაინაღდა პირველობა, ორშაბათიდან WTA-ის პირველი ნომერია. მან პირველი საფეხურიდან რუსი დინარა საფინა ხუთქულიანი უპირატესობით ჩამოაბრძანა.*

პეკინის ტურნირზე მეორე წრიდან გამოთიშვა და ამავე ტურნირის მესამე წრეში გასვლაც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ სერენა დინარაზე დაწინაურებულიყო.

WTA რეიტინგის მეოთხე საფეხურზე აღზევდა პეკინის ტურნირის გამარჯვებული სვეტლანა კუზნეცოვა, ელენა დემენტიევა კი, რომელიც მეოთხედფინალში დამარცხდა, მეხუთე საფეხურზე ჩამოქვეითდა. ამავე ტურნირის ფინალში გასვლამ საუკეთესო ათეულში შეაბიჯებინა პოლონელ აგნეშკა რადვანსკას.



**WTA რეიტინგი:**

1 (2). სერენა უილიამსი (აშშ)............7945
2 (1). დინარა საფინა (რუსეთი)........7940
3 (3). ვინუს უილიამსი (აშშ).............6445
4 (6). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს.).5981
5 (4). ელენა დემენტიევა (რუსეთი) .5875
6 (5). კაროლინა ვოზნიაცკი (დანია)5575
7 (7). ვერა ზვონარევა (რუსეთი) .... 4810
8 (9). ვიქტორია აზარენკა (ბელ.).... 4590
9 (8). ელენა იანკოვიჩი (სერბეთი).. 3965
10 (11). აგნეშკა რადვანსკა (პოლ.). 3710

## ბულგარელები ქართველებს ძირითადი მეკარის გარეშე დაუხვდებიან

14 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული ნაკრები ფეხბურთში 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩებს ბულგარეთში გასვლითი შეხვედრით დაასრულებს.

ისევე როგორც ქართველებისთვის, შესარჩევი ციკლი ბულგარელებისთვისაც უიღბლო აღმოჩნდა. ბოლო თამაში მხოლოდ პრესტიჟის ხასიათი ექნება. ამ შესარჩევ ციკლში ქართველებს ჯერაც არ მოუგიათ მატჩი. ბულგარელებმა კი 10 ოქტომბერს კვიპროსში ისეთი გამანადგურებული მარცხი იწვნიეს, ოთხშაბათს ქართველებს დამარცხებით შეეცდებიან საკუთარი გულშემატკივრის თვალში რეაბილიტირებას.

ბულგარეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებს ამ მატჩის წინ ერთი სერიოზული დანაკლისი ექნება. მძიმედ დაშავდა ბულგარელთა ძირითადი მეკარე დიმიტარ ივანკოვი და 14 ოქტომბერს საქართველოს ნაკრებთან შესარჩევი ციკლის მატჩში ვერ ითამაშებს.

33 წლის ივანკოვმა კვიპროსთან 1:4 წაგებული თამაშისას, კუნძულელთა ფორვარდ მიხალის კონსტანტინუსთან ჭიდილში, ფეხის ძვლის ტრავმა მიიღო. მეკარე შეცვალეს. მას ჯერ ნაკრების ექიმები მკურნალობდნენ, მერე კი, როცა ტკივილი ვერ გაუყუჩეს, საავადმყოფოში წაიყვანეს.

ივანკოვის მკურნალობის პროცესი ექვს კვირაზე მეტს გასტანს, მინდორზე კი დაახლოებით ორთვენახევარში გავა.

სავარაუდოდ, ქართველებთან მატჩში ბულგარელთა კარში იდგება ნიკოლაი მიხაილოვი. ის 21 წლისაა და ჰოლანდიურ "ტვენტეში" ირიცხება. მიხაილოვს ნაკრებში 3 მატჩი აქვს ჩატარებული.

## კალაშნიკოვამ საფრანგეთშიც გაიმარჯვა

წარმატებული გამოდგა ბოლო ორი კვირა ქართველ ჩოგბურთელ ოქსანა კალაშნიკოვასთვის. მან ორ კვირაში ზედიზედ მეორე ტიტული მოიგო - ჯერ ბათუმის ღია პირველობაზე გაიმარჯვა, გასულ კვირაში კი საფრანგეთშიც იყოჩაღა.

ლიმოჟის 25-ათასიანი ტურნირის ერთეულთა გათამაშებაში ოქსანამ მეოთხედფინალში დაასრულა ასპარეზობა, წყვილებში კი, რუს ელენა ჩალოვასთან ერთად, არავის დაუთმო პირველობა.

19 წლის კალაშნიკოვამ წყვილთა ტურნირებში კარიერის განმავლობაში მე-11, მიმდინარე წლის განმავლობაში კი მე-4 ტიტული მოიგო.

## "ქალაქელები" რიბერიში 70 მილიონს იხდიან

ინგლისურ გაზეთ "სანის" ინფორმაციით, "მანჩესტერ სიტი" მიუნხენის "ბაიერნს" ფრანგი ნახევარმცველის ფრანკ რიბერის სანაცვლოდ იანვრის სატრანსფერო ფანჯრის დროს 65 მილიონ გირვანქა სტერლინგს ანუ 70 მილიონ ევროს შესთავაზებს.

უკანასკნელი წლიწნახევრის განმავლობაში "სიტიმ" ახალი ფეხბურთელების შეძენაზე 271 მილიონი ევრო დახარჯა.

ორი დღის წინ "სიტი" რიბერიში 65 მილიონს იხდიდა. ორ დღეში თანხა ისე გაიზარდა 70 მილიონამდე, რომ "ქალაქელებს" "ბაიერნის" მესვეურებთან მოლაპარაკებაც არ დაუწყიათ.

ზაფხულში რიბერის გადაბირებას "რეალი" და "ბარსელონა" ლამობდნენ. მაშინ "ბაიერნმა" ფრანგი შეინარჩუნა. რიბერის გაყიდვას "ბაიერნი" კი დათანხმდა, მაგრამ ფეხბურთელი 80 მილიონ ევროდ შეაფასა. ამ თანხის გადახდა არც ერთმა ესპანურმა გრანდმა არ ისურვა. "სიტი" კი ის სწრაფად ზრდის მაზანდას, რომ ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთვის ეს თანხა ალბათ 80 მილიონ ევროს მიაღწევს.

## მარჩენა ტრავმირებულია

ესპანეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მცველი კარლოს მარჩენა სერიოზული ტრავმის გამო დაახლოებით ერთი თვეს დაისვენებს.

"ვალენსიას" 30 წლის მოთამაშემ ფეხი იტკინა ერევანში, სადაც, 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩში, პირენეელებმა სომხეთის გუნდს სძლიეს (2:1). ევროპის ჩემპიონების შეკრება დაშავებულმა მარჩენამ ამ მატჩის შემდეგ დატოვა, ხოლო ვალენსიაში, სამედიცინო შემოწმებისას, მას ბარძაყის კუნთის ტრავმა დაუდგინდა. ესპანეთის ნაკრებმა ვადაზე ადრე მოიპოვა მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლება.

# ძაგნიძე მსოფლიოს ჩემპიონობისთვის იბრძოლებს

12 ოქტომბერს ჭადრაკის სასახლეში პრესკონფერენცია გაიმართა. ჟურნალისტებს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გია გიორგაძე და ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ნანა ძაგნიძე შეხვდნენ. ძაგნიძემ ჩინეთის ქალაქ ნანცინში დასრულებულ ქალთა გრან-პრის გათამაშების მეორე ეტაპზე 7,5 ქულა მოაგროვა და მეორე ადგილი დაიკავა. მაკედონიაში დამთავრებულ ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე კი ქართულმა "სამაიამ" ბოლო ტურში პოლონეთის "პოლონიასთან" 2:2 ითამაშა და მესამე ადგილთან ერთად ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

ძაგნიძემ საპრიზო ფონდიდან 4750 ევრო მიიღო და მშვენიერი შანსი დატოვა, რომ დარჩენილი ეტაპების შემდეგ გრან-პრის გამარჯვებული გახდეს და მსოფლიოს ჩემპიონ ალექსანდრ კოსტენიუკს ტიტულს შეეცილოს.

მომავალ წელს ოთხი ეტაპი ჩატარდება, აქედან ძაგნიძე სამში ითამაშებს: რუსეთში, სომხეთში და ჩილეში. მონლოლეთის ტურს კი გამოტოვებს. სულ გან-პრიზე 18 მოჭადრაკე გამოვა. ყველასთვის სავალდებულოა, რომ ოთხ ეტაპზე მაინც ითამაშოს.



შეგახსენებთ, რომ ამ ტურნირზე მაია ჩიბურდანიძეც გამოდის, რომელმაც პირველ ეტაპზე თურქეთში ითამაშა და ბრძოლასაც აგრძელებს. ყველა მოჭადრაკე საბოლოოდ სამ საუკეთესო ეტაპს აირჩევს, რომელზეც გამოჩრჩეული შედეგები ექნება. ქულები დაჯამდება და ორი საუკეთესო ფინალში ითამაშებს, გამარჯვებული კი გადამწყვეტ მატჩში კოსტენიუკს დაუპირისპირდება.

ნანა **ძაგნიძე:** ჩემთვის ტურნირი კარგად დაიწყო, საბოლოოდ კი მეორე ადგილი დავიკავე. მთლიანობაში კმაყოფილი ვარ, თუმცა ტურნირის მსვლელობის დროს გამოჩნდა, რომ ჩემპიონობაც შემეძლო.

არ მიყვარს თავის მართლება, მაგრამ ჩინეთში მოვიწამლე და ამან ხელი ძალიან შემიშალა. ძალიან სუსტად ვიყავი. დარჩენილ სამ ტურნირზე თუ ასეთ შედეგს ვაჩვენებ მაშინ საშუალება მექნება, რომ ფინალში კოსტენიუკს ვეთამაშო.

**გია გიორგაძე:** ვულოცავ ნანა ძაგნიძეს ამ წარმატებას. მართლაც კარგი შედეგია. ჩინეთში ძლიერი მოჭადრაკეები თამაშობდნენ. "სამაიას" გამოსვლაც კმაყოფილების საბაბს გვაძლევს. მაკედონიაში ორი უძლიერესი გუნდი თამაშობდა. "სპარტაკი" და "მონტე-კარლო". ორივე ეს გუნდი სერიოზული მოჭადრაკეებით არის დაკომპლექტებული. სამომავლოდ "სამაია" კიდევ უფრო გაძლიერდება და ჩემპიონობისთვის იბრძოლებს.

*სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი*

# სამბისტები მსოფლიოს ჩემპიონატზე მიემგზავრებიან

15-19 ოქტომბერს ბულგარეთის დედაქალაქი ახალგაზრდა და ჭაბუკ სამბისტთა შორის მსოფლიოს ჩემპიონატს მასპინძლობს. 13 ოქტომბერს საქართველოს ორივე ნაკრები სოფიაში გაემგზავრება. მსოფლიოს პირველობის დაწყებამდე სამბისტებმა ორკვირიანი შეკრება თბილისში დიდუბის მანეჟში გაიარეს. ნაკრების გამგზავრების ხარჯებს "ქართუ ბანკი" აფინანსებს. მსოფლიოს ჩემპიონატზე 28 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას.

**ჭაბუკთა ნაკრები**

გივი ნადირაშვილი 48კგ (ფოთი)
ბექა დიაკონიძე 52კგ (ვანი)
გენადი ჩილგაძე 56კგ (ქუთაისი)
გიორგი ვარძელაშვილი 60კგ (გორი)
ბექა ტულუში 65კგ (ფოთი)
ბერდია აბაშვილი 70კგ (მცხეთა),
იაგო მესტვირიშვილი 81კგ (საგარეჯო)
გიორგი ნოზაძე 87კგ (ხაშური)
სლავა რეზესიძე +87კგ (დმანისი)
მთავარი მწვრთნელი: ბადრი ჯანიაშვილი

**ახალგაზრდული ნაკრები**

გიორგი გეჯაძე 48კგ (კასპი)
ვაჟა ლატარია 52 კგ (ფოთი)
ბექა ბუცხრიკიძე 57 კგ (ფოთი)
ზვიად ოდიშაშვილი 62კგ (კასპი),
ლევან ნახუცრიშვილი 68კგ (თბილისი)
ნოდარ კუნდუხაშვილი 82კგ (გორი)
ლაშა გურული 90კგ (ქუთაისი)
გიორგი ბოლოთაშვილი 100კგ (გორი)
მერიან გინჯელაშვილი +100კგ (ახმეტა)
მთავარი მწვრთნელი: ემილ რაში

*სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი*

# ხუთი თითივით ნაცნობი

## რუსთავში დუდუ დადიანის მემორიალი იწყება

ზურაბ თალაკვაძე

15-18 ოქტომბერს რუსთავში საკალათბურთო სეზონი დაიწყება და, ტრადიციულად, გუნდები სუპერლიგისწინა მოთელვას ჩვენი დაუვიწყარი მოთამაშის, დუდუ დადიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირით შეუდგებიან. მოთელვაცაა და მოთელვაც. წინა წლებს თუ გავიხსენებთ, არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც რომელიმე გუნდი ამ შეჯიბრებას ზერელედ, არასერიოზულად მოკიდებოდა. ასე იქნება ახლაც.

წელს სახეშეცვლილი სეზონი გველის და, სამწუხაროდ, ეს ისევ და ისევ ფინანსების არქონასთან და სხვა ნიუანსებთან არის დაკავშირებული. არ ითამაშებენ "თბილავიამშენი", სტუ, ნტდ. სამაგიეროდ, გვეყოლება სოხუმისა და ჭიათურის გუნდები, რომლებიც, მთლად ფავორიტობაზე თუ არა, ღირსეულად გამოსვლაზე ნამდვილად განაცხადებენ პრეტენზიას.

ჯგუფები ასე დაკომპლექტდა:

A ჯგუფი: სსაუ, თსუ, მაკაბი, ჭიათურა.

B ჯგუფი: რუსთავი, ხუთი (ანუ შსს), დინამო და სოხუმი.

პირველ ჯგუფში უდავო ფავორიტია სსაუ. შემადგენლობით და გამოცდილებით ეს გუნდი, მიხეილ ბერიშვილის დაკარგვის მიუხედავადაც, დიდი ძალაა.

პირველ რიგში, ბექა წივწივაძისა და გიორგი მარხვაშვილის გუნდში ყოფნაა დიდი პლიუსი. ამ უკანასკნელების თამაშიდან გამოთიშვა ძალიან ძნელია და იქნებ წარმოუდგენელიც კი, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ გუნდს ტურნირის მოსაგებად სხვა რესურსების გონივრულად გამოყენება დასჭირდება.

ფინანსური სიდუხჭირის ფონზე კარგი გუნდი ჰყავს თსუ-ს. თუ გავითვალისწინებთ ამ გუნდის ბრძოლისუნარიანობას, იქნებ ნაადრევიც კი იყოს ულაპარაკო ფავორიტად სსაუ-ს დასახელება, მაგრამ მაინც ასე მგონია.

საინტერესო იქნება, ვინ გავა ფინალში მეორე ჯგუფიდან. "რუსთავს" ჰყავს კოტე ტუღუში, ზვიად ბაბიაშვილი და ჟულიევეტ ტუჯანი. პლუს, მიშა ჭოჭუა, ლევან ცეკვავა და რამდენიმე ისეთი ვინმე, ვისაც სუპერლიგაში თამაშიც მწირი გამოცდილება აქვს.

"ხუთი" ბევრისთვის უცნობი, მაგრამ სახელ-გვარებით კარგად ნაცნობი გუნდია. ტყუპი ბერიშვილები, გიორგი მარკოიშვილი, ლადო სუხიშვილი, სოსო შერმადინი, ლექსო ლაფანაშვილი ძველ გუნდებში დიდ ძალას წარმოადგენდნენ, ახლა კი შესათამაშებლად ცოტა დრო და დიდი ენთუზიაზმი აქვთ.

"დინამო" სულ "დინამოა". ამ გუნდისგან, პირველ რიგში, საკუთარი ტრადიციების მოფრთხილებასა და შეუპოვრობას ველით, მეოთხე გუნდზე კი ბევრს ვერაფერს გეტყვით.

მოკლედ, ტურნირი იწყება. ვნახოთ, რა როგორ იქნება. ბოლოს კი განრიგსაც გთავაზობთ:

**15 ოქტომბერი**
12:00. თსუ-მაკაბი
14:00. სსაუ-ჭიათურა
16:00. დინამო-ხუთი
18:00. რუსთავი-სოხუმი

**16 ოქტომბერი**
12:00. სსაუ-მაკაბი
14:00. თსუ-ჭიათურა
16:00. დინამო-სოხუმი
18:00. რუსთავი-ხუთი

**17 ოქტომბერი**
12:00. ჭიათურა-მაკაბი
14:00. სსაუ-თსუ
16:00. სოხუმი-ხუთი
18:00. რუსთავი-დინამო

**18 ოქტომბერი**
ფინალი (ჯგუფების გამარჯვებულები)

# 19 წლამდელებმა შანსი შეინარჩუნეს

საქართველოს საფეხბურთო ნაკრები 19 წლამდე ფეხბურთელთა შორის 2010 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურის მოსაპოვებლად იბრძვის.

ახლა შესარჩევი ციკლის მატჩები მიმდინარეობს. გელა შეყილაძის შეგირდებმა ჯგუფში მეორე მატჩი გამართეს. მასპინძელ შვედეთის ნაკრებთან ქართველებმა გოლი ვერ გაიტანეს, თუმცა, პირველი მატჩისგან განსხვავებით, ახლა ჩვენმა ბიჭებმა საკუთარი კარიც მშრალად შეინახეს. იმისთვის, რომ მომდევნო ეტაპზე გავიდეთ, ბოლო მატჩში, რომელიც 14 ოქტომბერს ქალაქ ლიუნგსკილეში გაიმართება, მონტენეგროს ნაკრები უნდა დავამარცხოთ.

საქართველოს ნაკრებმა მატჩი სუსტად დაიწყო და ძირითადად დაცვაზე ზრუნავდა. გუნდი ტაიმის მიწურულს გამოცოცხლდა, როდესაც მეტოქის მეკარე ნილსონი ძალამიძემ და ჩაფიძემ შეაწუხეს, თუმცა, მიზანს ვერ მიაღწიეს.

ჩვენებურთა შეტევები არც მეორე ტაიმში გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიმწვავით. კიდევ ერთი შეტევა ძალამიძემ განახორციელა, საფინალო სასტვენის წინ კი შეყილაძემაც დაარტყა.

ჯგუფის მეორე მატჩში უკრაინამ და მონტენეგრომ 1:1 ითამაშეს, რაც იმას ნიშნავს, რომ დასკვნითი ტურის წინ პლეი-ოფში გასვლის შანსს ოთხივე ნაკრები ინარჩუნებს.

19 წლამდელთა პირველობის რეგლამენტის თანახმად, მომდევნო ეტაპზე ასპარეზობას განაგრძობს 12 ჯგუფის ორ-ორი საუკეთესო გუნდი, რომელთაც მესამე ადგილზე გასული ორი საუკეთესოც დაემატება.

**ევროპის 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი 19 წლამდე ფეხბურთელთა შორის. მე-12 ჯგუფი. ტროლჰატანი (შვედეთი).**

შვედეთი - საქართველო 0:0

შვედეთი: ნილსონი, ბიორკსტრომი, ლანსი, მოლესტამი, სკენსტრომი, ბესარა (ფორსბერგი, 66), კაჩანიკლიჩი, ლუნდბერგი (ასანოვსკი, 46), ლუნდგრენი, ერიქსონი (აზიზი, 60), იანსონი.

მწვრთნელი: ულფ სვენსონი.

**საქართველო:** ნიორაძე, კვეკვესკირი, კვირკველია, ბრაჭული, ელიზბარაშვილი, ძალამიძე, ანანიძე, შეყილაძე, ჩაფიძე, კაჭახიძე (ჩელებაძე, 88), კობახიძე (კაკუშაძე, 60).

მწვრთნელი: გელა შეყილაძე.

**გაფრთხილება:** კვირკველია (19), ლუნდგრენი (25), ელიზბარაშვილი (46), კობახიძე (50), ლანსი (66).

**მსაჯი:** ეფონგ ნზოლო (ბელგია).

# რობინიო - საშობაო საჩუქარი პეპ გვარდიოლასთვის

"მანჩესტერ სიტის" ბრაზილიელ შემტევს სურს დაამტკიცოს, რომ ექსტრა კლასის ფეხბურთელია. რობინიოს უნდა, თვალნათლივ დაანახოს მადრიდის "რეალის" მესვეურებს, რომ თავის დროზე გუნდიდან მისი გაშვება უდიდესი შეცდომა იყო და ამისთვის ბრაზილიელი ესპანეთში დაბრუნებას და "ბარსელონაში" თამაშს გეგმავს.

ერთია თავად რობინიოს გეგმები და მეორე - რეალობა. თუ "ბარსელონამ" არ მოისურვა რობინიოს შეძენა, ცხადია, ბრაზილიელის ოცნება ოცნებადვე დარჩება. თუმცა, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კატალონიური გრანდი მართლაც დაინტერესდა რობინიოს გადაბირებით. "საინტერესო ვარიანტია", - თქვა ჩიკი ბეგირისტაინმა, გვარდიოლამ კი ამ ტრანსფერს მწვანე შუქი აუნთო. საქმე ის არის, რომ რობინიოს შეძენით პეპს ტიერი ანრის გამოფხიზლებაც სურს. ამჟამად "ბარსელონას" შეტევის მარცხენა ფლანგზე "ტიტის" კონკურენტი არ ჰყავს. პერიოდულად ამ პოზიციაზე პედრო და ინიესტაც თამაშობენ, თუმცა ეს იძულებითი ნაბიჯია. რაც შეეხება რობინიოს, ის სწორედ მარცხენა ფლანგზე მოთამაშე ფეხბურთელია და ანრის კლუბში სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდება. ზაფხულში "ბარსა" ამ პოზიციის გაძლიერებას ფრანკ რიბერითი გეგმავდა, თუმცა ეს ტრანსფერი ჩაიშალა. ახლა შესაძლოა სწორედ რიბერი იქცეს იმ კატალიზატორად, რომელიც დააჩქარებს რობინიოს ტრანსფერს "ბარსელონაში". საქმე ის არის, რომ რიბერის შეძენა "სიტიმ" ისურვა. "ქალაქელები" ფრანგ ვარსკვლავში 70 მილიონ ევროს იხდიან და, თუ ეს ტრანსფერი შედგა, "სიტისთვის" უკეთესი იქნება, თუ რობინიოს გაუშვებს.


რობინიოს "ბარსელონაში" სურს თამაში

რობინიოს ტრანსფერი "ბარსელონაში" ზამთრისთვის იგეგმება. კატალონიურ გრანდს სურს ფეხბურთელი იჯარით აიყვანოს შედგომი გამოსყიდვის უფლებით. იჯარაში კი "ბარსა" 4 მილიონ ევროს იხდის, რაც "სიტის" ეცოტავება. სავარაუდოდ, ორი კლუბი აბუ დაბიში გასამართ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე შეთანხმდება - "ბარსას" პრეზიდენტი ჟოან ლაპორტა "სიტის" მფლობელ შეიხ ალაიმომ სულაიმომს უნდა შეხვდეს და მასთან მოლაპარაკება გამართოს.

ახლა რობინიო ტრავმირებულია და არ თამაშობს. ბრაზილიელს გაურთულდა ურთიერთობა "სიტის" მთავარ მწვრთნელთან მარკ ჰიუზთან და, სავარაუდოდ, არც ჰიუზი იტყვის რობინიოს გაშვებაზე უარს.

რაც შეეხება "ბარსელონას", ერთი რამ ცხადია: თუ რობინიოს ტრანსფერი არ შედგა, კლუბი შეტევის მარცხენა ფლანგის გაძლიერებას სხვა ფეხბურთელით შეეცდება. საუბარია "შახტარის" შემტევ უილიამზე და "ვალენსიას" ლიდერ მატაზე.

# უბრალო დამთხვევა თუ…

ორიოდე კვირის წინ ესპანურმა მედიამ გაავრცელა, ცოტა არ იყოს, უცნაური და სასაცილო ინფორმაცია. თურმე ნუ იტყვით და, ვიღაც ჯადოქარი კრიშტიანუ რონალდუს ემუქრება. გაზეთ "ასში" გავრცელებული ცნობის თანახმად, "რეალის" ოფისში მივიდა ამ მჩხიბავის წერილი, რომელშიც ეწერა, რომ კრიშტიანუ რონალდუს საფეხბურთო კარიერა საფრთხეშია. მჩხიბავის თქმით, ის იმდენს იზამს, რომ რონალდუ ტრავმების გამო კარიერას დაასრულებს. ცხადია, თავიდან ამას ყურადღება არავინ მიაქცია, მაგრამ მერე…

როგორც ვთქვით, მჩხიბავი დაახლოებით ორი კვირის წინ დაიმუქრა. ამას მოჰყვა "რეალისა" და "მარსელის" ჩემპიონთა ლიგის მატჩი, რომელშიც რონალდუმ ტრავმა მიიღო - 70-ე წუთზე ფეხბურთელი მოედნიდან გაიყვანეს. ამ ტრავმის შემდეგ ჯადოქარმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა თავი. ესპანურ მედიაში მისი სახელიც გამოჩნდა. მოკლედ, ვინმე პეპე მჩხიბავისთვის რონალდუს კარიერის დასამარება ერთ არაევროპელ ქალს დაუკვეთავს. "მე კაცი მჭირდებოდა და არა ბარბი", - უთქვამს ამ ქალს და მჩხიბავისთვის სოლიდური თანხა გადაუხდია. თავად პეპე აცხადებს, რონალდუს საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, უბრალოდ, დაკვეთა მივიღე და, როგორც პროფესიონალი, ამ დაკვეთას შევასრულებო. იქვე პეპემ დაამატა, რომ "მარსელთან" მატჩში მიღებული ტრავმა მხოლოდ დასაწყისია.


რონალდუს ტრავმები მოეძალა

რაღა თქმა უნდა, არც ამას მიექცა სერიოზული ყურადღება, რადგან ტრავმა უმნიშვნელო გამოდგა და რონალდუს უკვე მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩზე შეეძლო მოედანზე გასვლა.

შაბათს პორტუგალიის ნაკრებმა შესარჩევი ციკლის მატჩი ჩაატარა. ამ თამაშში რონალდუმ ისევ მიიღო ტრავმა, გუშინ კი ექიმების ვერდიქტიც გახდა ცნობილი. "რეალის" პორტუგალიელ ვარსკვლავს მყესები დაეჭიმა და, სულ მცირე, ერთ თვეს ვერ ითამაშებს.

შესაძლოა ყველაფერი ეს დამთხვევა იყოს, თუმცა, ვინ იცის... იქნებ ის დროა, "რეალის" მესვეურებმა პეპეს ძიება დაიწყონ, რათა მან ჯადო მოუხსნას რონალდუს და პორტუგალიელში გადახდილი 94 მილიონი ევრო წყალში გადაყრილი არ გამოდგეს.

## უსმანოვს არსენალში თავისი წილის 15.9%-ით გაზრდა სურს

"არსენალის" თანამფლობელმა, რუსმა ბიზნესმენმა ალიშერ უსმანოვმა უახლოეს პერიოდში შესაძლებელია გაზარდოს თავისი წილი ლონდონურ კლუბში. მან შეიძლება შეიძინოს კლუბის ერთ-ერთი მფლობელის ნინი ბრეისველ-სმიტის კუთვნილი წილი (15.9%). ამ შემთხვევაში უსმანოვი გახდება აქციების 41%-ის მფლობელი. ეს გარიგება მას დაახლოებით 100 მილიონი ფუნტი სტერლინგი დაუჯდება.

ასეთი შესაძლებლობა უკვე დიდი ხანია განიხილება. ბატონი უსმანოვი განუწყვეტლივ ზრდის თავისი აქციების რაოდენობას კლუბში, ახლა კი აქვს შანსი გახდეს დიდი წილის მფლობელი. მოსალოდნელია, რომ "არსენალის" სამეთვალყურეო საბჭო მონდომებს უსმანოვის მხრიდან ასეთი საქციელის აღკვეთას.

## ფერარა ფეხბურთელებსაც მოუსმენს

ტურინის "იუვენტუსის" მთავარი მწვრთნელი ჩირო ფერარა მზადაა, გუნდის თამაშის გამოსწორების მიზნით, თავის ფეხბურთელებს მოუსმინოს. ტურინელებს სერია A-ს ბოლო ოთხ ტურში აღარ გაუმარჯვიათ, მეშვიდე ტურის მატჩში კი "პალერმოსთან" მარცხიც იწვნიეს (0:2). "ერთი და იგივე ფეხბურთელები ჯერ იმარჯვებდნენ, ხოლო შემდეგ წარუმატებლად მოქმედებდნენ. ასე რომ, საქმე ეხება მათ ფიზიკურ მზადყოფნასა და ფეხბურთისადმი დამოკიდებულებას. მიუხედავად ამისა, ბოლო შედეგების გამო პასუხისმგებლობას არ ვიხსნი და მზად ვარ, ჩემს მუშაობაში რაღაც შევცვალო. ვიცი, ზოგიერთი ფეხბურთელი ჩემს იდეებს არ ეთანხმება, რადგან მათ იციან, რომ მე საკმარისი სამწვრთნელო გამოცდილება არ მაქვს. მზად ვარ, მათი შენიშვნები მოვისმინო, რათა ერთ მუშტად შეკრულ გუნდად ვიქცდეთ", - განაცხადა ფერარამ.

## ხორვატებს ოლიჩი არ ეყოლებათ

ხორვატიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ფორვარდი ივიცა ოლიჩი ტრავმის გამო ყაზახეთთან 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩს გამოტოვებს. AP-ის მიერ გავრცელებული ცნობით, ხორვატთა მთავარმა მწვრთნელმა სლავენ ბილიჩმა განაცხადა, რომ "ბაიერნის" ფეხბურთელს ვარჯიშის დროს წვივის კუნთი დაუზიანდა და ის სამ კვირას ვერ შეძლებს თამაშს. ოლიჩის გარდა, ხორვატიის ეროვნულ გუნდს ვერ დაეხმარებიან ედუარდო და სილვა, მლადენ პეტრიჩი და ლუკა მოდრიჩი. მომავალი მუნდიალის შესარჩევი ტურნირის მე-6 ჯგუფში ხორვატები 17 ქულით მეორე ადგილზე არიან და 14 ოქტომბერს ბოლო საკვალიფიკაციო მატჩს ყაზახებთან ჩაატარებენ. უკრაინის ნაკრები, რომლის აქტივში ერთი მატჩით ნაკლებია, ხორვატიას ორი ქულით ჩამორჩება. პირველი ადგილი კი ინგლისელებს განაღდებული აქვთ (24 ქულა).

## ჰიტცფელდის რჩევა

ლეგენდარულმა ოტმარ ჰიტცფელდმა "ბაიერნის" ახლანდელ მწვრთნელს ლუის ვან გაალს შემადგენლობაში იტალიელი ფორვარდის ლუკა ტონის დაბრუნება ურჩია. "ლუის ვან გაალს ტონის სახით ხელში თულფი უჭირავს, რომლის გამოყენება მას უმალ წარმატებას მოუტანს, - თქვა მან ტელეარხ DSF-ზე გამოსვლისას, - მე კარგად ვიცი, თუ როგორ თამაშობენ ერთად ტონი და მიროსლავ კლოზე. შემტევთა ასეთი წყვილის პოვნა არა მარტო გერმანიაში, ევროპაშიც გაგიჭირდებათ. ამ თავდამსხმელებს კრიზისიდან ნებისმიერი გუნდის გამოყვანა შეუძლიათ". თავად ჰიტცფელდმა ამ ტანდემთან და მთელ დანარჩენ "ბაიერნთან" ერთად 2008-ში დუბლი მოიგო. ტონისთვის ის პირველი იქაური სეზონი იყო, რომლის მსვლელობისას მან ბუნდესლიგაში 24 გოლი მიითვალა და მთავარმეგოლის ტიტული ირგუნა. წლეულს მას აქილევსის მყესის ტრავმამ წინასასეზონო სამზადისიც ჩაუშალა და სეზონის პირველი ორი თვეც. უკვე რვა ტურმა ჩაიარა და, თამაშს ვინ ჩივის, ვან გაალს 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონი ერთი ბუნდესლიგური მატჩის განაცხადშიც კი არ შეუყვანია, რამდენჯერმე კი მესამე ლიგაში - "ბაიერნის" მოყვარულთა შემადგენლობაში გაამწესა.

# მუაი-ტაიმ ვან დამი და ჩემპიონი შეყარა



ტაილანდელი მოკრივის სომლუკ კამსინგის სახელი ბევრს არაფერს გვეუბნება, მაგრამ ის, ვინც რინგზე მის გამოწვევას აპირებს, "ბოევიკების" მოყვარულთათვის კარგადაა ცნობილი. ნახევრად საშუალო წონაში ატლანტის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გაისად, მარტში, ლას ვეგასში, მსახიობ ჟან-კლოდ ვან დამს მუაი-ტაის წესებით შეერკინება.

გაზაფხულისთვის დაგეგმილი ორთაბრძოლა შედგება ხუთი ორწუთიანი რაუნდისგან. იკრძალება იდაყვის გამოყენება. ჰონორარი კი... ჩხუბში მონაწილეობისთვის სომლუკი 175 ათას დოლარს მიიღებს. ამას დაემატება ტრანსლაციიდან შემოსული თანხის ორი პროცენტი.

"ასეთ შესაძლებლობაზე არასდროს მიფიქრია, მაგრამ ჟან-კლოდ ვან დამის წარმომადგენლებისგან გაისმა სატელეფონო ზარი. შემომთავაზეს ვან დამთან ჩხუბი. იქვე გამაფრთხილეს, იდაყვებს არ გამოიყენებო - ეშინიათ, მსახიობს სახე არ დავუმახინჯო".

სომლუკ კამსინგი ტაილანდის ისტორიაში პირველი ოლიმპიელია, რომელიც უმალ შერაცხეს ეროვნულ გმირად. მის პატივსაცემად ქვეყანაში საფოსტო მარკაც გამოუშვეს.

ტაილანდელი დასძენს, ვან დამთან საჩხუბრად სერიოზულად მოვემზადები, რადგან წონაში სხვაობა ჩემს წისქვილზე არ სახამს წყალსო. მიუხედავად ამისა, სომლუკს სჯერა, რომ, საკუთარი ტექნიკისა და გამოცდილების წყალობით, უპირატესობას მოიპოვებს.

მუაი-ტაი ტაილანდის საბრძოლო ხელოვნებაა. ტერმინი, რომელიც ოფიციალურად 1912 წელს შემოიღეს, ითარგმნება, როგორც "თავისუფალთა პაექრობა" ან "თავისუფალი ჩხუბი".

თანამედროვე მუაი-ტაი ითვალისწინებს მუშტებით, ტერფებით, ქუსლებით, იდაყვით, მუხლებით დარტყმას. ამის გამო მუაი-ტაის "რვახელა ჩხუბსაც" უწოდებენ.

# ენინი ავსტრალიით ბრუნდება




ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კორტზე დაბრუნებული მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ბელგიელი ჟუსტინ ენინი, შესაძლოა, იმ კორტებზე გამოჩნდეს, რომელიც 2004 წელს საკუთარი ტრიუმფით აღნიშნა. საუბარია ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე, რომლისთვისაც ტიტულოვან ბელგიელს ველური ბარათი გამოუყვეს. ყოველ შემთხვევაში, ავსტრალიის მთავარი კორტის მესვეურებს სურთ, ენინი საკუთარ კორტებზე იხილონ.

"გასულ უქმეებზე ჟუსტინ ენინის გუნდს ვესაუბრეთ. მოხარულები ვიქნებით, მას "ველური ბარათი" გადავცეთ, - ამბობს ავსტრალიური ტურნირის დირექტორი კრეიგ ტაილი. - ჩვენ მას მოუთმელად ველით ავსტრალიის ღია პირველობაზე".

ჩოგბურთში დაბრუნებაზე მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ოფიციალურად განაცხადა სექტემბრის ბოლოს. ენინმა მიბაძა თანამემამულე კიმ კლაისტერსს, რომელიც მასავით წავიდა დიდი ჩოგბურთიდან, მაგრამ დაბრუნდა და აშშ-ის ღია ჩემპიონატი მოიგო.

 ენინმა საჩოგბურთო კარიერა მსოფლიოს პირველი ჩოგნის რანგში დაასრულა შარშან, მაისში, 25 წლის ასაკში. მის აქტივშია დიდი სლემის - ავსტრალიის ღია ჩემპიონატის (2004), "როლან გაროს" ოთხი - 2003, 2005, 2006, 2007 და აშშ-ის ღია ჩემპიონატების ორი - 2003, 2007 წლების მთავარი ჯილდოები. 2004 წელს, ათენის ოლიმპიურ თამაშებზე, ოქროს მედალი დაისაკუთრა.

Agritechnics HOLDING

საუკეთესო ამერიკული
სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა

JOHN DEERE




ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.
24-47-44, 24-47-44 (1219)

სერვის პარტნიორი
თეგეტა მოტორსი

# გაერთიანებული ტელეკომი
## ა უ ქ ც ი ო ნ ი

სს„გაერთიანებული ტელეკომი“ აცხადებს აუქციონს კომპანიის საკუთრებაში არსებული ავტოტრანსპორტის რეალიზაციაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს მონაწილეობის მისაღებად.
აუქციონზე გასაყიდ ქონებას წარმოადგენს ავტომანქანების შემდეგი ჩამონათვალი:

| № | ლოტი | ავტომანქანის მარკა | ა\მ სახელმწიფო ნომერი | გამოშვების წელი | საწყისი სარეალიზაციო ფასი დღგ-ს ჩათვლით (ლარი) | ადგილმდებარეობა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1 | დოჯი დურანგო | ITI 012 | 1998 | 6000 | თბილისი ერწოს ქ№12 |
| 2 | 2 | ჯიპი-გრანდ-ჩეროკი | UUU 938 | 1994 | 5000 | თბილისი ერწოს ქ№12 |
| 3 | 3 | ა\მ რაფ 2203 | PAC117 | 1981 | 400 | თბილისი, ერწოს ქ№12 |
| 4 | 4 | მაზდა626 | AAK 400 | 1996 | 3000 | თბილისი, ერწოს ქ№12 |
| 5 | 5 | აუდი 100 | TAT 445 | 1992 | 1500 | თბილისი, ერწოს ქ№12 |
| 6 | 6 | გაზ–52-01 | RAD 819 | 1983 | 800 | გურჯაანის მაგისტრა. კვანძი სიღნაღის ქ№5 |
| 7 | 7 | ვაზ-2107 | UTG-107 | 1995 | 350 | თბილისი, ერწოს ქ№12 |
| 8 | 8 | გაზ-53-12 | OAJ -622 | 1988 | 900 | კასპი სააკაძის ქ№1 |
| 9 | 9 | მოსკვიჩი21412 | ADP-565 | 1991 | 250 | თბილისი, ბარალეთის ქ№29 |
| 10 | 10 | გაზ-5204 | OAB-872 | 1987 | 1700 | თბილისი, ერწოს ქ№12 |
| 11 | 11 | უაზ 452 | UTG 912 | 1985 | 1700 | მცხეთის ტექ. კვანძი დ. აღმაშენებლის №65 |
| 12 | 12 | გაზ 66-01 | UTG 971 | 1980 | 3500 | მცხეთის ტექ. კვანძი დ. აღმაშენებლის №65 |
| 13 | 13 | მ-2140 | PAC 256 | 1987 | 250 | მცხეთის ტექ. კვანძი დ. აღმაშენებლის №65 |
| 14 | 14 | იჟ-2751-01 | DBC 104 | 1990 | 200 | ქუთაისის ტექ. კვანძი ნიკეას №1 შესახვევი №5 |
| 15 | 15 | უაზ 469 | UTG 991 | 1985 | 1000 | ქუთაისის ტექ. კვანძი ნიკეას №1 შესახვევი №5 |
| 16 | 16 | ვაზ 21213 | UTG 455 | 1995 | 750 | ლანჩხუთი თაბუკაშვილის ქ.№101 |
| 17 | 17 | ვაზ 21213 | UTG 494 | 1998 | 850 | ჩოხატაური დუმბაძის ქ.№7 |
| 18 | 18 | ვაზ 21213 | UTG 474 | 1997 | 650 | ჩხოროწყუ მშვიდობის ქ.№2 |

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განცხადებები მიიღება 2009 წლის 20ოქტომბრის ჩათვლით. განაცხადების მიღება მოხდება სამუშაო დღეებში. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ № 95, აუქციონის რეგისტრატორი თ. ლორთქიფანიძე, ტელ 91-21-74. 91-21-00

აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 21 ოქტომბერს 14.00 საათზე მისამართი: ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ№95.

აუქციონში მონაწილეობისათვის აუცილებელია სს „ გაერთიანებული ტელეკომის“ საანგარიშსწორებო ანგარიშზე შეტანილ იქნას „მონაწილის ბილეთისა“ და „ბე“ (სადეპოზიტო) თანხები.

მიმღების ბანკი – სს„ბი-თი-ეი ბანკი“ – საარბრუკენის მოედანი №2 ა/ანგარიშის № 116881001, ბანკის კოდი № 220101827. საიდენტიფ/კოდი - 203837875

„მონაწილის ბილეთის“ ღირებულება შეადგენს 20(ოცი) ლარს.

ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 10%-ს

აუქციონზე ბიჯის სიდიდე შეადგენს საწყისი ფასის 5%-ს

განცხადების გამოქვეყნების დღიდან აუქციონზე გასაყიდი ავტოტრანსპორტის ჩვენება-დათვალიერება შესაძლებელია მიმდინარე წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით 10 სთ-დან 17 სთ-მდე სამუშაო დღეებში განაცხადის ლოტებში მითითებულ მისამართებზე.

შენიშვნა:

1. მყიდველი ვალდებულია გაიტანოს შესყიდული საქონელი საკუთარი ხარჯებით ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 30 კალენდარული დღის ვადაში.
2. დაწერილებითი ცნობებისათვის მიმართეთ კომპანიის სათაო ოფისს. მისამართი: ქ. თბილისი წინამძღვრიშვილის ქ. №95. საკონტაქტო პირი თ. ლორთქიფანიძე. ტელეფონი: 91-21-74, 94-10-00.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

“საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2009 წლის 08 სექტემბერს დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს “ზუგდიდის სამედიცინო პროფესიული სასწავლო ცენტრისთვის” სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მიუთითოს ვინაობა”.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

“საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2009 წლის 24 სექტემბრიდან დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება სსიპ “ქ. თბილისის 198-ე საჯარო სკოლისთვის” საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალური ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მიუთითოს ვინაობა”.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## მუდმივმოქმედი არბიტრაჟი , დავების განმხილველი ცენტრი” DDRC-ს სასამართლო

მხარისათვის შეტყობინების მიზნით

სხდომის დღის პუბლიკაციის მიზნით

DDRC- ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი “რესპუბლიკა”-ს

საარბიტრაჟო პრეტენზია რუსუდან სართანიას, დალი სართანიას და ლელა შევარდნაძის მიმართ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 23 ოქტომბერს 11:30 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ “დავების განმხილველ ცენტრში'' შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71, 1-ლი სართული.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე რუსუდან სართანია მცხოვრები ქ. ბათუმი, გ. აბაშიძის ქ 29, ალტ: მის: ქ. თბილისი, წერეთლის ქ. N91, დალი სართანია მცხ: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის N48, ლელა შევარდნაძე მცხ: ქ. თბილისი, ვაშლიჯვარის დას. გოძიაშვილის 1-ლი შეს., მე-3 ჩიხი N4.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

“საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2009 წლის 11 სექტემბრიდან დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს “იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლისთვის” ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გენერალური ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მიუთითოს თავისი ვინაობა”.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

“საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2009 წლის 14 სექტემბრიდან დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება სსიპ “გორის უნივერსიტეტისთვის” სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მიუთითოს თავისი ვინაობა”.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

“საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2009 წლის 23 სექტემბრიდან დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს “საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის უმაღლესი პროფესიული განათლების კოლეჯისთვის” უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მიუთითოს თავისი ვინაობა”.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

“საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2009 წლის 03 სექტემბერს დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ “სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონისთვის” ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გენერალური ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მიუთითოს ვინაობა”.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

“საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2009 წლის 24 სექტემბრიდან დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს “პროფიუნიტისთვის” უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მიუთითოს ვინაობა”.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

“საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2009 წლის 10 სექტემბრიდან დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება სსიპ “მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფ. მარადისის საჯარო სკოლისთვის” საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალური ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მიუთითოს ვინაობა”.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

“საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2009 წლის 24 სექტემბერს დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება სსიპ “სოფელ ქვემო ფოცხოს საჯარო სკოლისთვის” საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალური ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მიუთითოს ვინაობა”.

# სამოქალაქო რესტრის სააგენტო აცხადებს საერთაშორისო ტენდერს საქართველოს მოქალაქის პასპორტის ბლანკების სახელმწიფო შესყიდვისთვის.

**ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №67ა**

შესყიდვის ობიექტია:
ლოტი №1

| №№ | მისაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება | რაოდენობა ცალობით | მიწოდების ადგილი | მიწოდების ვადები |
|---|---|---|---|---|
| 11 | საქართველოს მოქალაქის 32 გვერდიანი პასპორტის ბლანკი | 50000 | CIP თბილისი | ხელშეკრულების გაფორმებიდან 2010 წლის 1 მარტამდე, მოთხოვნის შესაბამისად |

პასპორტი უნდა შეესაბამებოდეს: ICAO-ს რეკომენდაციებს, დოკუმენტი №9303, მესამე გამოცემა.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაძლებელია ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანის დართვით (უპირატესობა ენიჭება ქართულ ვერსიას) 2009 წლის 3 ნოემბრის 10 საათიდან 2009 წ. 3 ნოემბრის 11 საათამდე, მისამართზე: თბილისი (0154), წერეთლის გამზ. №67ა, სამოქალაქო რეესტრის სააგენტო, V სართული, შესყიდვების სამსახური, ოთახი №515, ტელ. 357919. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:

1. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
2. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაციის შესახებ (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან).
3. ცნობას საგადასახადო ორგანოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

ფიზიკური პირებისათვის:

1. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
2. გადასახადის გადამხდელის სარეგისტრაციო მოწმობა.

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:

1. პრეტენდენტის დასახელება, მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, ელექტრონული მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელი პირის სახელი, გვარი.
2. პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს სუბკონტრაქტორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წინამდებარე განცხადებით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მონაცემები და მასთან გაფორმებული ხელშეკრულება ან თანხმობა, ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე.
3. პრეტენდენტის სახელზე გაცემული საერთაშორისო სერთიფიკატი ISO 9001.
4. პრეტენდენტის მფლობელობაში არსებული პოლიგრაფიული მანქანა-დანადგარების ჩამონათვალი და მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
5. ცნობას სასამართლოდან გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან).

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება დაიშვება შეფასებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

1. წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი;
2. წარმოადგენს სატენდერო წინადადებას, რომელიც შედგენილია მოქმედი კანონმდებლობისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნათა დაცვით.

პრეტენდენტის სატენდერო წინადადებები უნდა შედგეს შესყიდვის ობიექტის მიხედვით და შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ქართულ ენაზე შემუშავებული სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად, რაც დაინტერესებულ პირებს გადაეცემათ სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდეგ, მისამართზე – სამოქალაქო რეესტრის სააგენტო, ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №67ა. 2009 წლის 13 ოქტომბრის 11 საათიდან 2009 წლის 3 ნოემბრის 10 საათამდე. პრეტენდენტებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე სატენდერო დოკუმენტაციას გაეცნონ შემსყიდველ ორგანიზაციაში ზემოთმითითებულ მისამართზე.

შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება საქონლის მოწოდების ადგილი.

სატენდერო მოსაკრებელის საბანკო რეკვიზიტებია:

ხაზინის ერთიანი ანგარიში ცენტრალიზებული ა/ა №200122900, ეროვნული ბანკის კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302003174. აუცილებლად უნდა მიეთითოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო, საქართველოს მოქალაქის პასპორტის ბლანკის შესყიდვისთვის სატენდერო მოსაკრებელი (200 ლ.).

სატენდერო მოსაკრებლის დამადასტურებელი ქვითრის წარმომდგენმა პირმა ქვითართან ერთად უნდა წარმოადგინოს პრეტენდენტის უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მინდობილობა. უცხო ენაზე შედგენილი მინდობილობა ნათარგმნი უნდა იყოს ქართულ ენაზე.

პრეტენდენტები წარმოადგენენ სატენდერო წინადადებას და საკვალიფიკაციო მონაცემებს ერთი დახურული კონვერტის სახით. ლოტზე გამოცხადდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს – მარინა გვრიტიშვილი. ტელ – 357919, 8 (91) 179090

დამატებითი ინფორმაცია:

პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია (სატენდერო წინადადების ღირებულების 1%), გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი – საბანკო გარანტია (2%).

სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით:

საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;

დებულება „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“;

შესყიდვების პროცედურის განხორციელების დროს წარმოქმნილი პრეტენზიები გასაჩივრდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 23 მუხლის, „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების 33-37-ე მუხლებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ პრეტენდენტის რეგისტრაციის მიხედვით შესაბამისი ქვეყნის კომპეტენტური სტრუქტურებიდან. ამასთან ორიგინალ დოკუმენტებთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს მათი ნოტარიალურად დამოწმებული ქართული თარგმანი.

სატენდერო კომისია

---

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

“საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2009 წლის 24 სექტემბრიდან დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ “საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა პანსიონი - გრანტისთვის” დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალური ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მიუთითოს ვინაობა”.

---

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

“საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2009 წლის 16 სექტემბერს დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს “თელავის დამოუკიდებელი პროფესიული მომზადების ცენტრისთვის” სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მიუთითოს ვინაობა”.

---

# ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე

